

K 36
3

ამოცემა ქართველთა ამხანაგობისა № 30.



სიბრძნე

ბაღვაშისი

ე. თაყაიშვილის რედაქტორებათ



ტფილისი

სტამბა. რედაქტორთა ამხანაგობისა ქ. რუსთა. ტ. ვა. ქ. მქ.

1895

899.962.1-3



გამოცემა ქართველთა ამხანაგობისა № 30.

სიზრქნა ბ ა ლ ა ვ ა რ ი ს ი

36

ე. თყაიშვილის რედაქტორობით

181

—❦—

0005 11997 1221 1222 1223 1224 1225 1226 1227 1228 1229 1230 1231 1232 1233 1234 1235 1236 1237 1238 1239 1240 1241 1242 1243 1244 1245 1246 1247 1248 1249 1250 1251 1252 1253 1254 1255 1256 1257 1258 1259 1260 1261 1262 1263 1264 1265 1266 1267 1268 1269 1270 1271 1272 1273 1274 1275 1276 1277 1278 1279 1280 1281 1282 1283 1284 1285 1286 1287 1288 1289 1290 1291 1292 1293 1294 1295 1296 1297 1298 1299 1300 1301 1302 1303 1304 1305 1306 1307 1308 1309 1310 1311 1312 1313 1314 1315 1316 1317 1318 1319 1320 1321 1322 1323 1324 1325 1326 1327 1328 1329 1330 1331 1332 1333 1334 1335 1336 1337 1338 1339 1340 1341 1342 1343 1344 1345 1346 1347 1348 1349 1350 1351 1352 1353 1354 1355 1356 1357 1358 1359 1360 1361 1362 1363 1364 1365 1366 1367 1368 1369 1370 1371 1372 1373 1374 1375 1376 1377 1378 1379 1380 1381 1382 1383 1384 1385 1386 1387 1388 1389 1390 1391 1392 1393 1394 1395 1396 1397 1398 1399 1400 1401 1402 1403 1404 1405 1406 1407 1408 1409 1410 1411 1412 1413 1414 1415 1416 1417 1418 1419 1420 1421 1422 1423 1424 1425 1426 1427 1428 1429 1430 1431 1432 1433 1434 1435 1436 1437 1438 1439 1440 1441 1442 1443 1444 1445 1446 1447 1448 1449 1450 1451 1452 1453 1454 1455 1456 1457 1458 1459 1460 1461 1462 1463 1464 1465 1466 1467 1468 1469 1470 1471 1472 1473 1474 1475 1476 1477 1478 1479 1480 1481 1482 1483 1484 1485 1486 1487 1488 1489 1490 1491 1492 1493 1494 1495 1496 1497 1498 1499 1500 1501 1502 1503 1504 1505 1506 1507 1508 1509 1510 1511 1512 1513 1514 1515 1516 1517 1518 1519 1520 1521 1522 1523 1524 1525 1526 1527 1528 1529 1530 1531 1532 1533 1534 1535 1536 1537 1538 1539 1540 1541 1542 1543 1544 1545 1546 1547 1548 1549 1550 1551 1552 1553 1554 1555 1556 1557 1558 1559 1560 1561 1562 1563 1564 1565 1566 1567 1568 1569 1570 1571 1572 1573 1574 1575 1576 1577 1578 1579 1580 1581 1582 1583 1584 1585 1586 1587 1588 1589 1590 1591 1592 1593 1594 1595 1596 1597 1598 1599 1600 1601 1602 1603 1604 1605 1606 1607 1608 1609 1610 1611 1612 1613 1614 1615 1616 1617 1618 1619 1620 1621 1622 1623 1624 1625 1626 1627 1628 1629 1630 1631 1632 1633 1634 1635 1636 1637 1638 1639 1640 1641 1642 1643 1644 1645 1646 1647 1648 1649 1650 1651 1652 1653 1654 1655 1656 1657 1658 1659 1660 1661 1662 1663 1664 1665 1666 1667 1668 1669 1670 1671 1672 1673 1674 1675 1676 1677 1678 1679 1680 1681 1682 1683 1684 1685 1686 1687 1688 1689 1690 1691 1692 1693 1694 1695 1696 1697 1698 1699 1700 1701 1702 1703 1704 1705 1706 1707 1708 1709 1710 1711 1712 1713 1714 1715 1716 1717 1718 1719 1720 1721 1722 1723 1724 1725 1726 1727 1728 1729 1730 1731 1732 1733 1734 1735 1736 1737 1738 1739 1740 1741 1742 1743 1744 1745 1746 1747 1748 1749 1750 1751 1752 1753 1754 1755 1756 1757 1758 1759 1760 1761 1762 1763 1764 1765 1766 1767 1768 1769 1770 1771 1772 1773 1774 1775 1776 1777 1778 1779 1780 1781 1782 1783 1784 1785 1786 1787 1788 1789 1790 1791 1792 1793 1794 1795 1796 1797 1798 1799 1800 1801 1802 1803 1804 1805 1806 1807 1808 1809 1810 1811 1812 1813 1814 1815 1816 1817 1818 1819 1820 1821 1822 1823 1824 1825 1826 1827 1828 1829 1830 1831 1832 1833 1834 1835 1836 1837 1838 1839 1840 1841 1842 1843 1844 1845 1846 1847 1848 1849 1850 1851 1852 1853 1854 1855 1856 1857 1858 1859 1860 1861 1862 1863 1864 1865 1866 1867 1868 1869 1870 1871 1872 1873 1874 1875 1876 1877 1878 1879 1880 1881 1882 1883 1884 1885 1886 1887 1888 1889 1890 1891 1892 1893 1894 1895 1896 1897 1898 1899 1900 1901 1902 1903 1904 1905 1906 1907 1908 1909 1910 1911 1912 1913 1914 1915 1916 1917 1918 1919 1920 1921 1922 1923 1924 1925 1926 1927 1928 1929 1930 1931 1932 1933 1934 1935 1936 1937 1938 1939 1940 1941 1942 1943 1944 1945 1946 1947 1948 1949 1950 1951 1952 1953 1954 1955 1956 1957 1958 1959 1960 1961 1962 1963 1964 1965 1966 1967 1968 1969 1970 1971 1972 1973 1974 1975 1976 1977 1978 1979 1980 1981 1982 1983 1984 1985 1986 1987 1988 1989 1990 1991 1992 1993 1994 1995 1996 1997 1998 1999 2000



ტფილისი

საქართველოს ენის ეროვნული ბიბლიოთეკის ტიპოგრაფია

1895

168 მპ/ბ. (27x15) (ყ. 9)

საქართველოს
საბჭოთაო

საქართველოს
საბჭოთაო

Дозволено цензурою. Тифлиси, 25 Юния 1893 года.



ს ი ბ რ ძ ე მ ი ბ ა ლ ა ვ ა რ ი ს ი

გვითხრობდა ჩუენ ძამა ისაკ, ქე სოფროან ზაღუ-
სტინელისა, და ანს წიგნი ესე სიბრძნე ბაღავა-
რისი, რამელი იყოფებოდა უდაბნოთა მძოვანთა
თანა. გუჯუტოხენ ძამაჲ!¹

მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოე წიგნი ესე
ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი
ამის სოფლისანი ფრიად სარგებელნი სულისანი.

იყო ვინმე მეფე ქუეყანასა ჰინდოეთისასა, ად-
გილსა, რომელსა ჰრქვან ბოლატ, და სახელი მისი
იბენეს.² იყო იგი წარმართ კერპთ მსახური; ხოლო
კაცი იგი იყო³ მშვიდი და მდაბალი, და ფრიად მო-
წყალე გლახაკთა; და არა ესეა მას შვილი, და მწუ-
ხარე იყო იგი უშვილოებისათს, რამეთუ ფრიად მდი-
დარი იყო იგი, და სწადოდა, რათამცა დაუტევა მკვ-
დრი მონაგებთა ზედა. ამისათსცა ევედრებოდა ღმერთ-
თა მათ მისთა, რათა მიანიჭოს მას შვილიერობა; ხო-
ლო იგინი ვერა რას შემძლებელ იყუნეს კეთილისა
ყოფად მისდა, ამისათსცა ცუდ იქმნებოდა ვედრება
მათი; გარნა ღმერთსა, რომელსა ყოველთა კაც-
თა ჰნებავს ცხოვრება, მოწყალეებისა მისთს, რო-

მელ ჰყოფდა გლახაკთა ზედა, მიანიჭა მას შვილი
კეთილი და სამღთო, და აღივსო სიხარულითა დი-
დითა, და უწოდა სახელი მისი იოდანაფ, და თქუა:
„ესე მიყუეს ღმერთთა ჩემთა“, და უმეტეს აღიდნა
იგინი; და შეკრიბა სიმრავლე ვარსკვლავთ მრიცხველ-
თა, და ფილასოფოსთა, და მემარგეთა,⁴ რათა აუ-
წყონ, თუ რა წინა უც ძესა მისსა.⁵ ხოლო მათ ყო-
ველთა თქუეს ერთბამად, ვითარმედ მიიწვევის ყრმა
ვგე დიდებასა მეფობისასა, რომელ არა სადა ვინ მი-
წვენულ არს ქუეყანასა ამას ჰინდოეთისასასა. ხოლო
იყო მათ შორის კაცი ერთი, მეცნიერი სიბრძნესა,
უფროს ყოველთა, და ჰრქუა მეფესა: „მე ესრეთ ვგო-
ნებ, მეფეო, დიდებასა, რომელსა მიიწვევის ყრმა ესე,
არა არს ამის სოფლისა, არამედ ესრეთ ვჰგონებ, ვი-
თარმედ დიდი წინამძღვარი იყოს გზასა⁶ ქეშმარიტე-
ბისასა. ხოლო ვითარცა ესმეს მეფესა სიტყუანი ესე,
აღივსო მწუხარებითა, და მაშინ ბრძანა მონათა მათ
ქრისტესთა განსხმა ქუეყანისაგან მისისა, და ქადაგი
წარავლინა კობად ესრეთ: „ამას იტყვის აბენეს მეფე,
უკეთუ ვინ ჰპოოს ქრისტიანეთაგანნი შემდგომად
სამისა დღისა, ძვირ ძვირითა ტანჯვითა მოსრნენ ყო-
ველნი“. ხოლო დღესა ერთსა განვიდოდა მეფე მო-
ხილვად გარეგან ქალაქისა, და იხილნა ორნი კაცნი,
ღუთის მსახურნი, განმავალნი ქალაქით, და ჰრქუა
მათ: „ვინა კადნიერ იქმნენით არა განსულოდ ქუეყ-
ნით ჩემით, ანუ არა გესმა, ვითარ კობდა ქადაგი
ჩემი?“



და ჰრქუეს მათ: „აჰა ესერა განსლვად ვალთ“
და ჰრქუა მათ: „რამან დაგაყენათ აქამომდე?“ და
ჰრქუეს მათ: „უპუოვარებამან საგძლისამან“.

ჰრქუა მათ მეფემან: „რომელთა ეშინის სიკუ-
დილისაგან, არღარა დროებს საგძლისათუს“.

და ჰრქუეს მათ: „უკეთუმცა გვეშინოდა, შემცა-
ვუესწრაფა განსლვისა, რამეთუ სიკვდილისა მიერ
განსუენებასა მოველით“.

და ჰრქუა მეფემან: „და ვითარ იტყვთ მაგას?
და აწ შიშისაგან ჩემისა განხვალთ ქუეყნით ჩემით,
ამას არა შიშისათუს სიკუდილისა იქმთა?“

და ჰრქუეს: „ჩუენ არა შიშისათუს სიკუდილისა
ვიქმთ განსვლასა ქუეყნით შენით, არამედ რათა არა
შემწე გექმნეთ სიბოროტესა შენსა, და მიზეზ გე-
ქმნეთ უღთოებისა, ხოლო შიში შენი არაოდეს მო-
სრულა გულთა ჩუენთა“.

ხოლო იგინი განუტევენა და ბრძანება დადვა,
რათა რაოდენნი ჰპოვნენ ქრისტიანენი, ყოველნი ცე-
ცხლითა დაწვან.

ხოლო მეფესა აბენესს ესვა კაცი ერთი სახე-
ლით ბლავარ, და იყო იგი ღუთის მსახურ და მორ-
წმუნე, და მოსავი ქრისტესი, და უყუარდა ფრიად
მეფესა, რამეთუ იყო იგი გონიერ და ფრთხილ და
მწერალ კეთილ, და უწარჩინებულ ყოველთა იყო
წინაშე მეფისა, და არა იცოდა მეფემან აბენესს, თუ
მონა არს იგი ქრისტესი, და ყოველთა წარჩინებულთა
მისთაგან უმეტეს პატივსცემდა.

ამან ბალავარ ოდესმე იხილა მიმავალმან გზასა ზედა კაცი მდებარე, რომელი მკეცისა მიერ ვნებულ იყო და ასოთავან ფერკთა და კელისა დაკლებულ იყო,⁸ და ტიროდა კაცი იგი, და ჰკითხა მას ბალავარ: „რად ესრეთ ხარ, კაცო, და სტირ?“

ჰრქუა მას კაცმან მან ყოველივე⁹ და „მე ესე მოცახსენო: მე ვარ კაცი სიტყუის მკერავი¹⁰ და მკეცვისაგან შექმულ ვიქმენ, და დაკლებულ ასოთავან და აწ, უკეთუ ვინმე მიღვაწოს, საკმარ მისსა ვიყო დღესა ჭირისასა;“ ხოლო მან სიტყუანი არად შერაცხნა, გარნა შეეწყალა და უბრძანა მონათა, რათა აღსვან ჰუნესა და მიიყუანონ მის თანა სახედ თვსად,¹¹ და¹² უბრძანა სახლის მოძღვარსა, რათა კეთილად იღუწიდეს მისთვის და ნუგეშინისცემდეს.

ხოლო ბალავარს შეემტვერნეს¹³ კაცნი იგი კერპთ მსახურნი, რამეთუ შურდათ მისთვის პატივი იგი მეფისა, რომელ წინა უყოფდა მას, და მივიდეს და ჰრქუეს მეფესა: „ჴი, მეფეო, კაცისა მის, რომლისა დაგიც სასოება, არა არს სჯულისა შენისა: რამეთუ უკეთუ ჰპოოს კაცთა მათგანი ქრისტიანეთა, მოწლედ მოიკითხავს, და აწ ჰნებავს განდგომილება შენი და დაპყრობად მეფობისა შენისა, და რომელნიცა პოვის განდრეკილნი მეფობისაგან თქუენისა, მოსწრაფებით ჰყუარობს მათ და პატივსა წინა უყოფს“.

და ჰრქუა მათ მეფემან: „უკეთუ არა იყოს ეგვიპთიარცა სთქუთ, ბოროტი წინა გიცთ“.¹⁴

და მოუწოდა მეფემან კაცსა მას ღუთისასა და

იწყო გამოცდად მისსა, და ჰრქუა: „შენ უწყობი ვიცი, თარ შეყოფილ არს გონება ჩემი სოფელსა ამას შინა და ვითარ აღვასრულენ დღენი ჩემნი, მხედავ, რამეთუ ცუდად ვშურები და მეშინის,¹⁵ ნუ უკუე მოიწიოს აღსასრული და მე ცარიელი ვიპოო, აწ უკუე მნებავს, რათა ამიერითგან შევერთო მონათა მათ ლუთისათა, და ვიღვაწო საუკუნოსა მისთვს ცხოვრებისა; აწ შენ რასა იტყვ, ერთგულო და თანა მზრახველო ჩემო?“

და ვითარცა ესმა ესე კაცსა მას ლუთისასა, აღძრა გონება მისი და ცრემლყოდა, და ჰრქუა მას: „ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე, რამეთუ წარმავალისა წილ აღგიჩვევის წარუალი და უმჯობესი, რამეთუ არა რა არს სოფლისა ამის დიდება, რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს და ვითარცა კუამლი განქარდების, აწ წარმართე გულის სიტყუა შენი, რამეთუ კეთილ არს, რათა წარმავალისა ამის დატევებითა წარუალი იგი სოფელი¹⁶ მოიყიდო.“ და დამძიმდეს სიტყუანი ესე წინაშე მეფისა, და აღივსო მანკიერებითა მისთვს და არა გამოუტახადა მას.

მაშინ გულისკმა ყო ბალავარ, რამეთუ საცთური დაგებულ არს მისთვს და არა უწყოდა, თუ ვინა არს საცთური იგი და შესჭირდა ფრიად, და დაადგრა ღამესა მას უძილად, და მოეკენა კაცი იგი სიტყვს მკერავი,¹⁷ მოუწოდა და ჰრქუა მას: „შენ მეტყოდე, ვითარმედ განჰვკურნებ სიტყვთა წყლოულსა“.




და ჰრქუა მას კაცმან მან: „და არსცა ეგრეთვე უკუე გიკმს რამე აწ“.

ხოლო მან ჰრქუა: „ესოდენთა ჟამთა ვმონე მეფესა და არა სადა ვიხილე მკსინვარება მისი ჩემდამო, რამეთუ ერთგულებით ვილოდე წინაშე მისსა, ხოლო დღეს ვიხილე იგი ჩემდამო და ვჰგონებ, რამეთუ არა არს მშვიდობა მის თანა“¹⁸.

და ჰრქუა ვნებულმან მან: „და რა მიზეზი იყო შორის შენსა მისსა?“ ხოლო მან ჰრქუა: „არა რა უწყი სხუა, რამეთუ სიტყუა ერთი მრქუა და მე ვაწვიე უმჯობესსა, და ვჰგონებ, რომელ განმცადა სიტყვთა და ყოველი წარმოუთხარ“.

და ჰრქუა ვნებულმან მან: „მე განვჰკურნე სიტყუანი ესე შეწევნითა ქრისტესითა და ძალითა ჯუარისათა, ესე უწყოდე, რამეთუ ბოროტი იჰვი აქუს მეფესა შენდამი, რამეთუ ზაკვთ ზრახავს შენთვს და გონებს შენ მიერ დაპყრობასა მეფობისა მისისასა; აწ აღდეგ ზვალე და დაიკუტცე თმა თავისა შენისა, და განიძვარცე სამოსელი ეგე შენი, და შეიმოსე ძაძისა, და ეგრეთ შევედ წინაშე მეფისა, და, უკეთუ გკითხოს, თუ რა არს ესე, არქუ მას: „რისათვისცა შენ მე მიწოდე,¹⁹ მე ესერა განმზადებულვარ, რამეთუ არა მნებავს თვნიერ შენსა ცხოვრება, რამეთუ მიზიარე კეთილთა ამათ სამეფოთა შენისათა, აწ თანა მაც, რათა გეზიარო ჰირთაცა შინა ამის სოფლისათა, და ვითარცა ვინა²⁰ უკუე შენ მიერ ვიტანჯოცა შენთანა და რათა შენთანავე ღირს ვიქმნე საუკუნოდ“.



და ყო კაცმან მან, ვითარცა ასწავა მას ვნებულ-
მან, და აღმოვიდა იქვი გულისაგან მეფისა, და გან-
ბოროტნა შემასმენელთა მათთვის ბალავარისთა, და
ბალავარ იშვებდა სიხარულითა, და კუალად მოეგო
თმა თავისა თვისისა; და კუალად შეუკდა შური მთა-
ვართა მათ ბალავარისათვს, და ჰრქუეს მეფესა: „მე-
ფეო, თუ განიხილო ყელი²¹ ბალავარისა, იხილო მის
თანა ჯუარი, რომელსა თაყუანისცემს იგი, და ღმერთ-
ნი ჩუენნი საბასრობელ არიან მის წინაშე“. ხოლო
მეფე ჰგონებდა, თუ ტყვლსა იტყვან მისთვის, და მი-
ჰყო კელი, და იხილა ჯუარი ოქროსა მკერდსა ზე-
და მისსა, და ჰრქუა: „რა არს, ბალავარ, ცთომილე-
ბა შენი?“

ხოლო ბალავარ ჰრქუა: „ჰი, მეფეო, არა ვარ მე
ცთომილ, რამეთუ სიყრმით ჩემითგან ვმონებ ქრის-
ტესა და თაყუანისცემ ჯვარსა, რომელსა ზედა კელ-
ნი განიპყრნა კსნისათვს ჩუენისა; ხოლო მსახურება
შენი არა რა ოდეს დამიკლია, და აწ, ვინათგან
განცხადნეს სახელი ქრისტეს ღუთისა ჩემზედა, მე
არღარა უარ ვყო ღუთაება მისი, უკეთუ კორცნი
ჩემნი დასჭრნე, გინა ცეცხლითა დასწუნე, გარნა
სულსა ჩემსა კელთა მისთა შევევდრებ“.

ჰრქუა მას მეფემან: „ნუ ეგრეთ იტყვ, საყუა-
რელო ჩემო ბალავარ, რამეთუ კაცი ხარ დიდებუ-
ლი და უპირატესი წინაშე ჩემსა, და უკეთუ თაყუა-
ნისცე ღმერთთა ჩემთა, მოგცნე შენ სხვანიცა ქა-
ლაქნი, და საჭურჭლენი ჩემნი შენ ზედა დავაცა-

რიელნე, რამეთუ ფრიად საყუარელ ხარ წინაშე ჩემსა,
და, უკეთუ ესე არა ჰყო, სატანჯველითა სასტიკითა
განვლივნი კორცნი შენნი და არღარა მოვიხსენო
სიყუარული შენი“.

მაშინ განიკნა სარტყელი ოქროსა კაცმან მან
ლუთისამან შემკული თვალებითა პატიოსნითა და
დადვა წინაშე მეფისა და თქუა: „უკვე თუ დამარქუა“²²
თავსა ჩემსა გვრგვნი მეფობისა შენისა, პატივისა მის-
თვს ვერ შეარყო ქრისტეს მიმართ სარწმუნოება
ჩემი, და უკეთუ ტანჯვითა განლივნი კორცნი ჩემ-
ნი, ვერავე შემადრწუნო, რამეთუ ზეცისა კეთილნი
უზესთავს არიან, ვიდრე ქუეყნიერთა, რომელთა შინა
ვიშვებთ სამარადისოდ, და ჯოჯოხეთისა სატანჯველ-
ნი უმწარეს, რომელსა შინა დასჯად არიან წინა-
აღმდგომნი ლუთისანი და უარის მყოფელნი; ხოლო
მე, მეფეო, მზა ვარ ტანჯვად, და შენ ნუ სდროებ,
რათა აღრე წარვიდე წინაშე მეუფისა ჩემისა, რათა
განვისვენო მუნ უკუნისამდე“.

ხოლო სიტყუათა ამათ ზედა მეფე ღმობიერ
იქმნა და ჰრქუა: „ჟომე, საყვარელო ბალავარ, ვი-
თარ წარმიკუეთე სასოება და ურჩ ექმენ ბრძანებასა
ჩემსა! აწ წარვედ ქუეყნისაგან ჩემისა და ნუმცა მეს-
მის ამბავი შენი ყურთა ჩემთა და, უკეთუ გპოვოლა,
უბრალომცა ვარ სისხლისაგან შენისა“.

ხოლო მან კაცმან ლუთისამან დაუტევა²³ დიდება
ესე წარმავალი და მძოვართა თანა წარვიდა მონებად
იესოს ქრისტეს, ლუთისა ჩვენისა.

ხოლო მეფემან ძესა თვსსა აღუშენა ქალაქი და მუნ შინა ყოფა ძესა მისსა და უბრძანა, რათა ბერი კაცი არა უტეონ მას შინა ყოფად, და მისცნა მონანი სარწმუნონი, რათა მსახურებდენ ძესა მისსა, და მისცა ზანდარ²⁵ მზრდელად, და ამცნო მას, და ჰრქუა, რათა ბერი კაცი, გინა სნეული, არა უჩვენოს, და არცა სიკუდილი უკსენოს, რამეთუ სწადოდა აღზრდა მისი სიხარულით და შვებით, რათა არა რა შექირვებით შეემთხვიოს რა, გინა სიბერისათვის, გინა უძლურებისა, გინა თუ სიკუდილისათვის.

და ვითარცა აღიზარდა ყრმა იგი კეთილითა სიჭაბუკითა, სისრულესა შინა ჰასაკისასა ისწრაფდა მამა მისი, რათა არა რა დააკლდეს წურთილობა სიბრძნისა, რომელნი ჯერ არიან მეფეთათვის.

ხოლო ყრმა იგი ფრიად მიმღებელ იყო სიბრძნისა და შემწყნარებელ სწავლულობისა, და გამოემძიებელ ყოველთა სიტყუათა გონიერებისათა. ხოლო მეფე განკვრევებულ იქმნა საქმესა ზედა მის ყრმისასასა და სიტყუათა მათთვის, რომელ თქუა ვარსკვლავთ-მრიცხველმან, და არავის შეუტეობდა შემაგალსა მისდა²⁶ ხოლო იგი ზედასა ზედა მივიდის, რამეთუ უყუარდა, და არავის შეუტეობდა, და არცა მას განუტეობდა განსლვად ქალაქისაგან, და იწყო ურვად, და გულის ზრახვად ამის ჯერისათვის და მერმე თქუა: „მამა ჩემი უფროს ჩემსა არს და იცის უმჯობესი ჩემთვის“.

და ვითარც მიიწია სიბრძნესა სისრულისასა,²⁷

თქუა გულისა შინა თვისა: „ჰასაკი მაქუს, რად არა აღვირჩევ უმჯობესსა და გამოვიწულოლავ, თუ რა არს შეწყდომილობა ესე ჩემი?“ თქუა: „უკეთუ ვჰკითხო მამასა ჩემსა შეწყდომილება ჩემი, არავე მითხრას ჰეშმარიტი, და ნუ უკუე შეფოთსაცა შევაგდო“. და იწყო მზრდელისა მიმართ თვისისა პატივთა წინა ყოფა, და ფრიად პატივსცემდა, და წაღმართცა უქადგებდა, და რქუა: „უკეთუ მითხრა ჰეშმარიტი, რა იგი გკითხო, უმეტესი პატივი ჰპოო წინაშე ჩემსა, რა ჟამს იგი მეფე ვიქმნე, და უკეთუ ჰეშმარიტი არა სთქუა, დასასრულ იყო სიყუარულისა ჩემისა შენდა მიმართ“.

ხოლო მან ამცნო ყოველივე, რაცა ჰკითხა, და ჰრქუა: „დაჰფარე ყოველივე, რაცა მიგითხრა და მოგახსენო“. და ვითარცა მოიმტკიცა იგი, ჰრქუა: „რა გნებაეს?“

ხოლო მან უბრძანა: „რა არს შეწყდომილება ესე ჩემი ქალაქსა ამას შინა?“

მიუგო მზრდელმან და ჰრქუა: „მოგახსენო საქმე ესე და ზედა მიგაწიო: ოდეს იგი იშევ შენ, მამან შენმან ყო სიხარული დიდი და მოხდა ყოველთა ვარსკულავთ მრიცხველთა, და ჰკითხა დაბადებისათჳს შენისა; ხოლო მათ ყოველთა აუწყეს დიდსა დიდებასა მიცემა; ხოლო უმეცნიერესმან მათ ყოველთამან ჰრქუა, ვითარმედ, „მეფეო, ძე ესე შენი მიიწვევის დიდსა დიდებასა მეფობისასა, და ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ დიდი წინამძღვარი იყოს

გზისა ჭეშმარიტებისა და წინა-აღმდგომ სჯულისა-
შენისა იქმნების და არა ამა²⁸ ღმერთთა ჰქადაგებს,
რომელთა შენ მსახურებ და ჰმონებ“.²⁹ ამისთვის შეე-
შინა მამასა შენსა, ნუ უკუე მისდრკე ნებასა მისსა
და უცხო სჯული შემოიღო, და შემოიყუანო, და
შეიყუარნე კაცნი იგი ღუთის მსახურნი.

და ჰრქუა ყრმამან მან: „და რა კაცნია ღუთის
მსახურნი?“

ხოლო მიუგო: „ესე ვითარნივე არიან, ვითარ ესე
ჩუენა ვართ და ზეცათა ღმერთსა მსახურებენ; ხო-
ლო მამამან შენმან რომელნიმე ტანჯნა და სხვანი-
ცეცხლითა დაწუნა, და რომელნიმე განასხნა საბრძა-
ნებელისაგან მისისა“.

და ჰრქუა მას იოდასათ, ძემან მეფისამან: „და
ალარავინ იპოვების მათგანი ქუეყანასა ამას ჩუენსა?“

ხოლო მან ჰრქუა: „არა“.

და ვითარ ყოველივე განუმარტა, არლარა მი-
უგო; და ვითარცა მოვიდა მამა მისი, ჰრქუა: „მნე-
ბავს ცნობად საქმე ერთი, რომლისა მიერ დიდსა
ურვასა და მწუხარებასა შინა ვარ მე“.

და ჰრქუა მამამან: „მკითხე, შვილო ჩემო!“

მიუგო: „მამო ჩემო და უფალო, თუ რომლი-
სა საქმისათს იქმნა შეწყუდევა ჩემი ადგილსა ამას,
და რასათს აყენებ კაცთა შემოსლვად ჩემდა?“

ჰრქუა: „ამისთვის, შვილო, რათა არა შეზრუნდეს
გული შენი და კიდე ვყუნე ყოველნი ვნებანი შენ-
გან“.

ჰრქუა ყრმაჲან: „უწყოდე, მეფეო, საქმითა ამით, რომელ გიყოფია ჩემდა, ყოველნი საშვებელნი ჩემნი სიმწარედ გარდაგიქცევინ, რამეთუ სული ჩემი სურველ არს განსლვად გარეგან კართა ქალაქისათა; ხოლო აწ გევედრები, რათა განმიტეო და ვიხილო ქუეყანა, და არა სადა გარდავკდე მცნებათა შენთა“.

ესე რა ესმა, შეიწრდა გული მეფისა და თქუა გულსა თვსსა: „უკეთუ დავაყენო ნება მისი, განმრავლდენ ურვანი მისნი, და განუწირო ყოველი საშვებელი მისი“, და ჰრქუა: „შვილო, უკეთუ გნებაეს რა, დღეს აღსჯედ³⁰ საკედარსა ზედა და განვედკაცთა თანა, და იყავნ ნებისაებრ შენისა“. და ამცნო მეფემან, რომელნი განჰყუებოდეს ყრმასა მას, რათა წინა უვიდოდენ, და, უკეთუ ჰპოებდენ კაცთა ბერთა, გინა სნეულებით შეჰყრობილთა, გზისაგან კიდე განიყუანებოდენ, რათა არა იხილნეს საქმენი კაცთანი და შესჭირდეს რამე საწუთოთა ამათგანი; ხოლო იგინი ესრეთ ჰყოფდეს.

ხოლო დღესა ერთსა ვიდოდა რა ყრმა იგი, იხილნა ორნი კაცნი: ერთი გონჯი და ერთი მწყურხარე, რომელი სხუასა მიჰყუანდა, და ზარგანკდილი იქმნა, და ჰკითხვიდა მათთვის, და ჰრქუეს: „ესე კაცი არიან და ვნება შეემთხვევია, ვითარცა სხვათა კაცთაცა შეემთხვევის“.

და ჰრქუა: „ესე ყოველთა კაცთა შეემთხვევისა?“

ხოლო მათ ჰრქუეს: „არა, არამედ ზოგთა, რა-

მეთუ რომელთამე შეემთხვევის და რომელნიმე და-
უშთებინა“.

მაშინ განჰკრთა გონებით, და იქცა დამძიმებუ-
ლი და კუალად, ოდეს განვიდა, და მოყუასნი იგი,
წინა-მავალნი უდებ იქმნეს, და იყო გზასა მასა ზე-
და ბერი კაცი მდებარე მოუძღოურებული, რომლისა
თმა სპეტაკ იყო, ვითარმცა მატყლი, და პირსა მის-
სა კბილი არა იყო, და სიტყუა მისი ფლაფონით იყო,
და, ვითარცა მივიდოდა ძე მეფისა, იხილა იგი და
შეეზარა, და ჰრქუა ზანდან მზრდელსა: „რა არს
ესე?“.

ხოლო მან ჰრქუა: „ესეცა კაცია“.

და ჰრქუა მას: „და რასა შეუქმნიეს ესრეთ?“

ხოლო მან ჰრქუა მას: „წელიწადისა სიგრძესა“.³¹

და ჰრქუა: „რა არს წელიწადი?“

მიუგოა ზანდან: „თორმეტი თვე“.

და რა არს თვე?— „ოთხი კვირა“.

და რა ზომსა წელსა შეიქმნების ესრეთ?“

მიუგოა: „ოთხმეოცსა წელსა, გინათუ ასსა იქ-
მნების“.

ხოლო იგი იყო გონებითა ვრცელი და სი-
ბრძნითა სავსე, და აღრაცხნა თვენი და წელიწადნი
და თქუა: „ვითარ ვხედავ, აღრე მიუთქს³² დღე დღე-
სა და წელიწადი წელიწადსა, და ასთა წელთა დასა-
სრული აღრე იქმნების, და აწ რალა წინა უცს კაც-
სა ამას?“

და ჰრქუა მან ზანდან: „და ამისა შემდგომად სიკუდილი“.

და ჰრქუა იოდასაფ: „და რა არს სიკუდილი?“
ხოლო იგი ვერღარასა დაჰფარვიდა და ჰრქუა:
„განქარდების საკსენებელი ამისი ქუეყანით“.

და ჰრქუა: „მამა ჩემი ესევითარად იქმნებისა და
შენ ესრეთვეა?“

და ჰრქუა: „ეგრეთ და ეგრეთვე შენცა და ყო-
ველნი კაცნი ესრეთვეა“.

და ჰრქუა: „ცე ეგრეთ, უკეთუ საზომსა მაგას
მიიწივნენ, ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელ-
ნი ოდეს იმუნენ, მაშინვე წარიტაცებს სიკუდილი,
და რომელთამე მცირედ რა აღიზარდნენ, და ზოგთა,
ჰასაკთა რა მოვიდენ“.

და ჰრქუა: „მე აწ თანა მაც სიკუდილი?“³³ — „და
არა შენ მხოლო, არამედ ყოველთა კაცთა“.

მაშინ შეძრწუნდა ძე იგი მეფისა და მწარედ
აღდუნა გული მისი, ტიროდა და ეტყოდა ზან-
დანს, მზრდელსა მისსა: „და არა არს ქუეყანა, რო-
მელსა ზედა არა მიიწიოს კაცთა ზედა ესე ვითარი
საღმობა, ვითარ იგი წინაწარ ვიხილენ უძლოური
და აწ ამას ვხედავ? ხოლო კუალად უძნელეს ამიჩნდა
სიკუდილი!“ და კუალად იცემდა მკერდსა, ტიროდა
და ეტყოდა: „მაუწყე, თუ არსა ქუეყანა, რომელსა
შინა განვერე საღმობათაგან?“

მაშინ ტიროდა ზანდან მზრდელიცა და ეტყო-
და: „არა არს ქუეყანასა ზედა ეგე ვითარი ქუეყანა,




ჭი ძეო მეფისაო, რომელსა შინა განსჯენენ ცაცნი
საღმობათაგან და სიკუდილისაგან“.

და კუალად ჰკითხვიდა: „და რა იქმნებოდა
ნი შემდგომად სიკუდილისა?“

ჰრქუა მას მზრდელმან მან: „კაცი იგი ღუთის
მსახურნი ესრეთ იტყოდეს, ზეცას ღმერთი არსო და
მას დაუბადებია ცანი და ქუეყანა, ზღუანი და უფ-
სკრულნი³⁴, მზე და მთოვარე, და ვარსკულაენი, და
ბრძანებითა მისითა იქმნებოდა ძრვანი, ჰაერნი³⁵ და
ქუხილნი, და ქარნი, და კაცი კელითა შეუქმნიო
მიწისაგან, და სული თვისი შთაუბერავს უკუდავითა³⁶;
და უკეთუ მას ვინმე მსახურებდეს და მცნებათა
მისთა ვიდოდეს, და თაყუანისცემდეს მასო, სამოთხე
უთქს³⁷ და სასუფეველი, და შემდგომად სიკუდილისა
მუნ წარიყუანებს, და მას შინა განუსვენებს; ხოლო
მამისა შენისა ფილასოფოსნი ზოგნი მოკუდავად
იტყვან სულსა და ზოგნი უკუდავად“.

ესე ყოველი რა ჰრქუა ზანდან, მეფისა ძე იქცა
გარე და წარვიდა საყოფელადვე თვსად და თქუა გულ-
სა შინა თვსსა: „არღარა³⁸ ამაო არს ცხოვრება ესე
საწუთოსა ამათ თანა, რომელნი ესე ვიხილნენ და მე-
სმნეს, და მიერიტვან იგონებდა, თუ რამე ჰყოს, და
არღარად შერაცხა საშეველი ესე ამის სოფლისა,
და ამასვე ყოველსა თანა ესათნოებოდა მამასა, და
მირავიდის იგი მისსა, იწყის მან განცხრომად; ხოლო
ოდეს წარვიდის, იტყოდის გულსა შინა: „ღმერთო
ზეცათაო, მომივლინე მე კაცი მონათა შენთაგან,

80
87



რათა მაუწყოს მე გზა ჭეშმარიტებისა და ვილოდე მათ შინა, და ვიქმოდე მცნებათა შენთა წმიდათა“.

მას ჟამსა ბალავარ ცნა სულითა წმიდითა, ვითარმედ ძესა მეფისასა სწადს ნახვა კაცთა ლუთის მსახურთა, აღდგა და წარმოვიდა ადგილთაგან სამოძღვროთა, და მოვიდა სოფლად, და შეიმოსა სამოსელი ვაჭართა, და აღილო მოთხე³⁹ მცირე, და მივიდა კარად ძისა მეფისა, და ჰრქუა მეკარესა: „შევედ და აუწყე ზანდანს, ვითარმედ გიწეს ვინმე უცხო შორით მოსრული“.

ხოლო იგი შევიდა და, აუწყა, რა, გამოვიდა ზანდან მზრდელი, და ჰრქუა მას ბალავარ: „მაქუს მე თვალი პატიოსანი და, უკეთუ გნებავს, მიიღე იგი მეფის ძისათვის, რამეთუ უმჯობეს არს იგი წუმწუბასა⁴⁰ წითელსა⁴¹, რამეთუ ბრმათა აღუხილავს თვალთა და ყრუთა⁴² ასმენს, და უტყუთა ატყუებს⁴³, და უძლურთა ჰკურნებს, და ნაკლულევანთა განამიდრებს, და მტერთა ზედა მძლე ჰყოფს⁴⁴, და ყოველსა საწადელსა გულისასა მოატყუებს“⁴⁵.

ჰრქუა მას ზანდან: „კაცო, არას ვხედავ სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუანი შენნი ნამეტნავ არიან და მეშინის, ნუ უკუე განმამტყუნვო მეფისა ძისა⁴⁶, აწ მიჩუნენ, რათა ვიხილო, და ეგრეთცა ვაუწყო მისთვის“.

ჰრქუა მას ბალავარ: „ვერვინ შემძლებელ არს ხილვად მისსა, არა თუ იყუნენ მის თანა ორნი საქმენი—სიფრთხილე თვალთა და სიწმიდე კორც-

თა. ხოლო, უკეთუ იხილოს იგი მძიმედ მხედველ-
მან და ცოდვასა ზედა დადგრომილმან, ნათელი
თვალთა მოაკლდეს და საცნობელი გონებისა⁴⁷; და მე
კაცი ვარ მკურნალი, და ვხედავ მძიმედ მხედვარე-
ბასა შენსა⁴⁸, და მეშინის, ნუ უკუე მიგიტაცოს სი-
ნათლე თვალთა, არამედ მასმია მეფისა ძისა სიწმი-
დით ცხოვრება, და⁴⁹ ყრმა არს, და მახვილ თვალითა,
და იგი შემძლებელ არს ხილვად მისა, აწ ნუ ორ-
გულებ უწყებად მისსა, რამეთუ უკეთუ მიაწიო ესე
მისსა, შეგემატოს პატივი დიდი უმეტეს მოყუასთა
შენთა“, და უჩუენებდა მოთხესა მას, რომელი აქ-
უნდა.

მაშინ შევიდა ჩუენებად წინაშე მეფის ძისა
მზრდელი და უთხრა ყოველი, რომელი ესმა ბალა-
ვარისგან.

ხოლო სულსა მის ყრმისასა სწადოდა ხილვა
კაცისა, რათა ესმეს ვისგანმე სიტყუა სარგებელი სუ-
ლისა, და უთხრობდა⁵⁰ რა თვალისა მისთვის სიტყუათა
უცხოთა, იგრძნა სულითა, ვითამცა ეპოვა საწადე-
ლი მისი, და ბრძანა შეყუანება მისი წინაშე კაცისა
მის.

და, ვითარცა შევიდა ბალავარ⁵¹, დადგა წინაშე
მეფისა ძისა და ლოცვიდა მას. ხოლო ძემან მეფი-
სამან, ვითარცა ჯერ არს, პატივითა მოიკითხა იგი და
უბრძანა მზრდელსა, რათა განვიდეს მისგან, და უბრძა-
ნა⁵² ბალავარს, რათა უჩვენოს თვალი იგი.

მიუგო ბალავარ და პრქუა: „არა ჯერ არს, თუმ-



ცა უდებად რამე გამთხვიე⁵³, რამეთუ ქურჭელი ჩემი
ეგრეთ არს, ვითარცა გაუწყა მზრდელმან, ხოლო
უკეთუ იხილის იგი უძლურმან გონებითა, მოაკლდე-
ბის სახედველნი; ხოლო აწ მნებაეს გამოცდა შენი
სიტყუთა და, უკეთუ შემძლებელ იყო, გიჩუენო,
რამეთუ შენთვის მომიდიეს იგი და არავის სხვისათვის,
და მე ვესავ ღმერთსა, რამეთუ მიწდომილხარ საზომ-
საცა ხილვისა მისისასა, და მისწუთეცა, თუ ღმერთსა
უნდეს, რამეთუ მე გლახაკი ესე, ძეო მეფისაო, მი-
მითვალე და წინა მიყავ პატივი შეუსწორებელად“.

მიუგო ძემან მეფისამან: „ამისთვის ვყავ, რამეთუ
მაქუს შენგან თხრობა სარგებელისა“.

თხრობა ჰარკელი.

და ჰრქუა ბალავარ: „დალაცა თუ ჰყავ ესე ჩემ-
და მომართ, არავე საკვრველ არს, რამეთუ ყოფილ
არს მეფე ოდესმე, რომელი სახიერ იყო და სი-
მართლესა ეძიებდა, და, ვითარ იგი ვიდოდა გზასა
დღესა ერთსა სიმრავლითა ერისათა, იხილნა კაცნი
ვინმე შემოსილნი სამოსლითა უნდოთა და ბებკუ-
ლითა⁵⁴, დაყვთლებულნი ფერთა პირთა; ხოლო-
მეფემან იცნა იგინი და მსწრაფლ გარდამოკდა
ჰუნესა⁵⁵, და მოეხვია ყელთა⁵⁶ მათთა, და, იხი-
ლეს რა დიდებულთა მისთა, სიჩქურად შერაცხეს,
გარნა ვერა რა იკადრეს და მივიდეს წინაშე ძმისა მი-
სისა, რომელი კადნიერ იყო წინაშე მისსა, და ჰრქუეს:
„აუწყე ძმასა შენსა, რათა კულა არაოდეს ყოს საქ-

მე ესე ვითარი, რამეთუ კაცთა უნდოთა თაყუანისცა“.
ხოლო იგი მივიდა და აუწყა საქმისა მისთვის, ხოლო
მან არა მისცა პასუხი, და იყო ჩვეულება სამეფოსა
მისსა: რა ჟამს განრისხნის მეფე ვისსა ზედამე, წარა-
ვლინნის მონანი და დასცის სიკუდილისა საყვრი
კართა მისთა. და შემდგომად მცირედთა დღეთა წა-
რავლინნა მონანი და ჰრქუა: „წარვედით და დაჰ-
კართ საყვრსა სიკუდილისასა კართა ძმისა ჩემისათა“.
ხოლო იგინი წარვიდეს და ყუეს ეგრე. და ვითარცა
ესმა კმა იგი ძმასა მეფისასა, შეშინდა და იწყო ტი-
რილად და ტყებად, მერმე შეიმოსა სამოსელი სამკუ-
დრო და წარვიდა იგი ცოლით და შვილითურთ
კართა მეფისა ძმისა მისისათა, და ისხმიდეს ნაცართა
თავთა მათთა. მაშინ ბრძანა შეყუანება მათი წინაშე.
ხოლო იგინი ტიროდეს. და ჰრქუა მას მეფემან: „ვი-
თარ შეშინდი ქადაგისაგან ძმისა შენისა? არა უწყია,
რამეთუ ძმა შენი და ქადაგნი დაბადებულნი არიან
და ვერა რას შემძლებელ არიან წარმართებად ნები-
სა მისისა, და ვერცა გარე მიქცევად მოწვეწულსა
მათ ზედა, და ვითარ გიკვრდა დავრდომა ჩემი წი-
ნაშე მათსა, რომელნი ქადაგნი იყუნეს უფლისა ჩუე-
ნისა იესო ქრისტესნი, რომელნი მომაკსენებენ და
მაუწყებენ სასჯელთა საუკუნოთა, და ამას თანა უწყ-
ნი მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი წინაშე მისსა;
ხოლო მე ვამხილნე მათცა საქმენი მათნი, რომელნი
მაბრახლობენ წინაშე შენსა, თუ რად პატივისცა მო-
ნათა ღუთისათა“.

და ჟამსა ერთსა შევიდა საჭურჭლესა თვისსა და მოიხუნა კიდობანნი ოქროთა და მარგალიტითა შემკულნი, და მოაღებინა ნაგევთაგან სკორე მყრალი და ძვალეები მძორისა, და სხვა სასძაგელე ბაყლები⁵⁷, და კიდობანთა მათ შინა ჩადვა ყოველი, და დაჰკრძალა ზედა ბექდითა, და კუალად მოიხუნა სხუანი კიდობანნი⁵⁸, უშვერად შექმნილნი, ფისითა შეგოზილნი, და შთადვა მას შინა თვალეები პატიოსნები, და რაცა უმჯობესი ჰოვა საჭურჭლეთა მისთა, და სხვა სურნელთაგანი მრავალი და დაჰკრძალა იგინიცა, და მოუწორა წარჩინებულთა თვისთა, და, ვითარცა იყოსიხარული, უბრძანა მეჭურჭლესა თვისსა, რათა მოიხუნენ კიდობანნი იგინი. და მოიხუნეს და დაადგეს უბრძანა დიდებულთა⁵⁹ თვისთა, რათა დაათასონ კიდობანნი იგი. ხოლო მათ ვერ გულისკმა ყუეს და ჰრქუეს მეფესა: „ერთნი ისი⁶⁰ კიდობანნი არ ღირს არიან შემთხვევად ტაძარსა შინა შენსა, ხოლო მეორეთა იმათ არა დაედების ფასი“. მაშინ უბრძანა კიდობანთა მათ ახმა⁶¹, რომელთათვის ფასსა დიდად იტყოდეს, აღკაჰადეს და ამოჰკდა სიმყრალე სასტიკი, რომელ ყოველთა დაიდგეს პირსა ზედა კელი, და ამოჰყარეს მუნით ყოველი საძაგელი; და კვალად უბრძანა ბილწთა მათ კიდობანთა ახუმსა, და ამოჰკდა მუნით სული სულნელებისა, რომელ ყოველი იგი სიმყრალე დაჰფარა. და ამოჰყარეს მუნით სამკაული დიდ ფასისა და თვალეები პატიოსნები.

და ჰრქუა მეფემან: „გესმოდის ყოველთა დი-



დებულთა კიდობანნი ისი გარეთ კეკლუცნი ჩუენ ვართ, რომელნი ვიმკუებით ფერად ფერადითა სამკაულითა გარეგნით, ხოლო შინაგანი ჩუენი სული საესე არს ცოდვითა და სიმყრალითა; ხოლო რომელნი ღუთისათჳს და სახელისა მისისათჳს დამდაბლდენ და დაგლახანენ მარხვითა ლოცვითა და ფერითა დაყვთლდენ; ხოლო შინაგანი სულნი მათნი ესრეთ საესე არს სურნელებითა, ვითარცა კიდობანთა იმათ შინა იღვა სურნელი, და წინაშე ღუთისა ასე ბრწყინვენ, ვითარცა თვალნი ისი პატიოსანნი; აწ მე მაბრალობთ კაცთა მათ ღუთისათა მოკითხვასა, რომელთა შინაგანი ესრეთ არს; და ესე სახე შენი არს, ძეო მეფისაო, რამეთუ პატივმეც მე სასოებისათჳს, რომელსა ჰგონებ ჩემთანა“.

მაშინ აღდგა საჯდომთაგან და თქუა: „ნეტარ ვარ მე, რამეთუ ვპოე საწადილი სულისა ჩემისა, რომელსა ვეძიებ“. და მიექცა და ჰრქუა ბალავარსა: „კეთილ არს სიტყუა შენი და ჭეშმარიტ და ვჰგონებ, რომელ ეგე არს თვალი იგი, რომელსა ჰთვარავ, რამეთუ განამტკიცებს გულსა და განანათლებს თვალთა, და განაძლიერებს გონებათა, და უკეთუ ესე ესრეთ არს, ვითარ ვჰგონებ, მომეც სიტყუა შენი ნაცულოდ თუალისა, და აღმცარცვე მწუხარება გულისაგან ჩემისა“.

თხზობა მეორე.

ჰქუა მას ბალავარ: „პირი ღუთისა იტყჳს იგავ-

თა შინა სახარებისათა ერისა მიმართ: „გამოვიდა მთესვარი და იწყო თესვად, და რომელიმე დავარდა გზასა ზედა, და მფრინველთა აღიტაცეს, და რომელიმე კლდესა ზედა, რომელსა მიწა არ იყო, და აღმოსცენდა და განკმა, რამეთუ ძირნი არა დაებნეს, და სხუა—ეკალთა შორის, და აღმოსცენდა, და ეკალთა მათ შეაშთვეს; ხოლო რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა, და მრავალი ნაყოფი გამოიღო“. აწ მთესვარი იგი—მიმცემელი სიბრძნისა, და თესლნი იგი—სიტყუანი ჭეშმარიტებისანი. და რომელიმე დავარდა გზასა ზედა, და მფრინველთა წარიტაცეს, იგი არს, რომელი ესმის ყურსა და თანა წარვალს გულსა. და რომელი კლდესა ზედა დავარდა, აღმოსცენდა და განკმა, ესე არს რომელი ისმენს წუთ ერთ და მერმე არ დაამტკიცის გონებასა მისსა ზედა და განკმის. ხოლო რომელი იგი ეკალთა შეაშთვეს, ესე იგი არს, რომელთა შეიწყნარიან კაცთა სიტყუანი, და აღმოსცენდის რა მათ შორის გულის თქმითა, და სოფლისა საქმეთა შექცევითა შეაშთვიან. ხოლო რომელი იგი აღმოსცენდა და მრავალი ნაყოფი გამოიღო, ესე იგი არს, რომელი მოისთულის თვალმან და შეიკრიბის გულმან, და წარმართის გონებამან, და დაამკუნის გულისთქმანი, და განიწმიდის გული ვნებათაგან, და გამოიღოს ნაყოფი“.

ჰრქუა მას ძემან მეფისამან: „მე ვესაგ ღმერთსა, რათა, რომელი ჩემთანა დასთესო, აღმოსცენდეს კე-

თილად და გამოიღოს ნაყოფი. აწ მითხარ სახე სა-
წუთოსა და ვითარ აცთუნებს კაცთა“.

თხზობა მესამე.

ჰრქუა ბალავარ: „მსგავს არს საწუთო ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილო⁶² ამრიზებულო და მიაწყუდია იგი ჯურღმულსა საშინელსა, და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღკდა, და იხილნა კუალად ორნი თავუნი—ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირსა მას ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულიყო კაცი, და შთახედნა ჯურღმულსა, და იხილნა ვეშაპი, რომელსა აღეშკმო პირი და ეგულებოდა შთანთქმა მისი, და აღიხილნა ზე, და იხილა თაფლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყო ლოკა მისი, და კუალად არლარა მოიკსენა განსაცდელი, რომელსა შთაგრდომილ იყო; ხოლო თაგუთა მათ ხენი იგი წარსჭრნეს, და კაცი იგი დაეცა, და პილომან აღიტაცა და მიუგდო ვეშაპსა. აწ, ძეო მეფისაო, პილო იგი სახე არს სიკუდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცთასა, და ხენი იგი საწუთო არს, და თავუნი იგი—დღენი და ლამენი, და თაფლი იგი საწუთოსა ამის სიტკბოება არს, და შეაქცევს კაცსა გემოვნება საწუთოსა, და დღენი და ლამენი აღსრულდებიან, და სიკუდილი წარიტაცებს, და ჯოჯოხეთსა შინა ვეშაპი იგი შთანთქამს, და ესე არს ცხოვრება კაცთა“.

— და ჰრქუა ძემან მეფისამან: „განაცხოველე მა-
გით სული ჩემი და აწ მომეც სახე სოფლისა ამის
და მოყუარეთა მისთა“.

თხრობა მეათხე.

ჰრქუა ბალავარ: „სახე ამის სოფლისა ესე არს:
კაცსა ვისმე ესხნეს სამნი მეგობარნი. ერთი იგი უმე-
ტეს სხვათა უყუარდა, და მეორე იგი მეგობარი
უყუარდავე, ხოლო მესამე იგი მეგობარი შეურაცხ
იყო მის წინაშე; და შემდგომთა დღეთა მოიწივნეს
ბოროტნი მეფისანი კაცისა მის და წარმოჰყუნდეს
განსაკითხავად, და მივიდა საყუარელისა მის მე-
გობრისასა და ჰრქუა: „შენ უწყი, საყუარელო ჩემო,
ვითარ მიყუარ, აწ ესე რა წარმიყუანენ განსაკითხა-
ვად, შემეწიე ჭირსა ჩემსა“. მიუგო მან და ჰრქუა:
„არა ვარ მე აწ მეგობარ შენდა და არცა გიცი შენ;
მე სხვანი მისხენან მეგობარნი, რომელთა თანა ვი-
შვებდე; აწ მოგცნე ორნი სამოსელნი და იგიცა
არავე გერგენ“. და მივიდა მეორესა მის მეგობრისა
და ჰრქუა: „აწ სიყუარული შენი ჩემდა მომართ“, რო-
მელ მაქუნდა, აწ ესერა წარვჰყავ მე განსაკითხავად,
და შემეწიე ჭირსა ჩემსა“. მიუგო მან: „არა მცალ
დღეს შენდა, რამეთუ კმა არს ჭირი თავისა ჩემისა,
წარვედ გზასა შენსა, ამიერითგან არლარა ვარ მეგო-
ბარი შენი“, არამედ მცირედ გზა გყუე და მერმე მი-

ვიქცე ზრუნვად თავისა ჩემისა“⁶⁵. და წარვიდა მესამისა მეგობრისა, რომელსა იგი სძულობდა, და ჰრქუა მას: „სირცხვილ მიჩნს, გარნა მჭირს“⁶⁶, და მით მოვედ შენდა, შემეწიე მე, დაღაცათუ არა კეთილ ვყავ შენთანა“⁶⁷. ხოლო მან მხიარულებით⁶⁷ ჰრქუა: „მე ვარ მეგობარი შენი, რომელმან დავიმარხე კეთილი შენი მცირედი, და აწ აღნადგინებითურთ მივაგო შენ, და თანა მოგზაურ გექმნე და მეოხ ჰქირსა შინა, და არა მიგცე კელთა მტერთა შენთასა“.

მაშინ იწყოა სინანულად და თქუა: „რად არა შენ ზედა ვყავ ყოველი კეთილი, რომელ ორთა მათ მეგობართა ზედა წარვაგე ცუდად“.

ჰრქუა ძემან მეფისამან: „მაუწყე შეტყუებაცა“⁶⁸ მაგისი, წმიდაო!“ ჰრქუა მას ბალავარ: „მეგობარი იგი პირველი ვეცხლისა მოყუარება არს, რომელი ფრიად უყუარს კაცთა, და ვერას წარიტანს თანა, ოდეს იგი წარიყუანდეს სიკუდილი, და ოდეს წარადგინებდეს განსაკითხავად; ხოლო ორნი იგი სამოსელნი და საგრაგნელნი“⁶⁹, და მეორე იგი მეგობარი — ცოლი და შვილნი⁷⁰, რომელნი უყუარან და მათთჳს ზრუნავს სამარადისოდ, და დღესა მას განკითხვისასა ვერას არგებენ, არამედ საფლავამდე მიჰყუებნიან, მერმე თავისა ზრუნვასა შეექცევიან; და მესამე მეგობარი სული თვისია და არა ჰყოფს კეთილსა; ხოლო რომელმან იგი ყოს, დიდად შეერაცხების წინაშე ლუთისა, და რამეთუ ას წილადცა მიავებს ღმერთი ნაცვალსა“.

პრქუა ძემან მეფისამან: „უწყი, რამეთუ ყოველსა უწყებულსა ქეშმარიტ ჰყოფ“.

თხრობა მესხეთე.

აწ მითხარ სახე, ვითარ მაცთურ არს სოფელი ესე, და რომლითა ღონითა შესაძლებელ არს განრინება მისგან?¹

თქუა ბალავარ: „მე გაუწყო, თუ რომლითა ღონითა², რამეთუ არს ქალაქი და ესე წესი არს მუნ, რამეთუ უცხოსა კაცსა მეფე ჰყოფენ წელიწადსა ერთსა, გინა ნახევარსა, და, რა სრულ იქმნეს წელიწადი, მოსძრცვიან პორფირსა მეფობისასა, და ორითა სამოსლითა მისცემენ მას ექსორიობად. ხოლო ოდესმე დაადგინეს ერთი ვინმე და ცნა უკეთურება ქალაქისა მის, მოიმსტურნა კაცნი უცხონი და გლახაკნი და იღუმალ მისცემდა საფასეთა, რათა წარიღონ ქუეყანასა³ მას, სადაცა ექსორია ჰყოფენ მას, და ვითარცა ექსორია ყუეს კაცი იგი და მიიწია ადგილად, ყოველნი იგი წარგზავნილნი დაუნჯებულად დახუდა, და პოვა სარგებელი ერთი შვიდ წილად, და აწ იხარებს საუკუნოდ“.

პრქუა ძემან მეფისამან: „განმიმარტე ეგეცა“.

ხოლო მან პრქუა: „ქეშმარიტად ქალაქი იგი ყოველი სოფელი არს, და კაცნი ფლობილ არიან მას ზედა, და მეფობენ და იციან, ვითარმედ შემდგომთა ჟამთა მოსიკუდიდ არიან, და ორითა მათ

სამოსლითა მისციან საფლავად, და ყოველი ცხოვრება კაცთა დღე ერთი არს, და სიკუდილი და საფლავად მიცემა ექსორიობა არს; ხოლო რომელი ფრთხილ იყოს გონებითა, მისცემს იღუმალ გლახაკთა, უცხოთა და უღონოთა, შშიერთა, შიშველთა, და იყოს მოწყალე მშვიდ და მდაბალ გულითა⁷⁴, ხოლო ღმერთი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოწყალებისა მათისათვის მიაგებს ცხადად დაუნჯებულთა კეთილთა, სადა მპარავი ვერ განიპარავს და ვერცა მლილი განრჰყუნის, და მუნ შინა იშვებს უკუნითი უკუნისამდე“⁷⁵.

ჰრქუა იოდასათ: „არა სადა ასმიან მამა ჩემსა ესე ვითარნი სიტყუანი? რამეთუ მე სიტყუათა ამათ, რომელ მეტყუ, განმინათლდების გული და გონება განმხიარულდების, და ფრად იშვებს სული ჩემი“.

ჰრქუა ბალავარ: „არა ასმიეს ესრეთ ზედა მიწვენით“.

და ჰრქუა იოდასათ: „და რად არა იღვაწეს⁷⁶ ბრძენთა კაცთა იმისთვის?“

ჰრქუა ბალავარ ამისთვის⁷⁷, რამეთუ იცოდეს გული-სიტყუა მისი არა შემწყნარებელად, და ამისთვის დააცადეს თხრობა, რამეთუ ვერ ჰპოვეს ადგილი შეწყნარებისა⁷⁸ და თხრობად მისსა.

თხრობა მეექვსე.

ჰრქუა ბალავარ: „ესე სახე არს მეფობისა მის, რომელი განაგებდა საქმესა საწუთოხსათა, და ესეა“.

მას თანა მზრახველი კაცი სახიერი და სარწმუნო, და განყენებული ყოველისაგან საქმისა ბოროტისა, და ყოველსა კეთილსა აზრახებდა მეფესა კაცთათვის, რამეთუ იყო იგი სჯულიერ და ღუთის მსახურ და, ოდეს იხილის რა მეფე თაყუანისცემად კერპთა, შეძრწუნდის ფრიად და ელმის, ვითარცა ვის ელმისა შვილისათვის, და მრავალ გზის უნებნ მის თანა სიტყვს გება სჯულისათვის, და ჰკითხა მოყუარეთა ამის ჯერისათვის; ხოლო მათ ჰრქუეს: „შენ მეცნიერ ხარ შინაგანსა გონებისა მისისასა და, თუ ოდეს ჰპოო ადგილი, არქუ მას, არამედ კრძალვაცა ჯერ არს, რამეთუ დაუძინებელ არს ეშმაკი ბოროტისათვის, და ნუ უკუპ განაჰკრთოს იგი შენ ზედა, და ბოროტი გიყოს“.

ფრიად იურვოდა კაცი იგი მეფისათვის; და ჰრქუა მეფემან კაცსა მას ლამესა ერთსა: „მოგვალე ვიდო-დით ლამესა ამას ქალაქსა შინა, რათა ვიხილნეთ საქმენი კაცთანი“.

წარვიდეს და სლვასა მას შინა მიემთხვივნეს ნაგევთა დიდთა, მიხედა და იხილა მეფემან სინათლე რამე, ვითარცა ცეცხლისა მუნით გამო და ვითარცა მივლეს, იხილეს, ვითარცა ქუაბი, გამოთხრილი რამე ნაგევთა. მათ შინა იყუნეს კაცი და დედაკაცი შემოსილნი სამოსლითა ბებკულითა ძველითა და, ვითარცა ხედვიდეს⁷⁹, ესმოდა მუნით კმა სიმღერისა, და კაცი იგი ჯდა ინაკიდ სკორესა ზედა; ხოლო დედაკაცი იგი უროკვიდა წინა და შეასხმიდა ქებასა,

ვითარცა შვენის მეფეთათჳს და უფლით ხალოდა მას, ხოლო იგი დედოფლით, და ორნივე იხარებდეს და განსცხრობდეს; ხოლო მეფე იგი და თანა-მზრახველი მის მყოვარ ჟამ ხედვიდეს⁸⁰ და განიცდიდეს საქმეთა მათთა, და წარვიდეს განკვრეებულნი; და ჰრქუა მეფემან თანა-მზრახველსა მას: „არა სადა გუთნდა ცხოვრება ჩუენი, ვითარ ამათ გლახაკთა, და არცა ესრეთ მხიარულ ვართ, ვითარ ესენი, და ამას ვჰგონებ, ვითარმედ ამას შინა არიან ყოველნი დღენი ამათნი“.

მაშინ პოვა ალაგი სიტყჳსა თანა-მზრახველმან და ჰრქუა: „ნუ ჰგონებ, მეფეო, ვითარმედ დიდება და სუფევა, რომელსა შინა ჩუენ ვიშვებთ, ესე სახედ შერაცხილ არს წინაშე მათსა, რომელნი ღუთის მსახურებით ცხოვნდებიან, და სახლები ესე ოქრო ქანდაკებულნი, რომელნი ესე ვიშენენით, და სიშვენიერე ხატისა და ბრწყინვალება სამოსელთა, არად ჰკვრს მათ, რამეთუ ხედვენ იგინი კელით უქმნილთა ზეცისა ტაძართა, თვალთ შეუდგამთა, სამოსელთა და და ამისთჳსცა იხარებენ, რამეთუ მათ შინა იშვებენ უკუნისამდე, რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“.

და ჰრქუა მეფემან: „იცნია ესე ვითარისა სახისა მეცნიერნი კაცნი?“

ხოლო მან ჰრქუა: „ჴეშმარიტად არიან კაცნი, რომელნი მსახურებენ ღმერთსა: და სოფლისა ყოველივე დაუტევებიეს და საუკუნო იგი შეუყუარებიეს,

რამეთუ გამოსცადეს სოფელი ესე და ჰპოვეს ყოველი ურგებად და წარმავლად“.

ჰრქუა მეფემან: „და რა არს სუფევა საუკუნო? არა შეუთქსა¹ მწუხარება და სიმდიდრე?“

ჰრქუა მას თანა-მზრახველმან: „სუფევა საუკუნო შეება არს დაუსრულებელი, რომელსა არა შეუდგს მწუხარება და სიმდიდრე; რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე და სიხარული; რომელსა არა შეუთქს ურვა და სიმრთელე; რომელსა არა შეუდგს საღმობა და მეფობა; რომელსა არა შეუდგს აღსასრული და მშვიდობა; რომელსა არა შეუდგს შიში და ცხოვრება²; რომელსა არა შეამრღუევს სიკუდილი, რამეთუ იგი არს საუკუნო უხრწნელი და ამას ყოველსა მიიღებენ, რომელთა შეიყუარეს იგი“.

ჰრქუა მეფემან: „არსმე ვინ კაცი ღირს ადგილისა მის, ანუ ვინ შესლვად მუნ შემძლებელ არს?“

ჰრქუა თანა-მზრახველმან: „არავისთჳს დაკშულ არს კარი იგი, ვისცა ენებოს“.

ჰრქუა მეფემან: „რა არს გზა იგი? მითხარ!“

ჰრქუა მას: „მსახურება ღუთისა მხოლოსა, რომელმან დაბადნა ყოველნი დაბადებულნი“.

ჰრქუა მეფემან: „და რა გაყენებდა აქამომდე, თხრობად ჩემდა იგი გზა?“

ჰრქუა თანა-მზრახველმან: „ზარი მეფობისა შენისა“.

ჰრქუა მეფემან: „უკეთუ საქმე ეგე ესრეთ არს, არა გვიღირს, რათა უღებ ვიქმნეთ და კელ-



ვჰყოთ მას, რამეთუ თანა გვაც შრომა, რათა მივიწვიანეთ მუნ უშფოთველსა მას ცხოვრებასა?“

და ჰრქუა თანა-მზრახველმან: „აწ უკუე მიბძანებ, რათა მარადის გაუწყებდე და მოგახსენებდე ჟამითი ჟამად?“


ჰრქუა მას: „ნუ ჟამითი ჟამად, არამედ დაუცხრომელად დღე და ღამე იყავნ ზრახვა შენი“.

და შემდგომად იწყო ღუთის მსახურებად მეფემან და ღირს იქმნა იგი ადგილსა მას შესულად, რომელ ეტყოდა თანა-მზრახველი იგი, და ორნივე ცხოვრდეს საუკუნოდ.

ჰრქუა იოდასაფ ბალავარს: „არღარა არს ყოვლით კერძო სიყუარული ამის სოფლისა გონებასა ჩემსა, არამედ მსურის ცხოვრებისა მისთვის საუკუნოსა, და აწ განმიზრახავს, რათა დავადგრე შენთანა და მოვითმინო სიმძიმე ცხოვრებისა შენისა“.

თხრობა მეშვიდე.

ჰრქუა ბალავარ: „უკეთუ ჰყო ეგე, ემსგავსო მას მდიდარსა, რომელი ემზახა გლახაკსა მას, რომელი გუესმა, ვითარმედ იყო ვინმე ჭაბუკი, მდიდრისა ვისმე შვილი, და მამამან მისმან მოუთხოვა ქალი, დიდებულთა შვილი, ცოლად; ხოლო მან არა ინება და ივლტოდა მამისაგან თვისსა და სოფსა მას შინა მისსა იხილა ასული ვისმე გლახაკისა მამოსლითა შეურაცხითა მჯდომარე კართა ზედა სახლისა





თვისისათა, იქმოდა რა კელთ-საქმარსა, და მადლობდა ღმერთსა⁸³.

ჰრქუა მას ჭაბუკმან: „ვინ ხარ, დედაკაცო, ანუ რომელთა კეთილთა ზედა მადლობ ღმერთსა?“

ხოლო მან პრქუა: „ჰოი, უნდოო ვინმე, ცნობითა არა უწყია, რამეთუ მცირემან წამალმან დიდთა სენთაგან იკსნას კაცი, ეგრეთვე მცირემან მადლმან მოჰმადლის უდიდესი; ხოლო მე ასული ვარ ბერისა ვისმე გლახაკისა და მოველი წყალობასა ლუთისასა“.

მაშინ კმა უყო ჭაბუკმან დედაბერსა, იგი განვიდა, და პრქუა მას ჭაბუკმან: „უკეთუ გნებავს მომეც ასული ესე შენი ცოლად“.

პრქუა მას: „არა ჯერარს ასული გლახაკისა ცოლად შენდა, რამეთუ შენ შევილი ხარ მდიდართა“.

პრქუა მას ჭაბუკმან: „რამეთუ ვიხილე სიბრძნე და გონიერება ასულისა შენისა და მთნავს იგი ცოლად ჩემდა, და აჰა ესე რა მდიდართა ასული⁸⁴ დაწინდებულ იყო ჩემდა, და მე არა ვინებე მიყუანება მისი, და თუ შენ ჰყო, კვალად მიპოო, თუ უფალსა უნდეს“.

და პრქუა მას ბერმან: „უკეთუ გთნდეს მიყუანებად ასული ჩემი, ხოლო მამამან შენმან არა ინებოს“.

ხოლო მან პრქუა: „უკეთუ არა ინებოს, მე აქა დავდგე“.

ხოლო ჭაბუკი იგი შევიდა სახლსა მის ბერისა-



სა, განიძარცვა სამოსელი და შეიმოსა საგლახავით, და იწყო ბერძან გამოცდად მისა, და აღწონა გონება მისი და, ვითარცა პოვა გონიერად და ცნა, თუ არა ტრფიალებიხათს არს სიყუარული მისი, უპყრა კელი და შეიყუნა საუნჯესა თვსსა და უჩუენნა საფასენი შევნიერნი, რომელ არა სადა ეხილნეს ეგე ვითარნი, და ჰრქუა: „შვილო, ესე ყოველი შენი არს და ამიერითგან იშვებდი“. და აღიესო სიხარულითა ჭაბუკი იგი.

ჰრქუა მას იოდასაფ: „ვითარმედ ჩემთვის იყო სახე ესე, უფალსა თუ უნდეს; ხოლო შენ იტყვი, ბერძან გამოცადაო, და აწ ვითარ გნებავს გამოცდა ჩემი?“

ჰრქუა: „გეშინოდის ღუთისა, და შეეყო ნებასა მისსა, და განეშორო ნებასა სოფლისასა, და არა წარსწყმედს ღმერთი შრომათა შენთა, და არა განიცდის უფროს ძალისა შენისა, და მეცა ვევედრები უფალსა ჩემსა იესო ქრისტესა, დამბადებელსა ცისა და ქუეყნისასა, სამებასა წმიდასა, რომელსა არა აქუს აღსასრული, საშინელსა და სახიერსა, ძლიერსა, მოწყალესა, უხილავსა, გამოუთქმელსა, მეუფესა, კაცთ მოყუარესა, მეცნიერსა და არა უცნაურსა; რომლისაგან ძრწიან ყოველნი დაბადებულნი, რათა წმიდა გყოს ჭეშმარიტი წინამძღვარი კეთილისა და თითის საჩუენებელ ღუთის მსახურებითა, ამხილველ ბრმათა, მსმენელ ყრუთა, მოყუარე წმიდათა და მოძულე ვნებათა, ვიდრემდის მიგაწიოს ჩუენითურთ ადგილთა

მათ, რომელ აღგვთქუა პირითა წმიდათა წინასწარ-
მეტყუელთათა და მოციქულთათა, რომელთა მი-
მართ გვაქუს სასოება, რათა ღირს ვიქმნეთ მიმთხვე-
ვად“.

და სიტყუათა ამათ ზედა განკურდა გული იო-
დასათვისა და იწყო ტირილად და მერმე ჰრქუა ბა-
ლაფარს: „რაზომისა წლისა ხარ?“

ხოლო მან თქუა: „ათურამეტისა“.

და ჰრქუა: „ვითარ მეტყვ მაგას, რამეთუ ხარ
მოხუცებულ სამეოცისა წლისა უმეტეს“.

ჰრქუა ბალაფარ: „ვინათგან⁸⁵ ვიშვე სამოცისა
წლისა⁸⁶ ვარ, გარნა, რადგან⁸⁷ ღმერთსა სრულიად
გაუსაკუთრე თავი ჩემი, ათურამეტი წელი არს, რა-
მეთუ წინათ მკუდარი ვიყავ და ათურამეტი⁸⁸ წელი
არს ცოცხალ ვარ“.

ჰრქუა იოდასათ: „და ვითარ მკუდარ არს კაცი,
რომელი სჰამს და სვამს? და უკეთუ პირველი იგი
ცხოვრება არა შეგირაცხიეს ცხოვრებად, თან გაც,
რათა სიკუდილიცა იგი მომავალი არად შეგერაც-
ხოს“.

ჰრქუა ბალაფარ: „ანუ არა გაუწყებსა⁸⁹ განწირვა
თავისა ჩემისა შემოსლოვითა შენდა? რამეთუ უწყი
სიბოროტე მამისა შენისა ჩემდა მომართ, რამეთუ არა
მეშინის სიკუდილისაგან, უკეთუ ოდენ მოვჰკუდე
ლუთის მსახურებასა შინა“. და ყოველივე ცხოვრება
მისი თვთეულად წარმოუთხრა და თუ რომლითა მი-
ზეზითა განვიდა უდაბნოდ“.

ჰრქუა იოდასაფ ბალავარს: „მითხარ მე ხანე სიბრძნისა, და რად აქუს ნათესავსა ამას ჩუენსა სიბრძნე სიყუარულისათჳს კერპთა მიმართ“⁹⁰.

თხრობა მერვე.

ხოლო მან ჰრქუა⁹¹:—კაცმან ვინმე შეიპყრა მჭურინავი და დაკლვიდა მას; ხოლო მან ჰრქუა: „და რასათჳს გნებავს დაკულა ჩემი, რამეთუ არა არს ჩემთანა განსაძლომელი შენი, უკეთუ განმიტეო, გასწაო სამნი მცნებანი, უკეთუ დაიმარხნე, სცხოვნდე და სარგებელ გეყოს“⁹².

ხოლო მან ისმინა და ჰრქუა: „აუწდომელსა ნუ ეცდები, გარდასრულს ნუ ინანი და, რომელი შენთჳს არა გინდეს ბოროტი, სხვასა ნუ უზამ, და სცხოვნდე“.

ხოლო მან განუტევა; ხოლო გი დაჯდა სიმაღლესა⁹³ რტოთა ხეთასა, რამეთუ უნდოდა გამოცდა კაცისა მის, თუ ვითარ დაიმარხნეს მცნებანი იგი, და კმა უყო მაღლით: „კაცო, უკეთუმცა ცოდნილიყავ“⁹⁴ და მე დაგეკალ, ჩემსა ინჩაკუსა იღვა მარგალიტი სირაქლემის კუერცხის ოდენი და იგიმცა შენ დიდი საფასე შეგეძინა“.

და, ვითარცა ესმა კაცსა მას, იწყო სინანულად, და ენება შეპყრობა მისი კუალად და დაკლვა; და ჰრქუა კაცმან მან: „ვინათგან მასწავენ მცნებანი, სხუა არა მაქუს ნაცუალი, რათამცა მოგიზლო მის

წილ; აწ მოვედ სახიდ ჩემდა, რამეთუ ზამთარი ესე ფიცხელ არს და მე კეთილად გიღვაწო, განგისვენო და განგიტეო“.

პრქუა მას მჭურინავმან: „ცუდ არს სწავლა მცნებათა ჩემთა შენდა მიმართ, რამეთუ სამივე მცნება აწვე დაჰკარგე“⁵⁵: პირველი იგი, რამეთუ გარდასრულ არს გაშვება ჩემი და აწ ინანი, და მეორე— შეპყრობა ჩემი აუწთომელ არს და ეწუთები“⁵⁶, და მესამე ესე—სიკუდილი შენი არა გნებავს და ჩემსა დაკულასა ლამი, ხოლო მე გამოგცადე, თუ ვითარ დაიმარხავ მცნებათა, და აწ, ვითარ გრწამს, და თუ არსა ჩემსა ინჩახუსა მარგალიტი სირაქლემის კუერცხის ოდენი, რამეთუ თვთ ნაკრტენითურთ არცა ხოლო თუ ნატამალი ვარ სირაქლემის კვერცხისა?“

აწ, ძეო მეფისაო, უკეთუ ასწავებდე კაცთა უგუნურთა, არავე ისწავებენ და გარდაკლებიან მცნებათა ლუთისათა, და თავით თვსით მოგონებულსა დაამტკიცებენ, რამეთუ კელითა თვსითა შეუქმნიან კერპნი და ლუთად თაყუანისცემენ, და იტყვან: „ესენი არიან მკსნელნი ჩუენნი ბოროტისაგან, და მონაგებთა მათთა წარაგებენ მათ ზედა, რამეთუ ეშმაკნი დამკვდრებულ არიან მათ შინა და მათსა ირწმუნებენ, და არა გულის კმა ჰყოფენ, ვითარმედ ერთი არს ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, უფალი ჩუენი იესო ქრისტესი და წმიდა სული, რომელი მამისაგან გამოვალს, იგი ხოლო დამბადებელი და სხვანი დაბა-

დებულ; იგი ხოლო უჟამო და სხვანი ჟამიერ; იგი ხოლო ძლიერ და ყოველნი უძლურ; იგი ხოლო მალალ და ყოველნი მდაბალ, და ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვნიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, და რამეთუ სახიერ, მოწყალე, სულგრძელ და კაცთ-მოყუარე არს, და განუმზადებიან მორჩილთათჳს საშვებელნი, ხოლო ურჩთათჳს სატანჯველნი; ამან-ვე სამგვამოვნებით და ერთ არსებით დიდებულმან გყო შენ მეძიებელ ნებისა მისისა, რათა სცხოვრდე ძალითა ერთარსისა სამებისათა; ხოლო უკეთუ დაი-მარხნე მცნებანი მისნი, მერმე სცნა, თუ ვითარ ჯერ-არს მცნება მისი“.

ჰრქუა იოდასაფ: „რა არს საქმე, რომელი ჰნე-ბავს ღმერთსა?“

მიუგო: „ესე არს მცნება ღუთისა, რათა, რომელი გინდეს თავისა შენისა, უყო მოყუასსაცა შენსა, და რომელი შენ არა გინდეს, სხუას არა უყო, და ლოცვასა ჰყოფდე და ვედრებასა დღე და ღამე, და გაქუნდეს ჯუარი მისი საძლეველად მტერთა, რამეთუ მით მიკნა“? ვნებათაგან სიკუდილისათა“.

ჰრქუა ბალავარს იოდასაფ: „დამარხვითა მცნე-ბათათა მიემთხვევის კაცი ნებასა ღუთისასა?“

ჰრქუა ბალავარ: „სე, ჰეშმარიტად მიემთხვე-ვის“.

ჰრქუა იოდასაფ: „და, უკეთუ ეგრეთ არს კე-თილნი ესე, რომელ არიან სოფელსა ამას შინა, რა-სათჳს მოიძულენით?“

პრქუა ბალავარ: „ორნი საქმენი მაწუევენ ჩუენ ამას — პირველად ესე, რამეთუ გარდამატებულნი კეთილნი სოფლისანი⁸⁸ ვერ ესწორებთან მცირედსა მუნ საშვებელსა სასუფეველისასა და ვინცა ვინ იღვაწოს, უმეტესთა პატივთა მიემთხვევის, და არა მცირედი შური იყოს მოყუსისა მოყუსსა მიმართ, რამეთუ არა სწორ იყუნენ ხარკისა გარდამკდელნი ძღუნისა შემწირველთა; ხოლო მეორე, ნუ უკუე ესე კელ ყავ მოცემულთა ამათ საშვებელთა, და მათ მიერ ჩაეიჭრეთ უწესოთა საქმეთა, და მიზეზ მექმნეს წარწყმედისა; ხოლო უკეთუ განეშორნეთ, უმეტესი მშვიდობა და დაწყნარება გაქუნდეს. ხოლო უკეთუ ვინმე დაახლნეს საცხოვარნი თჳსნი ყანობრსა⁸⁹, ვერ გულპყრობილ არს, რამეთუ უკეთუ მიერულოს, ანუ უდებ იქმნეს, რამეთუ განრყუნთან საცხოვარნი სრულიად, ხოლო ოდეს განაშორნის ყანისაგან, უზრუნველად დაიძინის და განისვენის“.

პრქუა იოდასაფ: „ყოველსა ქემმარითად მეტყუელ ხარ, არამედ შელასძინე სიტყუად, რათა მეცა შევსძინო მტერობად და მოძულეობად სოფლისა“.

პრქუა ბალავარ: „ესე ცხად იყავნ წინაშე შენსა, რამეთუ მტერობა სოფლისა დააგებს ღმერთსა, და რამეთუ მოკლე არს ცხოვრება ესე, და აღრე დაიღვევენ დღენი და ღამენი, აწ ვიღვაწოთ განსლვად სოფლისაგან ნებსით, რამეთუ უნებლიედ განსულად ვართ, დადაცათუ განგრძელდეს ცხოვრება ჩუენი, სიკუდილი ეგრეცა თანა გვაც; მაშინ ყოველ-

ნი მონაგებნი განიბნინენ და შენებულნი მალაღონ მოოკრდენ და უცნაურ იქმნეს სახელი მისი, და აღიკოცოს კსენება მისი, და განლიოს გვამი მისი, რამეთუ შიშველი განიღონ გვამი მისი და დადვან საფლავსა, და შთააგდონ მღვიმესა ბნელსა, და დააგდონ მარტო უცხოებასა შინა, და სიგლახაკესა დატყევებული მოძულეთაგან და განწირონ¹⁰⁰ და მოიძაგონ ყოველმან მეულლემან, ძმათა და შვილთა“.

ამას ზედა იოდასაფ ცრემლოვოდა და ეტყოდა: „სიტყუანი შენნი განმეწონნეს გულსა, აწ მეც სიტყუა ცხოვრებისა“.

და ჰრქუა ბალავარ: „მე, ძეო მეფისაო, ფრიად მიყუარდა-სოფელი ესე და შეყოფილ ვიყავ შევებათა მისთა და ვითარცა განვიცადე და ვიხილე შეცვალება მკუდრად, და ვცან, ვითარმედ არავინ დადგრების მას შინა, არცა დიდი და არცა მცირე, არცა ძლიერი და არცა უძლური, არცა ბრძენი და არცა სულელი, და, ვითარცა გულისკმა ვყავ, ვითარმედ მეცა ეგრეთვე განმავალ ვარ, ვითარცა განვიდეს და შეცვალებად ვარ, ვითარცა შეიცვალნეს იგინი, რამეთუ არა ვარ უდიდეს დიდთა მათ, და უძლიერეს ძლიერთა, და რომელი იგი მოიწია მათ ზედა მოწევნად არს ჩემდაცა, და რამეთუ ყოველნი წარვალთ და განვიბნევით, და ვითარცა ესე ყოველი გულისკმა ვჰყავ, ვიძიე თავისა ჩემისა უმჯობესი, დაღაცათუ მიძიმედ აღმიჩნდა, ვაიძულე თავსა ჩემსა, დავაყენე გულის თქმათაგან და აღვირ ვასხენ ნებასა ჩემსა,



რათა არა წარმიტაცოს და შთამაგდოს შფოთთა სიღრმისათა, და მესმა სიტყუა ლუთისა წიგნთაგან ზეგარდამოთა, ვითარმედ ვყავ სოფელი ესე და ყოველი ხატი მისი წარმავალ, აწ აღიღეთ საგზალი, რამეთუ წარხვალთ ქუეყანად უცხოად, ეკრძალენით, რამეთუ უეჭველათ განხვალთ ამიერ, და რამეთუ მე განმიმზადებიეს ადგილი საუკუნო, რომელსა შინა არიან ორნი სადგურნი: ერთი იგი არს სავანე ყოველთა კეთილთა და საშვებელი გამოუთქმული მათთჳს, რომელთა შემოყუარეს და დაიცუნეს მცნებანი ჩემნი და მას შინა სუფევდენ უკუნისამდე, ხოლო მეორე იგი სავანე არს სავსე სატანჯველითა, იწროებითა, სირცხვილითა და შეურაცხებითა, აღზვავებული რისხვითა, რათა შური მიაგოს მოძულეთა ჩემთა, ხოლო მე, რაჟამს მესმა კმა ესე, ვცან, რამეთუ სამართლად არიან სიტყუანი მისნი და აღვიღე საგზალი, რათა მივიწიო სავანესა მას მშვიდობისასა, და ვივლტი სავანისა მისგან საშინელისა, და ფრიადცა მეშინის, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩემნი, გარნა უმეტეს არიან მოწყალეებანი ლუთისა ჩუენისანი“.

ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ შესაძლებელ არიან შესლვა მუნ სავანესა მას კეთილსა?“

ჰრქუა ბაღავარ: „რათა დაუტეო სოფელი და ყოველნი ზრუნვანი მისნი, რამეთუ თანა აც კაცსა ბრძენსა, რათა წურთიდეს თავსა თჳსსა და შიში ლუთისა ყოვლადვე მარადის გონებასა შინა თჳსსა აქუნდეს, რამეთუ იტყვს მეფსაღმუნე: „დასაბამი სი-



ბრძნისა, შიში ღუთისა, ხოლო გულის კმის ყოფა კეთილი ყოველთა, რომელთა ყონ იგი“. და ესე უწყოდდე, რამეთუ ვერ შეიკრიბის კაცმან ერთმან ყოველი სწავლულება, ანუ ვინ კაცთაგანი შემძლებელ არს ყოველთა საქმელთა და სასმელთა, რომელნი იხილნეს და გული უთქმოდეს ერთბაზად მიღებასა? არამედ ძალისაებრ მცირედ-მცირედ მიიღის; ხოლო ესეცა უწყოდდე, რამეთუ ეშმაკი მოართვამს გონებასა და ეტყვის: „უკეთუ არა უტყვს ღმერთსა, იმარხე ორმეოცითა, და ძაძითა, და ნაცრითა, ტირილითა იქცეოდე“. ესე ვითართა ძღვენოანთა აწვევს; ან თუ ამით მოაწყინა და შეარყია¹⁰¹, ანუმცა ხოლო აღზავა და მერმე ქუეყნად დააკუეთა და ურვასა მრავალსა შეაყენა. ესე ჯერ არს, რათა დაიჭიროთ თავი შენი საზომსა და გეშინოდეს ღუთისა; ესე შეიკრძალე და შეისწავე და ჯუარითა შეიჭურე და ღმერთი მშვიდობისა იყავნ ყოველთა თანა შინა საქმეთა შენთა, რამეთუ არა არს ძალი და ღონე, რომელთა წინა-აღუდგეთ ღონეთა მტერისათა, გარნა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერ დავსცეთ.

პრქუა იოდასათ: „რა დაამტკიცებს ცნობასა ღუთისასა?“

მიუგო ბალავარ: „ცანი და ქუეყანა, ყოველი, რომელი დამკვდრებულ არს მასა შინა, სულიერნი გუამოანი და, რამეთუ იხილო ქურჭელი რამე შექმნილი დაღათუმცა მოქმედი არა ნახე, სწამემცა, ვითარმედ უვის შემოქმედი; და ეგრეცა ნაშენები,



დალაცათუ მაშენებელი ვერ იხილო, არამედ გონება წამებს, ვითარმედ უვის მაშენებელი; ხოლო მე, რა ჟამს ვიხილე თავი ჩემი, განვიცადე აგებულება ჩემი, ვცან რამეთუ მივის შემოქმედი, და, ვითარცა ენება, დამბადა და გამომხატა თვინიერ კითხვისა ჩემისა და უკეთუმცა მე ვიყავ დამბადებელი თავისა ჩემისა, უმეტესმცა ვყავ თავი ჩემი სიშვენიერითა და სისრულითა ჰასაკისათა; ხოლო, რომელმან დამბადა, მყო მე რომელთამე უდარეს და რომელთამე უმჯობეს; ხოლო გულის კმა ვყავ ესეცა, რამეთუ განმიუყუნებს ამის ცხოვრებისაგან თვინიერ კითხვისა ჩემისა, და, ვითარ გულისკმა ვყავ და ვსცან საქმე ცხოვრებისა ჩუენისა, ვითარმედ ვერას შემძლებელ ვართ შემატებად, გინა დაკლებად ჰასაკისა, და ვერცა განახლებად დაძველებულისა, და ვერცა კუალად შედგომად, თუ რა მოვარდეს ასოთაგანი, და ვერცა შეუძლეს ამას მეფეთა მეფობითა, და ვერცა მარჯუეთა სიმარჯვთა, და ვერცა ბრძენთა სიბრძნითა, და ვერცა ძლიერთა ძალითა თვისითა; და მერმე ვხედავ შემოსლვასა ღამისასა შემდგომად დღისა, და ქცევასა სამყაროთასა, და ამით გამო ვცან, რამეთუ ყოველთა უვის დამბადებელი და არა მსგავს დაბადებულთა, და, უკეთუმცა მსგავს იყო მათსა, მის ზედამცა მოიწეოდა, რომელნი მოიწევიან დაბადებულთა ზედა, რამეთუ ვითარცა თქუას, იქმნების, და, ოდეს ინებოს, აღესრულების მყის, და კუალად აღადგენს, ვითარცა პირველ იყუნეს, რამეთუ ბრძანება



მისი უგამკუეთელოეს არს მახვილისა ორპირისა და უმაღლეს არს კამკამებასა ელვისასა, და, ენებოს თუ, განაქარვებს, და კვალად მოაგებს ყოველსავე, და კურთხეულ არს და დიდებულ სახელი მისი უკუნისამდე“.

ჰრქუა იოდასათ: „ყოველივე ეგე ჭეშმარიტად სწამე, გარნა ვინა სცან, თუ ყოფად არს აღდგომა შემდგომად სიკუდილისა და მიგება კეთილისა და ბოროტისა?“

მიუგო ბალავარ: „ორთა საქმეთაგან საცნაურ არს, რამეთუ განწვალცხებულ არს ცხოვრება მორჩილთა და ურჩთა სოფელსა ამას შინა, და რამეთუ ვხედავთ მრავალთა ურჩთა შვებით, ხოლო მორჩილთა ვხედავთ, რამეთუ ჭირითა და შეურაცხებითა განვლენ სოფლისა ამისგან, და ამით უწყი, რამეთუ მრავალ მსაჯულმან ღმერთმან ამისთვის არა აღიდნა მორჩილნი იგი მისნი, რათა აღდგომას მას უმეტესი პატივი უყოს მათ, რამეთუ ურჩნი იგი დასაჯნეს საქმეთა მათთაებრ; ხოლო მეორედ საცნაურ არს ქადაგებითა მოციქულთათა, რომელნი იგი თვთ მხილველ იქმნნეს დიდებასა ღუთისასა, ამისთვისცა ახარებდეს მისაგებელსა საუკუნოსა მორჩილთათვის და განაკრძალებდეს სატანჯველთათვის საუკუნოთა, რამეთუ ამისთვის შევიწყნარეთ წამება მათი, რათა აჩუენებდეს ნიშებსა და სასწაულებსა კაცთა შორის ძალითა მხოლოდ შობილისა ძისა ღუთისათა, რომელ არს უფალი ჩუენი იესო ქრისტე“.

ჰრქუა იოდასაფ: „ვინათგან მოციქულნი ამისვე
კაცობრივისა ნივთისანი იყუნეს, ვითარ ვჰგონებთ, თუ
ჰემმარიტსა იტყოდეს?“

ჰრქუა ბალავარ: „ამისთვის უწყი ჰემმარიტება,
ვითარცა პირველ ვთქუ, რამეთუ შეუდგეს უფალსა
ღმერთსა ჩუენსა და განეყენნეს მონაგებთაგან, და
შეუდგეს სიგლახაკესა და გლახაკთა სიტყვთა განა-
მდიდრებდეს, და თვთ უკამლონი და თავ შიშველ-
ნი ერთითა სამოსლითა მიმოვიდოდეს თავთა და აჭირ-
ვებდეს თვსთა, და ეგრეთვე სხუათა აწურთიდეს და,
უკეთუ იყუნსე ცრუ მოწამე და მტყუარ, არამცა ესე
ვითართა იწროთა და საჭიროთა გზათა ავლინებდეს
კაცთა, არამედ უფროსმცა წინა უყოფდეს, რომელნი
შეაშუნეს კაცთა და ვრცელი და ფართო კარიმცა
უჩუენეს, რომელ არს საწადელი თვალთა და სავენ-
ბელი გულთა, და მიმცა უშუეს გულისთქმა და შვე-
ბათა მიმართ, და ესე ვითარითამცა ცხოვრებითა მო-
იმძევლნეს გულნი კაცთანი, და არამცა ლოცვითა
და მარხვითა, ჰირითა და გლახაკობითა განაკურთ-
ნეს გულნი კაცთანი“.

„ჰრქუა იოდასაფ: „უკეთუმცა აღვინმედგა კა-
ცი და სიცრუით იტყოდა თავსა თვსსა მოციქულად
ღუთისა, ვითარ საცნაურ არს, თუ ჰემმარიტსა იტ-
ყვს, ანუ უცნაურ არს?“

ჰრქუა ბალავარ: „დაფარულთამცა მისთა გან-
მოაცხადნეს საქმენი მისნი, რამეთუ მოთმინებასა ას-
წავებენ და იგინი მანკიერებითა თვთ ვერ მოთმინე



არიან¹⁰², სახარებასა ასწავებენ და მანკიერებით საცხად
არიან, და ვერც შემძლებელ არიან ყოფად სასწაუ-
ლებსა, რომელიმცა კაცთაგან შეუძლო ყოფად“.

და ვითარ ესე ვითართა სწავლათა ასწავებდა
ბალავარ ძესა მეფისასა, განმრავლდა ჟამი შემოსლვი-
თგან ბალავარისა წინაშე იოდასათისა და ჰრქუა მას
ზანდან მზრდელმან: „შენ უწყი, ძეო მეფისაო, ვი-
თარ ერთგულობისა ჩემისათვის დამადგინა შენზედა
მამამან შენმან და აწ დიდად განკვრევებულ ვარ სა-
ქმესა ამას ზედა ამა კაცისასა, რომელი შემოვალს
შენდა ყოველსა ჟამსა, და მეშინის, ნუ უკუე მათ-
გან იყო, რომელ სძულან მამასა შენსა. აწ, თუ უნ-
და¹⁰³, დააცადე საქმე ესე და განზრახვა მის თანა, და,
თუ გინდეს, უბრალო მყავ და ვაცნობო მამასა შენ-
სა, და, თუ ესე არა გნებავს, განმიყუანე მე შენგან,
და ნაცულად ჩემდა მამამან შენმან მოგცნეს სხვანი
მსახურნი, და მე განმათავისუფლე რისხვისაგან მამი-
სა შენისა“.

ჰრქუა იოდასაბ: „პირველად ესე ჰყავ, რათა
დასდგე ფარულად უკანა კერძო კრეტსაბმელისა და
მცირედ ჟამ ისმინო, რასა იგი მეტვს მე, და მერმე,
რაცა გნებავს, იგიცა ჰყავ“.

და ვითარცა შემოვიდოდა ბალავარ წინაშე იო-
დასათისა, უკან დგა ზანდან, უკანა კერძო კრეტ-
საბმელისა, და, ვითარცა იწყეს სიტყუად ურთიერთ-
არს, ჰკითხვიდა იოდასათს საქმეთა საწუთოლათა.

ხოლო ბალავარ იწყო გამოთქმად ამოცებათა



ამის საწუთოსათა და ჰრქუა: „შეუგავს მეძიებელთა
ამის საწუთოსათა, რათა აღირჩიონ საუკუნო იგი
წარუალი საშვებელი, და რად არა გულისკმა ჰყო-
ფენ მსწრაფლ წარმავლობასა სოფლისა ამის დიდე-
ბასა, რამეთუ ხედვენ ადრე განქარვებასა საფასეთასა,
და რომელნი იგი შეიკრებენ, ცუდად შრუებიან,
რამეთუ შემდგომად მცირედისა ჟამისა სხვანი ეუფ-
ლებიან შენაკრებთა მათთა, აწ რომელიმე საქმე სა-
წუთოს საქებელ არს, ანუ რომელიმე საფასენი გიან
განუხრწნელად, ხოლო რომელთა გარდაემატოს აქა
სიმდიდრე, მუნ ჰპოონ ჰირი და სიგლახაკე, და რო-
მელთა მოიგონ და შეიყუარონ აქა ჰატვი, მუნ
პოონ შეურაცხება“. და სხვაცა მრავალი ასწავა ესე
ვითარი.

და, ვითარცა განვიდა ბალავარ, უნდა იოდა-
საფს გამოცდა ზანდანისი, უკეთუ სარგებელ ეყუნეს
სიტყუანი ბალავარისნი, და ჰრქუა: „არა გესმისა,
რასა მეტყვს მტყუარი ისი და გრძნეული? რამეთუ
ეგულების შეცდუნება ჩემი და გარყუნად საშვებე-
ლი ესე საწუთოსა“.

ჰრქუა მას ზანდან: „არა გიკმს, ძეო მეფისაო,
ზაკულება ჩემთანა, რამეთუ ზრახვა ესე ნათელ არს,
და ჩუენ გვასმია და ვიცით სიტკბოება მისი დიდი;
ხოლო ოდეს შეაჩუენნა მეფემან კაცნი იგი ღუთის
მსახურნი და განასხნა ქუეყანისა ამისგან, მუნითგან
არღარა გვასმის სიტყუა ესე ვითარი, და უწყი, რა-
მეთუ სიცოჯით დაუტევეთ იგი და შევიყუარეთ ესე



წუთი წარმავალი მსწრაფლ; ხოლო შენ, ძეო მეფისაო, უკეთუ გთნავს და გამოგირჩევინს ესე, შეიყუარებ და თავს იღებ სიმძიმესა მისსა, და კვალად რისხვასაცა მეფისასა და წინა-აღდგომასა ერისასა, გიხაროდენ უკუე¹⁰⁴ პატივსა შინა ზეცისასა და ცხოვრებასა შინა საუკუნოსა; ხოლო მიუდრეკივარ სიყუარულსა სოფლისასა და შიშსაცა მამისა შენისასა, არამედ არა უარყავ სიმდიდრე შავის საქმისა; ხოლო აწ შენ მიბრძანე, თუ რომლითა ღონითა განვერო რისხვასა მამისა შენისასა, რამეთუ დავფარე აქამოდე საქმე ესე მეფისაგან“.

პრქუა იოლასათ: „უკეთუ დაჰთარო¹⁰⁵ საქმე ესე მეფისაგან, უწყოდე, რამეთუ იგიცა ერთგულება არს წინაშე მისსა, რათა არა შეავდო ღიღსა ურვასა და მწუხარებასა, და წარუკვეთო მას სასოება შვილიერობისა, და შევარდეს გულის კლებასა; ხოლო ჩემგან უშიშ იყავ ამიერითგან და იქმოდე და იტყოდე, რაცა გენებოს, რამეთუ გულის კმა მიყოფიან ამოგება ამის სოფლისა, და ჭეშმარიტად მიცნობია, რამეთუ არა რა არს ვაცო, გარნა მატლი და წუთხი, მტურარი და ნაცარი, განქარვებადი მსწრაფლ, და ამისთვის არა ვზრუნავ კორცთათვის, რამეთუ არა არიან, რამეთუ¹⁰⁶ სული არს, რომელი იგრძნობს ტკივილთა, გინა შვებათა ყოველთა, აწ ამისთვის ჯერარს ზრუნვა, რათა მას საუკუნესა არა მიეცეს ტანჯვასა მწარესა და დაუსრულებელსა ცეცხლსა, და მატლსა დაუძინებელსა, და ბნელსა გარესკნელსა; და ესეცა უწყოდე,

რამეთუ მიპოვნია მამა ყოვლისა მპყრობელი, და მბა-
დებელი ცათა და ქუეყანისა, და შემოქმედი ყოველ-
თა დაბადებულთა, და მისგან მეშინის, და მისგან
ვძრწი, და მას თაყუანისვცემ, რამეთუ იგი არს მე-
უფე მეუფეთა, და მას აქუს უფლება სულთა და კორც-
თა, და მისი არს სუფევა უკუნითი უკუნისამდე, და
შენ, რომელი გნებავს, იგი ჰქმენ“.

ხოლო აწ ბალავარს ენება წარსლვა და იჯმნა
ძისაგან მეფისა¹⁰⁷; ხოლო იგი ფრიად შეწუხნა და ვერ
დაითმენდა განშორებასა მისგან, და ჰრქუა: „ვერ
თავს ვიდებ თვინიერ შენსა ყოფასა და გვევდრები,
რათა წარმოვიდე შენთანა და ერთგან ვიყოფოდით
მოყუასთა შენთა თანა“.

მიუგო ბალავარ: „ძეო მეფისაო, სახე ეგე მსგავს
არს სახესა მას, რამეთუ იყო ვინმე კაცი დიდებული
და ესვა მას ძე საყუარელი, და ძისა მის მისისათვის
ნუკრი ველური გაზარდა და ექვანი შეაბა ყელსა;
ხოლო იგი განვიდის ველსა ჩვეულებისაებრ, რათა
ძოროს; ხოლო ჟამსა ერთსა შეეყო სხუათა ქურციკ-
თა და თანა განჰყუა იგი მალნართა შინა, და, ვი-
თარცა ცნეს, რამეთუ ნუკრი იგი წავიდა უშინაგა-
ნესთა მალნართა, და წარვიდეს კაცნი ძიებად ნუ-
კრისა მის გამზრდელნი და პოვეს იგი სხვათა თანა
ნადირთა; ხოლო იგინი დაკოცნეს და ნუკრი შეი-
პყრეს, და წარმოიყუანეს. ეგრეთვე ჩუენ შეგვამთხვიო
მე და მოყუასთა ჩემოა და ვერცა სასოება შენი
სრულ იქმნეს, და ვერცა შემძლებელ ხარ ჰქირთა



მათ დათმენად, რომელთა მე და მოყუასნი ჩემნი მოვითმენთ, და უწყოდე ესეცა, რამეთუ უმჯობეს არს, რათა დაითმინო აქავე და, თუ ენებოს ღმერთსა, სხვითა ღონითა ჰპოო, რათა სათნო ეყო უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესო ქრისტესა“.

ჰრქუა იოდასაფ: „მითხარ, თუ რა არს საზრდელი თქუენი, რომლითა სცხოვნდებით უდაბნოსა მას შინა?“

მიუგო მან: „მწვანილთაგან¹⁰⁸ ქუეყანისათა ვიზრდებით, ხოლო ოდეს მოგვაკლდების, მოვიღებთ ძმათაგან ჩუენთა მორწმუნეთა“.

ჰრქუა იოდასაფ: „გევედრები, წარიღე საფასე, რაოდენიცა გენებოს, რომელ კმა გეყოს შენ და მოყუასთა შენთა“.

მიუგო: „ვითარ მისცემ საფასესა მოყუასთა ემთა, რამეთუ უკანასკნელი მათი უმდიდრეს არს ჩუენსა?“


ჰრქუა იოდასაფ: „და ვითარ არს უგლახაკესთაგანი მოყუასთა შენთა უმდიდრეს ჩემსა? რამეთუ იტყვ ფრიად უპოვარებასა მათსა“.

მიუგო ბალავარ: „ამისთვის ვიტყვ, რამეთუ თქვენგანსა, რომელსა აქუს, სხვსათსცა ზრუნავს, და ფრიად შფოთებსგანლევისათს, და ზე ქუე ეკუეეთების, რათა უმრავლესი შეიკრიბოს; ხოლო მოყუასთა ჩემთაგანი არცა ერთსა რას ზრუნავს, არცა თუ ჰამადთათს, არცა შესამოსელთა, რამეთუ მადლითა¹⁰⁹ მათგან სა-

ზომისაებრ იკმევენ და მათ ზედა აღიდებენ ღმერთსა, რამეთუ დაუტევებდესთ სიმდიდრე სოფლისა, და ამონი სოფლისანი იხარებენ და იშვებენ სულითა, რამეთუ მოელიან სასუფეველსა ცათასა; ხოლო, რომელნი ეძიებენ აქა სიმდიდრესა, მდიდარ თუ იყუნენ, გლახაკვე არიან გონებითა და ვერ განძლებიან; ხოლო მოყვასნი ჩემნი ფრიადითა მყუდროებითა არიან და იქცევიან აქა, რამეთუ საუნჯენი მათნი სავსე არიან და გარდაეცემიან ურთიერთას ცათა შინა, დაუნჯებულ არიან მუნ, სადა არცა მპარავი განიპარავს, და არცა მდილი განპრყუნის, რომელთა იგი შენმცა ზიარხარ მათ შინა შვებად უკუნისამდე“.

ჰრქუა იოდასათ: „რომლითა უწყით ჭეშმარიტება საქმისა მაგის?“¹¹⁰

და მან ჰრქუა: „იმით უწყით ჭეშმარიტი: ოდეს მოყუასთა ჩემთაგანი განვიდოდინ კორცთაგან, მაშინ ვიხილავთ ანგელოზთა ნათლისათა, მოსრულთა წარყუანებად სულისა მისთჳს, რომელი ბრძანებულ იყოს უფლისაგან, და გვესმის გალობა ტკბილი, რომელი გამოვალს პირისაგან ანგელოზთასა, და ვითარცა განიყუანონ სული იგი, მაშინ აგვეკდების საბურველი თვალთაგან ჩუენთა, და ვხედავთ სულსა მას ტვირთულად კელთა შინა ანგელოზთასა და აღმავალად ზეცად, და მივაყუანებთ თვალთა ჩუენთა, ვიდრემდის განვლიან ბნელი იგი და ჰაერის მცველნი, ხოლო საფასე, რომელი გეგულებს მოცემად მოყუასთა ჩემთა, იგი ყოველი მიეც გლახაკთა და



ულონოთა; ხოლო მე არა ვითარცა მოციქული მო-
ყუასთა ჩემთა, რათამცა მივართვი გესლი, რომელი
ალაშფოთებს გონებასა კაცთასა, და ვითარ მივართვა
მტერი იგი, რომელი მათ მოაკუდინეს და დათრგუ-
ნეს ფერკითა, და რომელი იგი მდიდარნი ვითარ-
ღა მიიქცენ სიგლახაკედ და იწყონ შფოთებად“.

ჰრქუა იოდასაფ: „ვინა არს სამოსელი თქუე-
ნი?“


ხოლო მან ჰრქუა: „სამოსელი ჩუენი ძველი
და ბებკული, ნაგვეთა შინა შეკრებული“.

ჰრქუა იოდასაფ: „მიიღე სამოსელი მოყუასთა
შენთათჳს“.

ჰრქუა ბალავარ: „არავინ ჩუენგანი დაიუნჯებს
სამოსელსა, რამეთუ ერთი იგი მოსიეს, რომლითა
დაიფარავს უძლურებასა კორცთასა, და რომელი მოე-
ლოდეს მწუხრითგან ვიდრე ცისკრადმდე სიკუდილ-
სა; რად უკმს მას ორი სამოსელი ეგე, რომელი შენ
გმოსიეს?“

ჰრქუა იოდასაფ: „და შენ ვითარ გმოსიეს ეგე
ვითარი სამოსელი?“

მიუგო ბალავარ: „ესე სამოსელი ახლად შევი-
მოსე, რათა მოვიდე შენდა, რათა არავინ განჰკრთეს
სახესა სამოსლისა ჩემისასა. აწ სახე ესე მსგავს არს
სახესა მას, რომელსა ესვას ნათესავი ტყუეობასა ში-
ნა და შეცვალეითა სამოსლისათა შევიდის ქუეყა-
ნასა მას მტერთასა, რათა ღონისძიებრითა გამოიკ-



სნას ტყუე იგი; ხოლო მე ვითარცა მეუწყა შენი, ვითარმედ ჭეშმარიტსა ეძიებსო, და გწადს კმა მახარებელისა, და დავინახე ადგილი სათესავი, გამოვედ ქუეყნით ჩემით საყოფელით და შევიმოსე სამოსელი ესე, რამეთუ მომცა კაცმან მორწმუნემან და ღუთის მოშიშმან და მოვიწიე შენდა, და აწ ძალითა ქრისტესითა მიკსნიხარ მტერთაგან, რამეთუ გაუწყე მცნება ღუთისა და სჯული მისი, და რამეთუ მეძავ არს სოფელი ესე და სიყუარულსა ერთისა თანა არა დაადგრების; ხოლო მე, რაჟამს მივიწიო ადგილსა მას, რომელსა შევიმოსე სამოსელი¹¹ ესე, მუნვე განვიძარცო და შევიმოსო სახე და სამოსელი მოყუასთა ჩემთა, და, უკეთუმცა მიხილე ხატითა და სამოსლითა მოყუასთა ჩემთა თანა, აღარამცა გწადოდა მოსლვა ჩემთანა“.

მაშინ ლოცვიდა, რათა ეჩუენოს ხატითა და სამოსლითა მით. ხოლო ბალავარ განიძარცვა სამოსელი იგი, რომელი ემოსა ზედა კერძო, და იყო იგი გვაში მისი გამკმარ და დამჭკნარ და ტყავი ოდენ ეკრა ძვალთა ზედა, ყოველი ასო აღირაცხოდა; ხოლო ემოსა ნახეთქი¹² რამე ძაძისა, რომელი შემოედვა უბითგან, ვითარცა ნახევარ წვივთადმდე, და, ვითარცა იხილა იოდასაფ სახე იგი ღუთის მსახურებისა, აღჩვილდა გული მისი და ტიროდა ფრიად, და აღიძრნეს ნაწლევნი და ჰგოდებდა, ვითარცა ვინ გოდებნ შვილსა საყუარელსა, და ჰრქუა: „ვინათგან არა განმიყუანებ მე შენთანა, მომეც მე სამოსელი ეგე

ძაძისა, და შენ სხვა მიიღე ჩემგან, ვითარცა გენე-
ბოს“. ხოლო იგი მორჩილ ექმნა მას და მისცა სა-
მოსელი იგი ძაძისა და სხვა შეიმოსა ძველი და ნა-
კმარები¹¹³. ხოლო იგი ეტყოდა, რათა მიიღოს ახა-
ლი.

ჰრქუა ბალავარ: „არა ჯერ არს, რათა მივიღო
ძველისათვის ახალი, და ამცნებდა და ეტყოდა: „ძეო
მეფისაო, მე მონა ვარ უფლისა ჩუენისა იესო ქრის-
ტესი, და აღმისრულებიეს სრბა ჩემი შენდა მიმართ,
ვითარცა მიბრძანა მე სულმან წმიდამან, რამეთუ მე
ყოველნი სამართალნი მისნი დაგისხენ წინაშე შენსა;
ხოლო აწ მე მნებავეს სრბა ესე სხვათა მიმართ და
ძიებად ადგილთა სანაყოფოთა, რათა ვსთესო მათ
შინა და აწ განვალ, და ამას გამცნებ: „დაუმარხე
ღმერთსა სჯული მისი, რომელი მოგეცა ჩემ მიერ,
და გაუწყენ სამართალნი მისნი, და ღირს მისდა გი-
ჩინა შენ! ხოლო შენ განეკრძალე, რათა არა გარ-
დაკდე მცნებათა მისთა და შთავარდე მთხრებლსა
წარწყმედისასა, და მე ვევედრები ღმერთსა, სრულ-
მყოფელსა ყოველთა კეთილთასა, რათა განგაძლიე-
როს ყოველსა შინა კულთებასა მტერთასა, და მოგ-
ცეს შენ სიბრძნე სიმკნით, და მოთმინება, რათა
მყუდროებით იყუნენ დღენი შენნი, და რათა არა
მძლე ექმნენ მტერნი ჩუენნი ეშმაკნი, და განვარდე
დიდებისაგან ღუთისა; ხოლო მე მეშინის, რამეთუ
ძე ხარ მეფისა და შვებით და ფუფუნებით აღზრდილ,
ნუ უკუე სულ მოკლე იქმნე და შესცთე გზისაგან



ქეშმარიტისა, და იწყონ შენზედა უფლებად ვნებათა“.

მიუგო იოდასაფ და ჰრქუა: „შენ მხალი ძედ მეფისად, და არა ვარ ძე მეფისა, არამედ მონა და ძე მეუფისა უკუდავისა, ხოლო ღმერთმან განადიდა კეთილი მისი შენ მიერ ჩემზედა, რამეთუ მიზეზ მექმენ მეცნიერებასა ლუთისასა და დამადგინე გზასა ქეშმარიტებისასა, და განმარინე საფრკეთაგან ეშმაკისათა, და დიდ არს ჩემ ზედა მისაგებელი შენთა კეთილთა ჩემთა მომართ, და მე ვერ შემძლებელ ვარ ღირსად მადლის მიცემად, ვითარ იგი ჯერარს შენდა, არამედ ვესავ ღმერთსა, რომელმან მივაგოს ჩემ წილ, რამეთუ მისთანა არს სისრულე მისაგებელთა, და მან სრულ ყოს საქმე კეთილისა შენთანა ჩემ მიერ; ხოლო, უკეთუ დაადგრე ჩემთანა, საშვებელ ხარ სულისა ჩემისა, და უკეთუ წარხვალ, ნუ განგვაშორნეს ღმერთმან ნებისაგან მისისა, და მოიკითხნეს ურთიერთასა“.

და წარვიდა ბალავარ საყოფელად თჳსად.

ამიერითგან იწყო იოდასაფ მარხვად და ლოცვად ლუთისა მიმართ და, რა ეამს ცაცთა დაიძინიან, მან იწყის ლამის თევად, ტირილითა და სულთქმითა აღასრულებდა ლოცვათა თჳსთა.

ხოლო ზანდან მზრდელი დასნეულდა შიშისაგან მეფისა, და, ვითარცა ცნა მეფემან სნეულება, წარავლინნა მკურნალნი, რათა შეუძლონ ცნობად, თუ რომლითა მიზეზითა სნეულ არს; ხოლო მათ, ვი-

თარცა განიცადეს, წარვიდეს, ჰრქუეს მეფესა: „მეფეო, სენი ისი ზანდანისი არა არს სნეულეობისაგან, არამედ გულის კლებისა“.

ხოლო მან თქუა გულსა თვსსა: „რამე არს მწუხარება გულისა მისისა, ნუ უკუე განაყენა ვინმე ძე ჩემი სჯულისაგან ჩემისა და იგი ელმის ზანდანს, მზრდელსა ძისა ჩემისასა“; და აღდგა და წარვიდა ზილვად მისსა, რათა ცნას, თუ რა სქირს, ანუ რად მწუხარე არს.

ხოლო ზანდანს ვითარცა ესმა მისულა მეფისა, შეძრწუნდა და წინა მიეგება მას, და რქუა მეფემან: „რა გელმის, ზანდან?“

ხოლო მან მიუგო: „ცხოვნი, მეფეო, უკუნი-სამდე! ურვამან დიდმან შემიპყრა და ფრიად შემაურევებს და ძლიერად მაშფოთებს, რამეთუ ძემან შენმან უარყო სჯული შენი და ქრისტესა შეეწყნარა, და ამისთვის შეუპყრივარ სნეულეობასა ძნელსა“.

ხოლო მან ჰრქუა: „და ვინა ყო ესე?“

ხოლო მან ჰრქუა: „ბალავარ, რომელ შენ განუტევე, მომეპარა, ვერა ვსცან, და მან ატოუნა იგი“.

და შეუძნდა მეფესა¹¹⁴ ფრიად და იქცა პალატადვე და მოუწოდა კაცსა ერთსა თანა მზრახსა, და ვარსკულავეთ მრიცხველსა, რომლისა იყო სახელი რაქის, და ჰრქუა: „რა ვყო, რამეთუ ძე ჩემი განდრეკილ არს სჯულისაგან ჩემისა?“

ხოლო მან ჰრქუა: „პირველად ჯერარს, რათა ვეზრახნეთ და ვამხილოთ ცათუნება მისი, და უკეთუ

ვერ დავარწმუნოთ, სხუა ღონე ვიძიოთ, და შევეს-
ეულად წარვიდეს იოდასაფისსა, და, ვითარცა მოი-
კითხნეს, დასხდეს, და ჰრქუა მეფემან ძესა თვისსა:
„შვილო, რა არს ცთომილება შენი? მითხარ“.

ხოლო მან ჰრქუა: „არა არს ცთომილება, რა-
მეთუ ჭეშმარიტად მისდა შედგომილვარ, რომელმან
მე მქმნა და დამბადა; ხოლო შენ ხარ ცთუნებული,
რამეთუ დაგიტყვევებებს დამბადებელი და დაბადებულ-
თა მსახურებ, და, უკეთუ შენ მისმინო და თაყუანი-
სცე ღმერთსა მას, რომელმან შექმნა ცანი და ქუე-
ყანა, ზღვა და ყოველი, რა არს მას შინა, რამეთუ
მზე და მთოვარე და ვარსკულაფნი მას დაუბადებინან;
ხოლო, თუ მას ღმერთსა თაყუანისცე, შენდაცა ნე-
ტარ იყოს და ჩუენდაცა“.

ხოლო მან წარიკუეთა სასოება დარწმუნოები-
სათვის მისისა და თქუა: „ჭეშმარიტსა იტყოდეს ამი-
სთვის ფილასოფოსნი იგი, რამეთუ ვითარმედ წინა-
აღმდგომი სჯულისა შენისა იქმნებისო ყრმა ეგეო“.
და აღდგა და დამძიმებული წავიდა პალატად თვი-
სად, და ჰრქუა რაქის: „რა ღონე ვყოთ აწ?“

ხოლო მან ჰრქუა: „ვიცი კაცი, რომლისა თა-
ნა სწავლულ ვარ, და არაფინ იცნობს მას ქუეყანასა
ამას და არს იგი სჯულისა ჩუენისა, და ფრიად სწავ-
ლული სიბრძნისა, და სახელი მისი ნაქორ; იგი მო-
ვიყუანოთ, რამეთუ ფრიად მსგავსი არს ბალავარისი
ფერთა და ჰასაკითა, და შევმოსოთ სამოსელი, ვი-
თარი უნახავს ზანდანს ბალავარსა ზედა, ხოლო

ჩუენ განვიდეთ ძებნად ბალავარისა, და ვაცნობოთ ძესა მეფისასა მისთვის, დალაცათუ შეუძლებელ არს ჰოვნა მისი ჩუენგან, ვრქუათ ძესა შენსა, ვითარმედ წარვალთ ძიებად მოძღურისა შენისა, და, უკეთუ ვიპოვოთ, მოვიყუანოთ წინაშე შენსა; ხოლო ჩუენ წარვიდეთ და ნაცულად ბალავარისა მოვგუაროთ ნაქორ; ხოლო მან არქუას: „ტყვლად გითხარ ყოველი, რამეთუ მტერი ვიყავ მაშისა შენისა“; და ესე ვითარითა ღონისძიებითა მოვაქციოთ ძე იგი შენი სჯულსა ჩუენსა.

ხოლო, ესე რა ესმა მეფესა, სთნდა სიტყუა რაქისი და განვიდეს ძიებად ბალავარისთვის, და სლვასა მას შინა მათსა ადგილსა ერთსა ჰოვენს კაცნი მძოვარნი, ლუთის მსახურნი, რომელთა ეკიდა ძვალეები ქედთა მათთა, და, ვითარცა მოიყუანნეს იგინი წინაშე მეფისა, ჰკითხა მათ: „რანი ხართ თქუენ, ანუ რა არს ძვალეები ეგე, რომელ გკიდავს ყელთა?“¹¹⁵ ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ კაცნი ვართ ლუთის მსახურნი, და ამისთვის გუკიდავს ძვალეები ესე, რათა ზედას ზედა მოგვახსენებდეს სიკუდილსა“.

ჰრქუა მეფემან: „და რათა უმეტეს შეგაკსენებს სიკუდილსა ძვალეები ეგე თვთ სვინილისისა და გონებისაგან თვისისა, რამეთუ ყოველთა იციან, ვითარმედ მოკუდავი არიან“.

და ჰრქუა კაცმან მან: „უკუთუშცა იცოდეთ მოკუდავება თქუენი, არამცა სდევნიდით კაცთა

ლუთის მსახურთა და რამეთუ ვიცით და გვსწავიეს, რამეთუ ბალავარს ეძიებთ“.

და ჰრქუა მათ რაქის: „სადა არს გრძნეული იგი, რომელმან აცთუნა ძე მეფისა?“

ხოლო მან ჰრქუა: „შენ ხარ ეშმაკი და გრძნეული, ხოლო იგი მოყუასი არს ჩუენი, შემკული ყოვლითა სათნოებითა, და შეზღუდვილი შიშითა ლუთისათა“.

და კვალად ჰრქუა რაქის: „სადა არს აწ იგი?“

ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ არა უწყით, სადაა, და, უკეთუმცა მას ენება, გამომცავიცხადა თავი თვისი; ხოლო თქუენ ცუდად შურებით და ეძიებთ, რამეთუ ღმერთი ჰფარავს მას, და ვერ შემძლებელ ხართ პოვნად მისსა, და რომელსა ეძიებთ ძმასა მას ჩუენსა, რომელმან საწუთო დიდება დაგივლო და არღარა გეზიარების მას შინა, და მათ არა სდევნით, რომელნი გაცილობენ და გეზიარებიან საშველებელთა სოფლისათა“.

ჰრქუა მეფემან: „ამისთვის, რამეთუ შეცდომილ არს და აცთუნებს სხვათადა და აყენებს კეთილთა და საშვეებელთაგან, რომელნი დაებადნეს კაცთათვის და ამისთვის არს გულის-წყრომა ჩემი მის ზედა, რამეთუ არა შეიყუარეს მათ კეთილი ქუეყნისა“.

ჰრქუა მან კაცმან: „თუ ეგე ეგრეთ არს, და გნებავს ყოველთა კაცთა შებებასა შინა ცხოვრება, რად არ იზიარებ ყოველთა კაცთა საშვეებელთა შენტა, რამეთუ შენ ყოველთა საშვეებელთა წინა იყოფ,



და გლახაკნი მშიერნი და შიშველნი მიმოვლენან აქა და იქი“.

ჰრქუა მეფემან: „ამისთვის, რამეთუ არა სწორ არიან მეფე და მონანი, ერისთავნი და ერნი, და რათა კაცად-კაცადმან მოიღოს¹¹⁶ საზომისაებრ შვება და პატივი“.

მიუგო კაცმან მან: „აწ უკუე სიტყვთავე შენითა დაქსნა სიტყუათა შენთა, რამეთუ თავისასა ეძიებ და არა კაცთასა, და, თუ გნებავს, აწ გაუწყო, თუ რომლისა ჯერისათვის შეიწვები შურიითა, და ბოროტის ყოფად განმზადებულ ხარ მათთვის, რომელთა დაუტევეს სოფლისა ამის საშვებელი, რამეთუ ჰგონებ განმრავლებასა მორწმუნეთასა, და, რა უამს განმრავლდენ, არღარა თავს იღებდენ უღელსა მონებისა შენისასა, და ამისთვის გძაგან და სდევნი მათ“.

და ჰრქუა მეფემან: „არის ვინ მოყუასთა შენთაგან უღარეს შენსა?“

ხოლო ჰრქუა კაცმან მან: „არავინ არს უღარეს, გინა უღარეს ჩემსა, რამეთუ ყოველნი ერთ ვართ ქრისტეს იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა; ხოლო მეცნობა სოფელსა ამას შინა მაქუს, ვითარცა შენ და მოყუასთა შენთა“.

მაშინ ბრძანა მეფემან ასვეულოდ¹¹⁷ დაჭრა მათი და დაყრა გზასა ზედა, და უბრძანა რაქის მოყუანება ნაქორისი, და განვიდა რაქის მარტო ლამით, და მოუწოდა ნაქორს, და უთხრა ყოველი ზრახვა მეფისა, და ამცნო, რათა გამოვიდეს გზასა ზედა; და,

ვითარცა განთენდა, წარემართა ადგილთა მათ, ხალხი იყო ნაქორ; ხოლო იგი მივიდოდა გზასა და ჰრქუა მეფემან მონათა თვსთა, რათა ჰკითხონ, თუ ვინ არს კაცი იგი; ხოლო მათ, ჰკითხეს რა, ჰრქუა: „მე ვარ ბალავარ“. ხოლო მათ შეიპყრეს და სიხარულით მიიყვანეს მეფისა წინაშე; ხოლო მეფემან განიხარა ესრეთ, ვითარცა ეპოვა საძიებელი თვისი და წარავლინა ერთი მონათაგან, რათა აუწყოს იოდასაფს შეპყრობა ბალავარისა; ხოლო მას, რა ესმა, სულთითქუნა და იწყო მწუხარებად, და იტყოდა გულსა შინა თვსსა: „ნუ უკვე შიშითა სატანჯველისათა, რომელ მოუწევინ მის ზედა მამასა ჩემსა, სულ-მოკლე იქმნას და შეშინდეს, და იწყოს ჩემდა წინა აღმდგომად, რათა დაემორჩილოს ბრძანებასავე მამისა ჩემისასა“.

ამას ზედა ტიროდა და იტყოდა: „უფალო, რად მიეც მონა შენი ბალავარ კელთა უსჯულოსა მეფისათა და რად არა დაჰფარე თვალთაგან მათთა? ხოლო მონა იგი იყო ფარულად მოყუარე ქრისტესი და ჰრქუა: „ძეო მეფისაო, ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ არა ბალავარ არს, არამედ ნაქორ მსგავსი მისი“. და ამას ზედა განიხარა იოდასაფ და აღიდებდა ღმერთსა; და, ვითარცა წარვიდა მონა იგი წინაშე მეფისა, ჰკითხა მეფემა: „შენ ხარ ბალავარ, რომელმან აცთუნე ძე ჩემი?“ ხოლო მან ჰრქუა: „უკეთუ იგი ვარ, არა მცირე არიან კეთილნი ჩემნი შენთანა“.



ჰრქუა მეფემან: „და რომელთა კეთილთა მსაჯულებებზე“

ხოლო მან ჰრქუა: „ამითა, რამეთუ გინდა განსწავლა ძისა შენისა, ხოლო მე ვიღვაწე იგი სწავლითა ქეშმარიტითა, ვიდრემდის მივაწიე იგი, სულისა ცხოვრებასა და ვასწავე იგი, რომელი გვაუწყეს წმიდათა წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა, რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა, რამეთუ მტერი იყო და დავავე ღმერთსა; ხოლო მან შეიწყნარა და განეყენა უღთოებასა თქუნსა“.

ხოლო მეფემან ჰრქუა: „არა მნებავს მოკულა შენი, ვიდრე არა განგიკითხო სრულიად, და აღსვა იგი საკედარსა, და წარვიდა პალატად თვსად, და განითქუა ჰამბავი ვითარმედ შეიპყრა მეფემან ბაღავარ, და ხვალისაგან აღდგა მეფე და წარვიდა ძისა მისისა და ჰრქუა: „შვილო ჩემო, არავის ზედა მოიწია ესეოდენი სიხარული, ვითარ ჩემზედა მოიწია შენთვის, აწ შენ ყოველი იგი სიხარული მწუხარებად და ურვად გარდამიქციე და დააბნელე სინათლე თვალთა ჩემთა, და მოაწიე იგი, რასაცა ვეკრძალებოდი შენთვის; ხოლო მე ამას ვიგონებდი, რამეთუ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შენ იყო მკვდრი მონაგებთა ჩემთა და სამეფოსა ჩემისა; ხოლო შენ დამიშალე განზრახვა ჩემი, რამეთუ შთავარდი საფრკესა მას, რომელსაცა მეშინოდა, რამეთუ განგაკრძალებდი შენ სავნებელთა სოფლისათა; ხოლო შენ სიუც-

ბითა და სიყრმითა შენითა ყოველთა მათ ვნებათა შთაფარდი და წინა აღუდგე ნებასა ჩემსა, და დაუტევე სჯული ჩემი, და შთაუსხენ წინამონი შენნი კელთა კაცთა ცრუთა და მაცდურთასა, რომელთა მიგიყუანეს მწუხარებად, რომელნი შთაგავდებენ წარსაწყმედელსა“.

მიუგო იოდასაფ მამასა თჳსსა: „მენება მე, მეფეო, რათა არა გამოგაცხადო მღუთის მსახურება ჩემი, ვიდრე განსლვადმდე ჩემდა კორცთაგან, რათა არა გექმნე მომატყუებელ მწუხარებისა, რამეთუ ვიტყოდე გულსა თჳსსა: „უკეთუ უწინარეს განვიდე მამისა ჩემისაგან კორცთაგან ღუთის მსახურებასა შინა ჩემსა, კეთილ, და, უკეთუ მამა ჩემი წარვიდა პირველ ჩემსა, არავე წარვიდეს შეწუხებული წინააღდგომისათჳს მისისა; ხოლო, უკეთუ ენებოს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა, შემდგომად სიკუდილისა მამისა ჩემისა, განვიდე უდაბნოსა, რათა მუნ სათნოვეყო უფალსა; ხოლო აწ უბრალო ვარ წინაშე შენსა, რამეთუ შენ გამოაცხადე საქმე ჩემი“.

ხოლო მეფესა, რაჟამს ესმენს სიტყუანი ესე, აგინა მას, და იწყო გმობად ქრისტესა ჳეშმარტისა ღუთისა; ჰრქუა იოდასაფ: „არა უწყია, მეფეო, თუ რომლისა საქმისათჳს შეწუხებულხარ? კეთილისათჳს, რომელ მოვიპოე, ანუ წინააღმდგომისათჳს ნებისა შენისა? უკეთუ მოპოებისათჳს კეთილისა მრისხავთ, თანა მაც სილტოლვა შენგნით, რამეთუ არა გნებაესთ კეთილი ჩემი; ხოლო, უკეთუ მაბრალობ წი-

ნა-აღდგომასა შენსა და გნებავს წარწყმედა ამისთვის, რამეთუ წინა-აღლდგები ნებასა შენსა, მეცა თანა მაც, რათა მწუხარე ვიყო შენტვს დაკლებისათვის კეთილთა მათ, რომელნი მომივიან და შენ ვერ ეზიარები მათ, რომელნი იგი ასკეცად უზესთავს არიან ქუეყნიერთა ამათ, ვითარცა შენცა ხედავ მნათობთა ზეცათა; ხოლო სიქადული შენი თუ საქმით აღასრულო, ნეტარ ვიყო მე, რამეთუ ადრე მივიდე კეთილთა მათ, რომელთა იტყოდეს წინასწარმეტყუელნი, და მოციქულთა დაამტკიცეს¹¹⁸.“

ჰრქუა რაქის: „ვინ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს წინასწარმეტყუელნი და მოციქულნი?“

ჰრქუა: „ამით გამო უწყი, რამეთუ იქმოდეს ნიშებსა და სასწაულებსა, რომელი სხვათა ვერავინ ქმნის; ხოლო იგინი სახელის დებითა ღუთისათა იქმოდეს, რათა არწმენეს ყოველსა სოფელსა“. და განაგრძო რაქის გამოძიება სიტყვსა იოდასაფისგან წინაშე მამისა მისისა, ვიდრემდის იცნა რაქის ღმერთი, და თქუა: „ყოველსა ქეშმარიტსა იტყვს და ჩუენ ცუდსა შრომასა აღვასრულებთ კერბთა მიმართ; და აღიარა წინაშე ყოველისა ერისა და თქუა კმითა მაღლითა: „ვითარმედ არავინ არს ღმერთი ქუეყანასა ზედა, გარნა ღმერთი მხოლო, რომელმან დაბადა ცანი და ქუეყანა და ყოველივე წესი სჯულისა თვთ აღიარა“; და იწყო ლოცვად და მარხვად.

ხოლო ამას ზედა აბენიეს მწუხარე იქმნა სიტყუათა რაქისთა და თქუა: „სამართლად დავამკუენ

და განვასხენ ქუეყნისაგან ჩემისა მაცოტურნი გონი და გრძნეულნი; ხოლო მე კეთილი მენება ძისა ამის ჩემთვის, და მათ შეაცოტუნეს სიყრმიითა და ცნობა ნაკლულევანობითა; კულად აწ ესერა შესცოთა ბძენთ მთავარი მის მიერ ესე რაქის¹¹⁹.“

მიუგო იოდასაფ და ჰრქუა: „რამეთუ ყრმად მხადი და მიწვევულვარ ჟამსა, და არა მაქუს სიტყუს გება წინაშე ქრისტესა სიყრმისათუს ჩემისა, და რომელ მაყუედრებ კეთილის ყოფათა ჩემთა, და მიძულე დატევებად კეთილთა მათ საუკუნოთა წარმავალთა ამათთვის და განკრწნადთა, უწყოდე, რამეთუ არა სწორება არს უხრწნელთა მათ თანა განხრწნილთა; ხოლო შენ ესე კეთილნი ანუ მიმიხუნე შენვე მცირედისა რასამე რისხვისათუს, ანუ ჟამთა ქცევამან მიგიხუნეს შენცა და მეცა; ხოლო სიხარულისა მისთვის საუკუნოსა ესრეთ იტყუს უფალი: „სიხარული იგი არაინ მიგილოს შენგან“. საქმე და ცხოვრება, რომელ შენ გამოიჩინე ჩემთვის ტრფილ და შევნიერ არს; უკეთუმცა არა აღრე წარმავალ იყო; ხოლო უკეთუ გაქუს სიმტკიცე დადგომისა მისისა, კეთილ და საწადელ არს, და, უკეთუ ვერ გულბყრობილ ხარ, რასთვის არა შემინდობ დატევებად მისსა, რათა მოვილო უსაწადელესი ცხოვრება და ვითარ გიკვრს, მეფეო, სურვილი ჩემი კეთილთათუს წარუალთა და არა გიკვრს შეკუეთება თავისა შენისა საშვებელთა ამათ წარმავალთა; აწ კეთილ არს აქა უბადრუკება ჩემი, რათა მიზეზ მექმნეს

ცხოვრებისა მის საუკუნოსა; და ვითარ არა მოვიწყინო სოფელი ესე, რამეთუ თვით მოაწყენს მოყუარეთა მისთა; და ვითარ არა ვექცე, რამეთუ იგი ექცევის მრავალფერად კაცთა, ანუ ვითარ დავსჯერდე კეთილთა მისთა, რამეთუ კეთილნი მისნი ბოროტ არიან, რამეთუ დღეს მისცემს და ხვალე მოუღებს; ხოლო შენ ვერ გულის კმა გიყოფიეს ესე, და წინა აღუდგები სჯულსა ღუთისასა და არა ინებებ შეწყნარებად კეთილის ყოფათა მისთა, რამეთუ იგი მოწყალე არს და ნებაეს მოქცევა ყოველთა, და ამისთვის მოგავგო ნაცვალი, რომელ იგი შენ მიაგე მონათა და მსახურთა მისთა“.

მაშინ ლმობიერ იქმნა მეფე და გულისკმა ყო, რამეთუ შეგონება მისი უფროს აღაგზნებს გონებასა მისსა სიყუარულსა ზედა ღუთისასა, და აღდგა და წარვიდა პალატად თვისად; და ხვალისა დღე კვალად მოვიდა და შეიტკბო იგი მკერდსა თვისსა და მოეხვია ქედსა მისსა და ეტყოდა: „ნუ, შვილო ჩემო და ნაწლეო მუცლისა ჩემისაო, და ნუ ეჭუ, უკეთუმცა მინდოდა ბოროტი შენი, და მერმე იცი სამართალი ჩემი და მსჯავრი, თუ ვითარ უსჯი ქურივთა, ობოლთა და გლახაკთა, და უღონოთა, და არა თანა წარვკდი, ვიდრე იგი არა აღვასრული სათხოვარი მათი; აწ რა ძალგიც, შვილო ჩემო, ძაგებად სჯულისა ჩემისა და გმობად წესისა ჩემისა? და შენ ვითარ არა დაჯერებულხარ, რამეთუ იხილა ეშმაკმან შენ თანა სიჩქურე და სისუსტე და აღვამაღლა მე-



ცნიერებასა ზედა, ვითარცა ლუთისასა მიგაწია, და ამის გამო დავირწყუა საცთური ენით მის მიერ ბირებულისა ბალავარისათა, და ვითარ გაბჭე ეგე შენთვს ჭეშმარიტება და ჩემთვის სიცრუე; მეცა უწყია შვილო ჩემო, ვითარმედ უმჯობესსა გული გითქუამს, და ესე უმეტესი მადლი არს მონიჭებული ლუთისა მიერ შენდა და შენ მიერ ჩემდა, და რამეთუ ძირმან მამათა შენთამან მიგიზიდა“. და ამათ ყოველთა სიხარულით მოახსენებდა.

ხოლო იოდასაფს, ვითარცა ესმა სიტყუანი ესე, განძლიერდა გული მისი და თქუა: „ჩი, მეფეო, ვინათგან მამანი ჩუენნი ლუთის მსახურნი იყუნეს¹²⁰, და შენ რად დაუტევე სჯული მამათა შენთა, აწ კეთილად მზრახე მე დღეს, დალაცათუ საქმით აღასრულებ საცთურსა; ხოლო აწ სალმოზა გონებისა შენისა ბოროტ არს და არა ჯერ არს, რათა მოსწრაფებით ვიღვაწო კურნება მისი¹²¹, და აწ თანა მაც ძიებად წამლისა და არა ჯერ არს ჩემ მიერ სიმქისით მიახლება შენი, რამეთუ მამა ხარ ჩემი, და ფრიად ჯერ არს პატივი მშობელთა შვილთა მიერ, რამეთუ რომელი ზაკვთ გეტყოდის, იგი არა ერთგულ არს შენი; აწ დააცხვრე შფოთი გულისაგან შენისა და დაინახე უმჯობესი შენი, და ამას გონებდი, რამეთუ აღრე მოსიკუდიდ ხარ და ყოველსა დიდებასა შენსა სხვათა დაუტეობ და ესე რა ხედავთ, რამეთუ წარიტაცნის რა კაცნი სიკუდილმან¹²², სხვანი ეუფლებიან მონაგებთა მათთა; ხოლო ჟამთა შემდგომად



ყოველნი აღდგომად ვართ, და მაშინ მიეგების ცა-
ცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ; აწ ისმინე ჩემი და
გულად დაიდევ¹²³ უმჯობესი, რამეთუ არღარავინ არს
სოფელსა ამას შინა, რათამცა¹²⁴ გასწავა შენ უმჯობე-
სი; ხოლო რომელნიმე დაშთომილან უდაბნოთა ში-
ნა კაცნი ღუთის მსახურნი, რომელთა ჰრწამს უფა-
ლი ჩუენი იესო ქრისტე, მათ იციან მისაგებელი და
სასჯელი და, თუ გნებავს, მოიყუანე მათგანიცა და
შენისა სჯულისა მეცნიერნი, და ვყოთ სიტყვსგება
და მაშინ გამოჩნდეს ჭეშმარიტი ცრუსაგან“.

ხოლო მეფესა, ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე
ძისა მისისანი, დადუმნა განცვიფრებული და ვითარ-
ცა მოეგო გონებასა, იწყო წინა-აღდგომად ნებისა
მისისა; ხოლო ნება მისი აცილობდა¹²⁵ და მოაკსენებ-
და შვებათა და განსვენებათა, რომელთა შინა ჩუე-
ულ იყო, და ეტყვნ გულის-სიტყუა მისი, ვითარ-
მედ ვერ ძაღვიც დღე ერთსა ცხოვრებად, თვნიერ
ჩვეულებისა შენისა, და ჯობნაცა სიმწარე არს და
საკუედრელ. მაშინ ჰრქუა მას: „შვილო ჩემო, შემაც-
ბუნა სიტყუამან შენმან და მომაქცია შენდა, და აწ
არღარა დავაცადო გამოძიება სიტყუათა შენთა და
გამონახვა მათი დაწყნარებით, და, უკეთუ ჭეშმარიტ
იყუნენ, უფროს განათლდენ გამოძიებასა შინა, და
აწ მეგულების შეკრება ერისა და სიტყვს ყოფა სა-
მართლით, არღარა მძლავრობით ვბრძანო, რათა
კმობდეს ჟამი მშვიდობისა და რათა ყოველნი, რომ-
ელნი არიან სჯულისა შენისანი, მოვიდენ კრებასა

ამას ჩემსა, რათა სამართალი სჯული აღესრულოს წინაშე ყოვლისა ერისა, რათა არა სთქუა, თუ მორამე-ვიმძლავრე, და სიმართლესა ზედა გაწყდეს საქმე ჩუენი“.

მაშინ ბრძანა მეფემან შეკრება ერისა, და გამოვიდეს კერბთ მსახურნი; ხოლო ნაქორ, რომელ საგონებელ იყო ბალავარად, დადგა მეფისა ძისავე; ხოლო კრებასა მას არავინ დახუდა მორწმუნეთაგანი, გარნა ერთი ვინმე, რომელსა ეპყრა სჯული ქრისტესი იღუმალ, სახელი მისი ბარაქია, და იგი განემზადა შეწევნად ბალავარისა, და დაჯდა მეფე საყდართა ზედა; ხოლო იოდასაფ ქუეყანასა ზედა, რამეთუ არა ინება დაჯდომა საყდრთა ზედა, და იწყო მეფემან პირველად სიტყუად კერბთ მსახურთა მიმართ: „აჰა ესე რა თქუენ ხართ თავნი ამის სჯულისანი, აწ დღეს იღვაწეთ მტკიცედ, და უკეთუ სძლოთ, კეთილი იყოს მისაგებელი თქუენი, და უკეთუ იძლივნეთ, ესე უწყოდეთ, რამეთუ დავლევო გვრგვნი ჩემი¹²⁶ და დავსცე საყდარი ჩემი, და დავიყენო თმა თავისა ჩემისა, და შევერთო რიცხუსა მონანულთასა, და დავწუნე ღმერთნი თქუენნი, და მოგწყუიდნე წინაშე მდგომელნი მათნი, და იავარ იქმნენ სახლნი თქუენნი, და ტყუედ მიეცნენ შვილნი თქუენნი და ცოლნი“.

ხოლო ძესა თვსსა ჰრქუა და უჩუენა ნაქორ: „აჰა მოძღვარი შენი და აწ ვყოთ ჩუენ წინაშე სიტყვს გება“.

და იოდასაჲ ჰრქუა: „მეფეო, სამართალი სა-
სჯელი განაჩინე, ვითარცა ჯერ არს მეფეთათჳს“. და
ნაქორს ჰრქუა: „შენ უწყი, ბალავარ, სიჩოვებასა და
შეებასა შინა მპოე და მაწვიე სჯული შენი აღე-
ბად, და სთქუ, ვითარმედ გაქუს სიმტკიცე მას შინა,
და მე დაუტევე სირცხვილი მეფისა და წინა-აღუ-
დეგ ბრძანებასა მისსა, და თავს ვიდევ იწროებით
ცხოვრება შიშისა მისთჳს სატანჯველთასა, რომელ
მიქადაგებდი, და აწ, ესერა შემოკრებილ არს სიმრავ-
ლე კერპთ მსახურთა წინა-აღმდგომთა, და არავინ
არს მწე ჩემი მათ შორის, და გესმის სამართლის ყო-
ფა მეფისა; ხოლო, უკეთუ საცთური რამე დამიგე
და კიდე მყავ საშეებელთაგან, აწ უკუე იძლევი ამათ
მიერ, ესე მტკიცედ იცოდე, მსწრაფლ შური ვიძიო
ენისაგან და გულისაგან შენისა და კელითა ჩემითა
აღმოგწოდნე იგინი¹²⁷ და მიუყარნე ძაღლთა, და ამას
ამისთჳს ვპყოფ, რამეთუ მოჰკიცხე ძე მეფისა; აწ ამას
აღთქმასა დავსდებ წინაშე ლუთისა და ამის ყოვლი-
სა კრებულისა“.

ხოლო ნაქორს, რაჟამს ესმა სიტყუა ესე,
შეძრწუნდა და გულისკმაყო, რამეთუ შთავარდა
მთხრებლსა მას, რომელ თხარა და თქუა: რამეთუ
ვერას ღონისძიებით განერების, გარნა ქრისტეს აღ-
სარებითა და შევლითა სჯულსა ბალავარისათა; ხო-
ლო მეფისაგან ჰგონებდა შენდობასა შეთქმულებისა
მისთჳს, რომელ პირველ დაედვა, და აღიღო ნაქორ
პირი და იწყო ძაგებად კერპთა მიმართ და ქებად

ქრისტესა და მყოფთა სჯულისა მისისათა, და წარ-
მატებოდა სიტყუა მისი ესრეთ კეთილად, რომელ
ვერცა ბალავარ მისა მისწუდებოდა სიტყვს - გებასა
მას კერპთ მსახურთა მიმართ.

ხოლო იოდასაფ იხარებდა სულითა და გა-
ბრწყინდა პირი მისი და ჰმადლობდა ღმერთსა, რო-
მელმან განაძლიერა სჯული მისი პირთა წინა - აღ-
მდგომთა მისთათა, და განაგრძევს სიტყვს - გება მათ
შორის, და აღიესო გულის წყრომითა მეფე ნაქო-
რისთვს წარმატებისათვს სიტყუათა მისთასა და ვე-
რას ამხილებდა მას სირცხვილისაგან, რამეთუ თქუა
მეფემან გულსა თვსსა: „ესე ბოროტი მე მოვით მო-
ვიხადე თავისა ჩემისათვს“. და თვთ იწყო მეფემან
სიტყვს-გებად და ცილობად ნაქორისა.

ხოლო ნაქორ მიუგო სიტყუანი ძლიერნი, რომ-
ლითა არცხვენდა მეფესაცა და არა შეშინდა ზარი-
საგან მეფისა, და დაღამდა და არავისკენ გამოჩნდა
ძლევა, რამეთუ ნაქორ უკლებდა მეფესა სირცხვი-
ლითა.

ხოლო იოდასაფ ჰრქუა მეფესა: „არა საღით
გამოჩნდა ძლევა, სიტყუაცა სამართალდ, და მო-
ძღვარი ჩემი დაუტევე ჩემთანა და შენი შენთანა“.

ხოლო მეფესა ენება ნაქორის შეგონება იდუ-
მალ, რამეთუ არა წინა-აღუდგებოდის სიტყვს-გება-
სა მას, და ნაქორ ეგრეთვე დაუტევა მეფემან სათნო-
სათვს ძისა თვისისა და ესვიდაცა ნაქორს მოკლებად
სიტყვს-გებისათვს შეთქმულებისა მის მათისათვს.

ხოლო ძემან მეფისამან იღუმალ ჰრქუა ნაქორს: „უწყი მე შენი საქმე, რამეთუ ნაქორ ხარ შენ, ხოლო გიხაროდენ, რამეთუ დღეს კეთილად იღვაწე ღუთის მსახურებისათჳს, ხოლო მე ამისთჳს წარმოგიყუანე, რათა დაგიცვა ბოროტის ყოფისაგან მეფისა, რამეთუ მას დღესა ფრიად არცხვინე, და ბოროტი ჰნებავს შენი, და აწ ჩუენ არა შევიწყნარებთ შეწევნასა შენსა პირითა უნებელითა; ხოლო შენ უკეთუ გულისკმა გიყოფიეს საქმე შენი, ზეცით იყოს შეწევნა შენი, და, თუ არა, ვითა წინა-აღუდეგ სიმრავლესა ესოდენისა ერისასა? აწ მოვედ გულისკმის ყოფად წოდებასა ღუთისასა და სარწმუნოებასა მისსა, აღიღე ჯუარი და შეუდეგ ქრისტესა“.

ჰრქუა მას ნაქორ: „შემიწყნარებიეს, ძეო მეფისაო, რომელსა ესე მაწვევ და მრწამს ერთი ღმერთი და მიცნობიეს, რამეთუ ყოველი მის მიერ არს, და აწ მე შეუვრდები ცოდვათა ჩემთათჳს, რამეთუ იგი თავადი მოწყალე არს და ელის მოქცევასა ცოდვილთასა; ხოლო შენ, ძეო მეფისაო, გიხაროდენ, უკეთუ დაადგრე ნებასა მისსა, და მე გზრახებ, რათა პატივსცე მამასა შენსა, და სიმარჯვით ჰყო ცხოვრება შენი მისთანა, ვიდრემდის გზა გცეს შენ ღმერთმან; ხოლო მე მრცხვენის პირისაგან მამისა შენისა, რამეთუ მოვეყუანე შემწედ მისდა; ხოლო მე წინა-აღუდეგ შეთქმულებისა თქუენისათჳს, რამეთუ ფრიად შემეშინდა შენგან, და აწ თანა მაც მე სილტოლვა პირისაგან მამისა შენისა; ხოლო შენ

განმიტევე და წარვიდე უდაბნოსა და, უნდეს თუ უფალსა, კუალად მოვიდე შენდა ჟამთა თქუენ წინაშე. ხოლო მე მრწამს მამა ძე და სული წმიდა და აღვიარებ მას“.

და ნება სცა ძემან მეფისამან და დაუტევა მშვიდობა, და წარვიდა ნაქორ სარწმუნოებითა სავესე; ხოლო, ცნა რა მეფემან, სასოწარკუეთილ იქმნა ნაქორისაგანაცა და დააცადა ცილობა ძისა თვისისა, და იწყო შეურაცხება კერბთა მიმართ და უბატო ყუნეს წინაშე მდგომელნი კერბთანი, და შემდგომად მოიწია დღესასწაული კერბთა, და შეშინდეს კერბთ-მსახურნი იგი, ნუ უკუტ არა მოვიდეს მეფე ზორვად კერბთა.

მაშინ წარვიდეს თედამისსა, რამეთუ იყო კერბთ-მსახური და იყოფებოდა უდაბნოსა, და ფრიადი სასოება აქუნდა მეფესა, და ყოველა ერსა მისი, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ წვიმა და მზე მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა, და მოიყუანეს კაცი იგი წინაშე მეფისა, რათა შემწე ექმნეს მათ, და, ვითარცა შევიდოდა პალატად მეფისა, არა ემოხა რა, თვნიერ რომელ ფლასისა ნაძველი შემოედვა წელთა მისთა, და, ვითარცა იხილა მეფემან შემავალი მისდა, აღდგა და მიეგება წინა და მოწოდედ მოიკითხა, და, ვითარცა სხდეს, ჰრქუა: „მეფე, ცხოვნი კერბთა მიერ, რამეთუ მესმა ფრიად დიდად იღვაწე კერბთათჳს, და მეც გავიხარე, რამეთუ მოგეცა ძღვევა“.

ხოლო მეფემან ჰრქუა: „ჩუენ ძლევა არასადით მოვიღეთ, და აწ შენ, რაც ძალიც, შეგვეწიე“.

ჰრქუა თედმა: „პირველად ჯერ არს აღსრულება დღესასწაულისა კერპთასა¹²⁸ და მაშინლა შემთხვევა მტერთა, რამეთუ იგინი არიან შემწენი წყობასა შინა მტერთასა“.

და ჰრქუა მეფემან: „მსგავს არს საქმე შენი და ჩემი¹²⁹, რომელსა ესვა ცოლი ქმნულ-კეთილი და ეშინოდა, ნუ უკუე ვერ მოთმინე იქმნას და შთავარდეს ჭაბუკისა მის სიძვასა, ამისთვის ამცნო და ჰრქუა ცოლსა თვსსა: „უკეთუ გწადდეს და ვერა წინა-აღუდგებოდი კორცსა¹³⁰ შენსა, მოუტეობდი¹³¹ თმათა თავისა შენისათა, ვიხილნე რა იგინი, მე ვყო ნება შენი, და შენ არა შთავარდე ცოდვასა“.

და დღესა ერთსა მოიწივნეს მტერნი და კმა უყო; ხოლო ჭაბუკი იგი შეეკაზმა, რათა განვიდეს ბრძოლად¹³²; ხოლო, იხილა რა ცოლმან მისმან მოკაზმულად, ეტრფიალა და მყის¹³³ გარდამოუტევნა თმანი, და, ვითარცა იხილა რა ჭაბუკმან მან სასწაული, რომელ ემცნო, მოიქცა და აღასრულა ნება ცოლისა მისისა; ხოლო, ვითარცა განვიდა, მდევართა მტერნი იგი ეოტნეს და მოქცეულ იყუნეს; ხოლო ჭაბუკსა მას აყუედრებდეს გვანად გასლვასა; ხოლო მან ჰრქუა: „მე მტერი საკუთარი მეწყო, იგი განვდევნე, და მან დამახრწია¹³⁴.“

აწ, თედმა¹³⁵, რომელი მე ფრიად მეღმის, იგი განმიკურნე, და მერმე, თუ ამით განმისვენო უშფოთველად, მაშინ აღვასრულოთ მსახურება კერპთა.

ჰრქუა თედმა: „არა რა უსარგებლეს არს და განმკუთვთელ, ვითარ აღსრულება დღესასწაულთა ღმერთთასა¹³⁶.“

ჰრქუა მეფემა: „მე ესრეთ ვჰგონებ, ნუ იგი არს უჭეშმარიტეს, რომელსა ჩუენ წინა-აღუდგით, ხოლო, თუ შენ გნებავს, მივედ და აღასრულე დღესასწაული; ხოლო მე ვეგო იჭუსა ამას, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი“.

მაშინ გარისხნა თედმა და დააგდო კუერთხი იგი, რომელ აქუნდა კელთა მისთა, და მოიძარცვა ძონძი იგი, რომელი ეხვია წელთა მისთა, და შიშველი დადგა წინაშე მეფისა, და რისხვით ჰრქუა: „მე ადვილად დაუტეობ არგანსა ამას და ძონძსა და არა მეშინის გზისაგან მონაზონთასა, რამეთუ არა რომელი ცხოვრება უსაჭირველეს არს ცხოვრებასა ამას ჩემსა, რამეთუ არა რა მაქუს ქუეყანასა ამას შინა, გარნა მიწა, რომელსა ზედა ვძურები, და მხალი, რომლითი ვიზრდები“.

ხოლო მეფესა, ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე, სასოწარკვეთილ იქმნა, და სცნა უძლოურება სჯულისა მათისა, ამზნო აღსარებად ღუთისა მხოლოსა; და ამას რა იგონებდა, გამოკდა სული მყრალი პირისაგან მისისა, და მოეკსენნეს გემონი ამის სოფლისანი, და იძლია ჩვეულებისაგან და ჰრქუა თედამს: „რომლითა ჯერთა¹³⁷ ჯერ არს მოქცევა ძისა ჩემისა?“

ხოლო მან ჰრქუა: —მასმიეს მეფისა ვისთვსმე, რომელსა ესვა ძე, და ჰრქუეს მკურნალთა: „უკეთუ

უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან მან, მოაკლდეს ნათელი თვალითა“. ხოლო მეფემან მან გამოუთხარა¹³⁸ ქუბი და დასვა ყრმა იგი მას შინა, და შემდგომად ათისა წლისა, ბრძანა გამოყუანება ყრმისა მის, და ბრძანა მეფემან დადგინებად წინაშე მისსა, რათა რომელი იხილოს, იცოდის¹³⁹, თუ რა არს. ხოლო ყრმა იკითხვიდა სახელსა თვთოეულისასა, და იხილნა დედანიცა, და აღეგზა სიყუარულითა, და იკითხა: „რა არიან ისი?“

ხოლო მათ ჰრქუეს: „ეშმაკნი არიან, რომელნი წარსწყმედენ კაცთა“.

ხოლო ყრმამან მან ჰრქუა: „არა რა ვიხილე უშვენიერეს და უსაწადელეს იმათ ეშმაკთა“.

აწ, მეფეო, შენცა იძიენ დედანი, რათა აზრზენდენ მას და იქცეოდის, რათა მათ თანა დაავიწყდების საუკუნო და შეესაკუთრების საწუთროსა.

ხოლო მეფესა ჰყუა ქალი ქმნულ-კეთილი, ასული მეფისა, ტყუედ წამოღებული, და სხვანიცა ქალნი მემგოსნე მეჩანგენი, და მოუწოდა ყოველთა და ჰრქუა მათ: „ესე უწყოდეთ ჭეშმარიტად, რომელმანცა აღსძრათ ძე ჩემი გულისთქმად და მიიჰყუნოთ ნებასა კორცთასა, დიდნი ნიჭნი მიგანიჭნე და გყო ცოლად ძისა ჩემისა, და დედოფლობა მას მიგენიჭოს“. და ბრძანა, რათა ყოველნი, რომელნი იყუნენ მსახურნი ყრმანი ძისა მისისანი, გარდაადგინეს და მათ წილ დაადგინნეს დედანი იგი ქმნილ-კეთილნი; და, ვითარცა ესე ყუეს, ისწრაფდა თვთე-

ული ცთუნებად იოდსაფისსა და წინა უროკვიდეს, და სტვირითა და ჩანგებითა ქებასა შეასხმიდეს¹⁴⁰.

ხოლო იგი, ოდეს აღიძრის გულისთქმად, აღანთის სანთელი და მიუპყრის თითი და, ეცხელის რა, უკმოიტაცის, და თქვს: „ჩი, იოდსაფ საწყალო¹⁴¹, უკეთუ ვერ დაუდგამ აწ ცეცხლსა შენსავე აღნთებულსა და კუალად დაშრეტადსა, და მას საუკუნესა ვითარ დაუდგნე ცეცხლსა დაუშრეტელსა, და ვითარ მოითმენ ბნელსა მას გარესკნელსა? აწ დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა“. და ესრე სახედ წინა-აღუდგებოდა გულის სიტყუათა; ხოლო ასული იგი მეფისა, ტყუედ მოღებული, ფრიად უყუარდა სიბრძნისა და გონიერებისა მისისათვს და ასწავებდის სჯულსა ქრისტესსა.

ხოლო მან ჰრქუა: „ძეო მეფისაო, გნებავს თუ ჩემი მოქცევა სჯულსა შენსა, მოვედ წელიწადსა ერთსა ნებასა ჩემსა“.

ხოლო მან ჰრქუა: „უკეთუ არღარა მივაწიო და მეწიოს სიკუდილი, მაშინ რალა იყოს ნუგეშინის ცემა ჩემი?“

ხოლო დედაკაცმან ჰრქუა: „ესე იყოს, რომე ლუთის მსახურ მყო, და ამისათვს სასყიდელი გაქუნდეს“.

ჰრქუა იოდსაფ: „ეგრეთ არს, გარნა ვერ მოვიგო მადლი მოთმინებისა, ვითარცა დაითმინეს წმიდათა და დაშრიტნეს საკმელნი კორცთანი, და კვალად მეშინის, ნუ უკუე მიმზიდოს ჩვეულებამან გუ-



ლის-თქმათამან სხვად საქმედ და მეუფლოს ვნება და შთამაგდოს წარსაწყმედელსა, და ვიპოო მტერ ლუთისა ჩემისა, და მეგობარ ეშმაკთა“ და ჰრქუა დედაკაცმან მან: „თანა მეყავ თვესა ერთსა, გინა ღამესა, ერთსა, და მე ვყო ყოველი ნება შენი; ხოლო შენ ესოდენმან მცირემან ვნებამან ვერა რა გავნოს შენ, რამეთუ მე შეცთომილსა მომაქცევ¹⁴².“

ხოლო იოდასაფ მიდრკა ნებასა ქალისასა მიზეზითა, რათა აცხოვნოს იგი, და შეაშთობდეს გულის სიტყუანიცა, და, ვითარცა გულის სიტყუასა ამას შინა იყო, მიეძინა და ილოცავდა ლუთისა მიმართ, რათა აუწყოს უმჯობესი; და იხილნა ძილსა შინა საშვებელნი მრავალფერნი სამოთხისანი და ტაძარნი ოქრო ღესულნი, რომელ არა იყო მსგავსი მათი სოფელსა ამას შინა; და ეტყოდეს ანგელოზნი იგი, რომელი თანა ჰყუებოდეს: „ესე არს განსასვენებელი წმიდათა“; და კუალად წარიყუანეს ჯოჯოხეთს, და იხილნა საშინელნი სატანჯველნი მას შინა, და ჰრქუეს: „ესე არს მისაგებელი ცოდვილთა“. და, ვითარცა განიღვიძა, განიცადა გონებითა შვენიერებასა მას სამოთხისასა, და კუალად სიმწარესა ჯოჯოხეთისასა, და დაუკვრდა დიდებულება ლუთისა და აღიღებდა მოწყალებათა მისთა, რომელმან არა მისცა შთაგდებად მთხრებლსა ცოდვისასა, და განასხნა ყოველნი იგი დედანი პალატით თვისით¹⁴³.

ხოლო, ცნა რა ესე მამამან, მივიდა მისა და ჰკითხვიდა, თუ რა იხილა; ხოლო მან უთხრა ყო-



ველი, რომელი ეხილვა, და ცრემლით ვევედრებოდა, რათა განუტეოს უდაბნოსა.

ხოლო მეფესა, ესმნეს რა სიტყუანი ესე, აღივსო გულისწყრომითა და ურვითა და თქუა: „არღარა მოწვევნად არს უდიდესი ბოროტი ჩემ ზედა, რამეთუ უკეთუმცა დიდი ვინმე მეფე, გინა მტერი მიმიღებდა ძესა ჩემსა, არამცა თავს ვიდევ მიშვებად თვნიერ ძიკუდილისა და აწ მეშინის, ნუთუ გაველერდეს ყრმა ესე და იწყოს მიმოსლვად მძოვართა თანა, და ნუ უკუე მოკლას ვინმე მტერთა ჩემთაგანმან შვენიერი ესე ნაყოფი მუცლისა ჩემისა, და ამას თანა მოსაცხრომელ მტერთა ვიქმნე, და ვინმე იყოს მაშინ ნუგეშინის მცეს მე საქმისა ამისათვის, რომლითა შეწუხებულვარ და მელმის ფრიალ“.

მაშინ ჰრქუეს წარჩინებულთა მისთა: „არა ჯერ არს, მეფეო, ესე ვითარისა ნაყოფისა განშვება სამეფოსაგან შენისა, უკეთუ მისცე ზოგადი სამეფოსა შენისა, გვეშინის, ნუ უკუე იქმნეს განხეთქილება სამეფოსა შენისა“; და განაგრძვეს სიტყუა ამის ჯერისათვის და გამოარჩიეს ესე მეფემან და ყოველთა ერისთავთა, რათა მისცეს ნახევარი სამეფოსა მისისა იოდასათს და ჰრქუეს მეფესა: „უკეთუ კელი მიჰყოს საქმესა სოფლისათა, მიიზიდავს გულისთქმაცა“; ხოლო იოდასათე ინება მეფობა ღონისძიებით, რათა შეუძლოს განცხოველებად სჯულისა, რომელი მოეკუდინა მამასა მისსა, და ჰრქუა მეფემან იოდასათს: „შვილო ჩემო, არა ესე იყო სასოება ჩემი შენდა

მიმართ; ხოლო შენ დაკენ იგი და განაცხადე წინა-აღდგომა ჩემი; ხოლო მე მომდრეკს შენდა საშვებელი შვილიარობისა, და შენ არა გელმის ჩემთვის, ვითარცა მე შენთვის და ვიცი, რამეთუ ნებსით შევამთხვე აუგი თავსა ჩემსა¹⁴⁴, აჰა ესე რა აღვასრულებ ნებასა შენსა, რამეთუ სიყუარული შვილობისა მეფობს ყოველთა ზედა მშობელთასა, რამეთუ ემორჩილებიან ნებასა შვილთასა, და აწ ესე რა დაგადგინებ მეფედ ნახევარსა ზედა სამეფოსა ჩემისასა, და თვთ განაგებდ, ვითარცა გნებაეს, რათა არა იყოს ჩემ შორის სიხარული მტერთა ჩემთა, და არცა მე სრულიად უნაყოფო შენგან, და მომატყუოს სიკუდილი მოწყუედამან შენმან პირველ მოწვევამდე სიკუდილისა ჩემ ზედა¹⁴⁵; ხოლო, უკეთუ დაიშვენო სამეფო შენი, არა სრულიად კუებულ იქმნას სული ჩემი შენგან, და მშვიდობა იყავნ შენთანა“.

ჰრქუა იოდასაფ: „სიტყუანი შენნი გულის კმა ვჰყუნე, მეფეო, ხოლო ღმერთთან დაამტკიცენ სულითა მშვიდობისათა და მიგიძღვანო უმჯობესსა, ხოლო მე არა სადა გული მითქუამს დიდებასა სოფლისასა, და უმჯობეს მიჩნს, უკეთუ განმიტეო, და უკეთუ შენ მწუხარე იქმნები განშორებისათვს ჩემისა, შენ არავე ურჩ გექმნა ბრძანებასა, რომლითა არა წარწყმდეს სული ჩემი; ხოლო მე ამისთვისცა მწუხარე ვარ, რომელ წინა-აღუდეგ ბრძანებასა შენსა, და არა თუ ურჩება შენი მენება, არამედ გარნა ვხედვედი წარსაწყმედელსა სულისა ჩემისასა, აწ მივითუა-



ლავ ბრძანებასა შენსა, არა თუ სიყუარულისათჳს მეფობისა, არამედ მორჩილებისათჳს შენისა მივიღებ ბრძანებასა შენსა“.

ხოლო მეფესა, ესმენს რა სიტყუანი ესე ძისა მისისაგან, განიხარა ფრიად, და ბრძანა ქადაგი განვლინებად, და მოუწოდა ყოველთა ერისთავთა თჳსთა; და, ვითარცა შემოკრბეს, ბრძანა დადგმად საყდარი ძისა მისისათჳსცა, და იწყო სიტყუად ერისა მიმართ და ჰრქუა: „ჩუენ ყოველნი ვიყუნეთ წესსა ზედა ჩუენსა და სჯულსა, ხოლო რომელსა ზედა ვდგათ და გამოგვრჩევიეს, რამეთუ ძესა ამას ჩემსა სწადის, რათა იყოს წესსა მას ზედა სჯულსა მამათ ჩუენთასა, და ნუ თუ მეგუარმანცა მიიზიდა¹⁶, და ყოველთა იცით საქმე ყრმისა ამის, ვითარ წინა-აღუდგა ბრძანებასა ჩუენსა და ვერცაღა მაქუს პასუხი, რამეთუ ჩუენცა წინა-აღმდგომ ვართ სჯულსა მამათ ჩუენთასა, და აწ მიბრძანებიეს, რათა მივსცნე ნახევარი მეფობისა ჩუენისა და საგანძურნი და უფლებდეს, რომელსაცა სჯულსა ზედა ენებოს“.

ხოლო ყოველთა აქვს გამორჩევა მეფისა და მისცეს მორჩილება ბრძანებასა მისსა და აღიდეს განზრახვა მისი, და განიყარა კრება.

იოდასაჲ წარვიდა პალატად თჳსად შესხმითა და ქებითა და პატივითა დიღითა; ხოლო იყუნეს ვინმე ქრისტეანთაგანნი, რომელნი იღუმალ ჰფარვიდეს სარწმუნოებასა, და ყოველნი მოვიდეს, და თაყვანისცემდეს, და ულოცვიდეს ძღვევასა, და აუწყეს სარწმუნოება, და განემზადნეს განსლვად მის თანა

სამეფოსა მისსა, და, ვითარცა წარვიდოდა იოდასაფ სამეფესო თვისსა, მივიდა წინაშე მამისა მისისა დატეობად მშვიდობისა, და, რათა განუტევენს ყოველნი, რომელნი შეეწყუდინეს საპყრობილესა; ხოლო იგი მორჩილ ექმნა და ბრძანა განტევება ყოველთა პყრობილთა; ხოლო მეფემან მოიღო გვრგვნი სამეფო და დაადგა თავსა მისსა და მისცნა საფასენი დიდძალნი და მიულოცა ძლევასა; და წარავლინა სამეფოდ მისდა, რომელი განეჩინა, და, ვითარცა მიიწია, მრავალნი საფასენი განეყუნა გლახაკთა და უღონოთა, და მერმე იწყო ერისა მიმართ და ჰრქუა: „არავის უკმს სიმართლით სღვა, ვითარ მეფესა, რამეთუ ჯერ არს სიმშვიდით და მოწყალებით მწყსა სამეფოსა თვისსა, ხოლო, თუ ენებოს ღმერთსა, მეცა ვიპყრა სამეფო ესე მსჯავრითა სიმართლისათა“. ხოლო ქურჭელი ოქროსა და ვეცხლისა, რომელი მოსცა მამამან მისმან სამსახურებელად, ბრძანა განსყიდად მათ ყოველთა უცხოსა ქუეყანასა და განყოფა გლახაკთა ზედა ქუეყანისა მისისათა, და უბრძანა ერისთავთა მისთა, რათა უსჯიდენ ქურივთა და ობოლთა, და ყონ სამართალი ყოველთა მიმართ; ხოლო აღმართნა და აღაშენნა ეკლესიანი მოაპყრებულნი და დაადგინნა მას შინა მღუდელნი და დიაკონნი, უჩინნა მათ წინამძღურად ეფისკოპოზნი, და ღონიერ იქმნნეს ყოველნი გლახაკნი, და არღარავინ იპოებოდა ქუეყანასა შინა მისსა გლახაკი, რომელმანცა ითხოვა ქუეყლის საქმარი; და მივიდოდინა კერპთ-



მსახურნი და ნათელს იღებდიან, და განმრავლდა კეთილი და ქრისტიანობა ქუეყანასა შინა იოდსაფისასა, და ყოველნი ერთბამად აღიდებდეს ღმერთსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა, და იხარებდეს ყოველნი.

ხოლო, ვითარცა იხილა მამამან მისმან მოკლება სამეფოსა თვისისა და განმდიდრება¹⁴⁷ სამეფოსა ძისა მისისა, შეუძნდა ფრიად, და იყო ურვასა შინა დიდსა; ხოლო განისმა¹⁴⁸ ჰამბავი მისი ყოველთა ქუეყანასა, და ყოველით კერძო შემოკრება სიმრავლე მორწმუნეთა, და ბრძანა ყოველთა მღუდელთა, რათა არავის ჰქონდეს მათ ზედა უფლება თვნიერ ღუთისა, და დამჭირნა ყოველნი პატივსა ზედა დიდსა ფრიად, და ყოველნი ეკლესიანი პატივსა ზედან იპყრნა ღუთისასა. ხოლო ჟამსა შინა ერთსა წარავლინა აბენეს მეფემან წინაშე ძისა მისისა კაცნი კერპთ-მსახურნი, რათა ცნან საქმე და ქცევა ძისა მისისა; და, ვითარცა მიიწინეს პალატად, მიეგება წინა, ვითარცა ძმათა საყუარელთა და დიდითა პატივითა მოიკითხნა იგინი მოწოდედ, და ისტუმრნა, და ნიჰნი დიდნი წინა უყუნა, და აწუევდა ღუთის მსახურებასა ზედა.

ხოლო მათ ჰრქუეს: „ძეო მეფისაო, ვითარ იყოს ბჭობა შენი ჩუენ ზედა საქმეთათჳს პირველთა, რომელნი ვჰმნენით ბრძანებითა მამისა შენისათა, და რამეთუ სისხლნი მრავალნი დავსთხინით“.

ჰრქუა იოდსაფე: „ვითარცა განაგდოთ სჯუ-

ლი თქუენი, მისთვისავე განაგდო იქვი, რომელი გაქუს მაგის ჯერისათვის, და, ვითარცა შეხვიდეთ სჯულსა ღუთისასა, შეხვიდეთ მშვიდობასაცა და სინჯარულსა საუკუნესა, რამეთუ ღმერთი ჩუენი მშვიდობისა და სიყუარულისა არს, და არა არს შურისგება მის თანა, რამეთუ ტკბილ და კაცთ მოყუარე და მოწყალე არს, არამედ არა ნებავეს სიკუდილი ცოდვილთა, არამედ მოქცევა და სინანული“.

და მიიქცნეს კაცნი იგი წინაშე მეფისა, აუწყეს ყოველი, რომელი ესმა და იხილეს; ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან განიზრახეს, რათა შეუდგენ სჯულსა იოდასაფისსა და შეიწყნარონ წესი მისი, და მისწერეს წიგნი ამის პირისათვის¹⁴⁹, და, ვითარცა მიიწია მოციქული და წარიკითხა, განიხარა ფრიად და დიდითა პიტივითა შეიწყნარნა მოციქულნი, და წარგზავნა, და მისცნა დიდნი ნიჭნი¹⁵⁰, და მიუწერა მამასა თვისსა ესრეთ:

„დიდსა და მორწმუნეს და კეთილად მოსრულსა მორჩილებად ღუთისა, მეფეო, მე მონა და გლახაკი იოდასაფ უფლისა მიერ მოგიკითხავ!“

არამედ¹⁵¹ ვმადლობ ღმერთსა ჩუენსა, რომელმან არა კუებულ მყო მე საწადელსა ჩემსა და ღირს მყო მე ხილვად ჭეშმარიტისა მეფობისა შენისა, რამეთუ აწლა იქმენ მეფე, ხოლო პირველ ამისსა მონა იყავ ეშმაკთა, ჭი მამაო საყუარელო, აწ დიდ არიან მადლნი და ნიჭნი შენნი ჩემზედა და გარდარეულ კეთილის-ყოფანი, არამედ უფროს და უდიდეს აწ



ახარე სულსა ჩემსა, რამეთუ ყოველი იგი, რომელი მომეც მე, არა რა იყო წინაშე თვალთა ჩემთა, რამეთუ იწვებოდა გული ჩემი წარწყმედისათვის სულისა შენისა; ხოლო აწ აღსარებითა შენითა ღუთისა მიმართ განათლდა სული და გონება ჩემი, რამეთუ აწ ვიქმენ ძე მორწმუნისა მეფისა, და კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელმან განანათლნა თვალნი სულისა შენისანი! გვევდრები, რათა დაარღვივნე ტაძარნი კერპთანი და დასწუნე ყოველნი კერპნი, და დაწვითა მათითა დაეგო ღმერთსა, ვითარცა იგი პირველ დაწვითა კაცთა ღუთის მსახურთათა განარისხე ღმერთი; ხოლო რაჟამს ესე ჰყო, მაშინ დაჰკსენ კედელი¹⁵² იგი და ზღუდვ მტერობისა, და ჰემმარტი ნუგეშინისცემა მოილო ღუთისაგან, და ღმერთი მშვიდობისა იყავნ თქუენთანან უკუნისამდე, ამინ“.

და, ვითარცა მიიწია წიგნი იგი, აღდგა მეფე იგი და ყოველი ერი მისთანა, და დაარღვივნეს ყოველნი საკერპონი და დაწუნეს ცეცხლითა. და წარვიდა მეფე და ყოველი ერი მისთანა სამეფოდ ძისა მისისა. ხოლო იოდასაფს, ვითარცა ესმა მისლვა მათი, მიეგება წინა სიხარულითა დიდითა, და დავარდა წინაშე მამისა თვისისა და მოიკითხნეს ურთიერთ-არს და წარვიდეს პალატად, და ყუეს სერობა დიდი; ხოლო იოდასაფ მიუძღუნა ნიჭნი დიდნი მეფესა და ერისთავთა მისთა, და ყოველსა ერსა; ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა მღუდელთა და

მლუდელთ - მოძღუართა, რათა ნათელსცენ მეფესა აბენეს და ყოველთა ერთა, და ერისთავთა. და წარსლვასვე სამეფოდ მათდა წარიტანნა თანა ეფისკოპოზნი, მლუდელნი და დიაკონნი.

ხოლო აბენეს მეფემან უბრძანა ყოველსა სამეფოსა მისსა აღშენება ეკკლესიისა, და ყოველმან ერმან ნათელილო, და იყო დიდი დაწყნარება და მშვიდობა სამეფოსა მათსა, და ყოველნი აღიდებდეს ღმერთსა, რომლისა არს დიდება.

ხოლო შემდგომად მცირედსა ჟამსა დასნეულდა მეფე აბენეს და მოუწოდა ძესა თვსსა და მიათვალა ყოველი სამეფო კელთა მისთა, და ლოცვიდა და მადლობასა აღუარებდა, რომელ ღირს ყო ნათელსა ქრისტეს ღუთისასა და ეტყოდა: „შვილო საყუარელო და სასურველო, მე ესერა განსვლად ვარ ამიერ სოფლითა და ფრიად მელმის და მწუხარე ვარ“.

და იოდასაფ ჰრქუა: „ნუ მწუხარე ხარ, მამაო საყუარელო, ვინათგან იცან ქრისტე მეუფე და აღიბეჭდე ნათლითა მის მიერთა, და აწ სიხარული ჯერარს, რამეთუ წარხვალ შენ წინაშე ღუთისა განსასვენებელთა საუკუნეთა“.

მიუგო აბენეს: „ნუ მამბრალობ, შვილო, შეწუხებასა, რამეთუ ბუნებით თანა აც ყოველსა სულსა მწუხარება განშორებისათჳს კორცთასა და დატეგებისათჳს ჰაერისა და ნათლისა¹⁵³, წარსლვისათჳს უცხოებად, სადა იგი არა ვიციო, თუ ვითარსა იწროებასა

მივალთ, და ამისათვისცა მეშინის, რამეთუ ფრიად გან-
ვარისხე ღმერთი დამზადებელი ჩემი, რამეთუ მრავალნი წმიდათაგანნი მოვსრენ, რომელნი აწ ჩემზე-
და შურსა იგებენ და რამეთუ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ვგმობდი ჭეშმარიტსა ღმერთ-
სა, და ვაქებდი და ვადიდებდი კერბთა, და არა რა მაქუს წინაშე მისსა კეთილი ღუთისა, და რამეთუ შემოკლდა ჟამიცა სინანულისა ჩემისა“.

მიუგო იოდასაფ და ჰრქუა: „ნუ ზრუნავ, მეფეო, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მიხვალ მეუფისა სახიერისა და მრავალ მოწყალისა, რომელმან მეთერთმეტისა¹⁵⁴ ჟამისათაცა სწორად მისცა სასყიდელი პირველისა თანა, რამეთუ არა არს ნაკლულევანება მოწყალებათა ღუთისათა და არცა კაცთაებრ სჯის თავადი იგი, რამეთუ მოწყალეებანი იგი დასძლევენ სოფლისა ამის სავსესა ცოდვითა, და მერმე არა სწორ არს ნათელი ესე ამის სოფლისა, და ჰაერნი ნათელსა მას, და ჰაერსა დიდებისა მისისასა, რომელსა ღირს იქმნებიან მორწმუნენი, და რამეთუ ვერავის კელეწიფების სამოსელი უხრწნელი¹⁵⁵, ვიდრე არა შევარდეს ხრწნილებასა კორცთასა, და უწყოდე, რამეთუ მცირედი სინანული დასძლევს მრავალთა ცოდვათა, რამეთუ განაზავებს ღმერთი მოწყალეებათა მოშიშთა მისთა ზედა“.

მაშინ გულს მოდგინე იქმნა მეფე და ნუგეშინისეცა სიტყუათა მათ ზედა, და ელხინა სულსა მისსა ურვისა მისგან, და თქუა: „მიგაგენ ღმერთმან, შვი-

ლო, უმეტესი მისაგებელი კეთილი მისთა უმეტეს სასოებისა შენისა, რამეთუ წარწყმედილ ვიყავ, მომიპოვე, და ტყუე ვიყავ, და დამიკსენ, და რამეთუ მტერი ვიყავ, და დამაგე ღმერთსა. აწ გამცნებ, რათა კეთილად ხვიდოდე წინაშე ღუთისა და სათნოდ მისდა აღასრულნე დღენი შენნი, და ნუმცა დაგახრწვეს დიდება მეფობისა სიყუარულისაგან ღუთისა; და რამეთუ ყოველნი ესე აჩრდილ და წარმავალ არს, აწ სადა არს საშინელი იგი ზარი მეფობისა ჩემისა, სიმრავლე ერისა და სიმკნე ახოვანთა მათ მკედართა ჩემთა, ანუ აურაცხელნი საფასენი ჩემნი, რომელ შევიკრიბენ, რათამცა მოვიდეს და მიკსნეს წარმყუანებელთა ჩემთაგან; აწ, შვილო ჩემო, მეცა გამცნებ, ვითარცა შენ მე მამცნებდი და გამხილებ, ვითარცა შენ მე მამხილებდი, რათა შეურაცხყო სოფელი და ყოველი, რა არს სოფელსა შინა, და ღმერთი ოდენ მოიპოვე და ლოცვათა შინა შენთა კსენებულ მყავ, შვილო ჩემო!“ და, ვითარცა ამას იტყოდა, იხილნა ანგელოზნი ნათლით შემოსილნი და დაიწერა ჯუარი და განუტევა სული.

ხოლო იოდასაფ, ძემან მეფისამან, დაფლა გვამი მისი ვითარცა კაცთა ლიტონთა, და აღიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად, აღიხილნა თვალნი და თქუა: „გმადლობ, შენ უფალო, ღმერთო ჩემო, მეფეო დიდებისაო, რომელმან მოაქციე მონა ესე შენი შეცთომილი და არა წარსწყმიდე სატანჯველთა შინა ჯოჯობეთისათა, და ღირსყავ ნათელსა პირისა შენისასა,

შეივედრე, უფალო, და შეიტკბე ესეცა, ვითარცა უძღვები იგი შვილი და დააწესე სული ამისი მართალთა და წმიდათა თანა, და ნუ მოიკსენებ ბრალთა მათ, რომელი შეამთხვიენა წმიდათა შენტა, რამეთუ მოწყალე ხარ და ყოველივე ძალგიც“.

და ორმოც დღე დგა საფლავსა მას ზედა და ესე ვითარსა შესწირვიდა ცრემლით ღუთისა მიმართ; ხოლო შემდგომად ამისა მოუწოდა ყოველთა მღუდელთ-მოძღუართა, მღუდელთა და დიაკონთა, და ფრიადნი საფასენი განუყუნა, და ამცნო მსხვერპლისა შეწირვა და ლოცვა აბენეს მეფისათვს, და ეგრეთვე განუყუნა გლახაკთა, ქურიგთა და ობოლთა, და დაჯდა საყდართა ზედა თვსთა, და უბრძანა დიდებულთაცა მისთა დასხდომა და ჰრქუა: „აჰა ესე რა შეისვენა აბენეს მეფემან, მამამან ჩემმან, ვითარცა ერთმან გლახაკთაგანმან, და ვერვის კელეწიფა შეწევნად და კსნად მისდა კელთაგან სიკუდილისათა, და დღე ესე ჩუენ ყოველთაცა ზედა მოწევნად არს, და თქუენ უწყით, თუ რა იყო წადიერება ჩემი, არამედ ვერ წინა აღუდგე მამასა ჩემსა, და აწ არღარა მაქუს მიზეზი წინაშე ღუთისა აღთქმისა მის ჩემისა, რათა შევეყო რიცხუთა მონაზონთასა, და თავს ვიდვა ცხოვრება მათი გულსმოღვინედ; ხოლო თქუენ გამოირჩიეთ თავისა თქუენისათვს მეფე, რომელი გიძლოდეს ნებასა ღუთისასა, და აჰა ესე რა ძალითა ქრისტესითა არავინ არს მტერი და წინა-აღმდგომი, და მშვიდობით დაწყნარებულ არს მეფობა ჩუენი“.

ხოლო მათ ესმნეს რა სიტყუანი ესე, აღდგეს და ყოველთა ერთითა კმითა თქუეს: „ნუ იყოფინ, მეფეო, და არა იქმნეს ეგე, ვიდრე არა ყოველნი მოესწყდეთ“. და ამას ზედა განძლიერდებოდეს კმანი მათნი, ვიდრემდის შფოთიცა აღდგებოდა; ხოლო იოდასაჲ, ვითარცა იხილა, რამეთუ არა ნებას-სცემენ, იზრახა ფარულად, მოუწოდა ბარაქიას, რომელი პირველ ვახსენეთ, რომელი იგი შემწედ იყო ნაქორისსა მას დღესა, ოდეს მეფე სიტყუას უგებდა, და იყო იგი ნათესავი იოდასაჲსა, და რქუა: „ნათესავი დღესა ჳირისასა უნდა კაცსა, და აწ მიიღე კელით წერილი ერისა მიმართ და მთავართა ჩემთა მეფობისათჳს შენისა, და მე მნებავეს, რათა განვიდე ძმათა თანა და მათ თანა ვმოხებდე ქრისტესა“.

მიუგო ბარაქია: „სამართლად არა საჯე, მეფე, რამეთუ წერილ არს:— შეიყაურო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ხოლო შენ აღირჩევ უმჯობესსა და ჩემი გნებავეს წარწყმედა; ხოლო, თუ უმჯობეს არს დატევება საწუთოსა და ძიება საუკუნოსა, გვაღე და წარვიდეთ ორნივე“.

ხოლო ბარაქიასაგან რა ესმნეს სიტყუანი ესე, ემხილა სამართალი და არღარა მიუგო.

ხოლო ლამესა ერთსა დაწერა წიგნი ესრეთ კელით წერილი ერისთავთა მიმართ და ერისა, ვითარმედ ბარაქიასი ჯერ არს მეფობა, და დაუტევა საგებელსა ზედა თვისსა¹⁵⁶, და აღდგა, და მოიბლოარდა

წელთა ძაძა იგი, რომელ მიეღო ბალავარისაგან, და გამოვიდა ფარულად.

ხოლო აგრძნა ბარაქია და აუწყა სხვათა მთავართა; ხოლო მათ მსწრაფლ დევნა უყუეს და შეიპყრეს და მოიყუანეს და ჰრქუეს: „უკეთუ დაუტეო ესოდენი სიმრავლე უწინამძღროდ, და ანუ აღდგენ ბრძოლანი და შფოთნი, ანუ კუალად მოიქცენ კერპთა მიმართ, არა შენგან იზღვიოსა ესოდენი სული, რომელ არს სამეფოსა ამას შინა შენსა?“

ხოლო მან ჰრქუა: „პირი იგი უტყუარი ამას ბრძანებს:—რა სარგებელ არს უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს კაცმან და სული თვისი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს—აწ უწყოდეთ, მე უეჭველად წარვალ სათნოთა თანა ღუთისათა, ხოლო თქუენ იძიეთ თავისა თქუენისად მეფე“.

მაშინ ბარაქიას კელნი დაასხნეს, რათა ყონ იგი მეფედ; ხოლო მან იწყა ტირილად და არა უნდა ესე ყოფად, არამედ ვერღარა შემძლებელ იყო წინაზღდგომად ერისა და უფროსლა იოდასაფისსა; ხოლო იოდასაფ მოიღო ბექედი და შეაცვა კელსა ბარაქიასსა, და გვრგვნი თავსა დაადგა, და მიულოცა მეფობა, და აღიპყრნა კელნი და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მიკსენ უღირსი მონა შენი, და მომიყუანე გულისკმის ყოფად ცნობასა შენსა, და არა კუებულ ჰყავ სული ჩემი მოქცევითს მამისა ჩემისა, და აწ აჩუენე კაცთ მოყუარება შენი, და შეეწიე ბარაქიას, ძმასა ამას ჩემსა, რათა



ღირსად და სათნოდ შენდა ვილოდეს წინაშე შენსა და ყოველსა ერსა“.

და ვითარცა ესე ვითარი ვედრება განამრავლა ღუთისა მიმართ და მერმე აღიხუნა კელნი თჳსნი ბექთაგან ბარაქიასთა, მერმე მიექცა ბარაქიას და ჰრქუა: „გამცნებ შენ და აღთქმასა მიგცემ წინაშე ღუთისა და ყოვლისა ერისა, ნუმცა ბრალეულ ვარ საქმითა შენითა, და რამეთუ უწინარეს ჩემსა იცან ღმერთი და მონებდი მას სულითა უსიტყუელითა, აწ უფროს ჩემსა იღვაწე და აჩუენე ღუთისა სათნოება შენი; ნუ ვისთჳს ძვირსა იკსენებ, ნუცა წარიტყუენი გონებითა სილაღითა საყდრისა შენისათა; ნუ ვის ესავ შემწედ შენდა თჳნიერ ღუთისა; ნუ მიიღებ ძღვენსა უსამართლოსა, ნუცა განიხარებ ჰირსა მტერისასა; ნუ განცვიფრდების გონება შენი მრისხანებისათჳს; ნუ ვის მიხედავ თვალითა მრისხანიითა; ნუ ვის მიაგებ ბოროტსა თავისა შენისათჳს, გარნა მხოლოდ ღუთისათჳს; ნუ ცარიელსა მიაქცევთ გლახასა. ამას გამცნებ და, უკეთუ თანა წაჰრკდე, ღმერთი იყავნ მიმკდელი შენი, და რომელი¹⁵⁷ იგი არს დასაბამი და დასასრული ყოვლისა საქმისა, და იყავნ ყოველთა კაცთათჳს ვგრეთ, ვითარცა შენ გნებავეს ყოფა მათი შენთჳს, რამეთუ იგი არს მეგობარი კეთილ, რომელი არა ჰიქამან¹⁵⁸ მოიგოს, არამედ გამოცდილებამან; ხოლო სიყუარულსა არა აქუს საზღვარი, რამეთუ თვალსა უკმს თვალი, ხოლო იგი ყოველსა ხედავს, და თავსა თჳსსა ვერ ხედავს; ხოლო

უკეთეს სული უკეთური მოიწიოს შენზედა და გავვევდეს, არქუ, ვითარმედ ესე ყოველთა უცნია. ხოლო იგი სირცხვილმეული უკუნ იქცეს; ხოლო, უკეთეს სცთე, მოუწოდე კაცსა მეცნიერს და მან განჰკურნოს ცთომილება შენი“.

და ვითარცა დაასრულნა სიტყუა სწავლისა, აღდგა და კუალად მოიბლარდნა სამოსელი იგი მიცემული ბალავარისგან, და მსწრაფლ წარვიდა უდაბნოსა, ხოლო ყოველთა, რომელთა ესმა ჰამბავი მისი, განჰკვირდეს მას ზედა, და ყოველნი ცრემლით აღიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ღმერთმან ამითცა გამოსცადა გონება მისი, რამეთუ შემდგომად ორისაღა წლისა უზუნა ერთსა მათთაგანსა მოძღვარი ბალავარ, და, ვითარცა ნახეს, მოეხვვნეს ქედთა ურთიერთას, შეიტკბნეს და ტიროდეს, და ამბორს უყოფდეს, და, ვითარცა დასხდეს, ყოველივე ყოფილი წარმოუთხრა იოდასაფ; ხოლო იგი მადლობდა ღმერთსა, რომელმან ნაყოფიერ ჰყო თესლი, რომელ დაეთესა აგარაკსა კეთილსა.

ხოლო ბალავარ აუწყა კორცთაგან განსლვა თვისი; ხოლო იოდასაფ იწყო კუალად ტირილად და ეტყოდა: „ნუ დამიტეობ, მამაო სულიერო, შეიღსა ამას შეცთომილსა“.

ხოლო იგი ეტყოდა: „ნუ შესძრწუნდები, შვილო ჩემო, რამეთუ ვევედრები უფალსა, რათა ადრე მოგიყუანოს ადგილსა მას განსასვენებელსა, რომელ

„შენ იხილე“. და ამას სიტყუასვე თანა გაბრწყინდა პირი მისი და შეისვენა.

ხოლო იოდასაფ გვამი წმიდისა მის მამისა ჩუენისა ბალავარისი დადვა კურელსა მას შინა, რომელსა იყოფებოდა, და შეეარდა დიდსა მწუხარებასა შინა, და, მცირე რა მიეძინა, იხილა ძილსა შინა კაცნი ვინმე ნათლისანი, და აქუნდა მათ გვრგვნები შემკული ანთრაკითა და თვალითა და ეტყოდეს: „ესე გვრგვნნი მათთვის არს, რომელ სწავლითა შენითა წარუდგინენ ღმერთსა“. და სხუანი აქუნდეს ბრწყინვალენი ორნი და ჰრქუა მას: „ესე ერთი შენი არს ღვაწლთა მათთვის, რომელ თავს იხსენ, და ერთი მამისა შენისა არს, რამეთუ მოიქცა ღუთისა“.

მიუგო იოდასაფ: „და რა სწორება არს, რომელმან მცირედ შეინანოს, მოღვაწისა თანა?“

მაშინ გამოუჩნდა ბალავარ და ჰრქუა: „მოიკსენე, ძეო მეფისაო, ოდეს იგი გეტყოდე, ვითარმედ, ოდეს განმსდიდრდე, არა გინდეს მიცემად მოყუასისა, და აწ გშურს მამისათვისცა შენისა“.

და განიღვიძა იოდასაფ, და განბრწყინდა¹⁵⁹, და მტკიცე იქმნა სულითა; ხოლო შემდგომად მცირედთა ჟამთა შეისვენა იოდასაფცა. და იყო მახლობელად მათსა კაცი ერთი მძოვართავანი, მოვიდა და დადვა გვამი იგი ბალავარის თანა და წარვიდა წინაშე ბარაქია მეფისა, და მიუთხრა საქმე იგი; ხოლო იგი წარვიდა ერთთა, ეფისკოპოზითა და მღუდლითა და წარმოიხუნა წმინდანი ნაწილნი იოდასაფ და ბა-

ლავარისნი, და დაკრძალნა ლესკუმასა შინა ოქრო-
სასა, და დიდითა პატროსნებითა შეამკუნა, მას ზედა
აღაშენა ეკლესია სახელსა ზედა მამისა, ძისა და სუ-
ლისა წმიდისასა, რომლისა არს დიდება უკუნითი
უკუნისამდე.

და რომელნიცა სარწმუნოებით მივლენ, ვიდრე
დღეინდელად დღედმდე ყოველთაგან სენთა განი-
კურნებიან, და ჩუენცა ვევედრნეთ ღმერთსა, რათა
ლოცვითა მათითა ვიკსნეთ საუკუნეთა სატანჯველ-
თაგან და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომლისა არს დი-
დება, პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის უკუ-
ნითი უკუნისამდენ, ამინ¹⁶⁰.

დამატება I.

ცნობები შესახებ ხელნაწერთა, რომლებშიაც მო- აზრება სიბრძნე ბაღვაჯანისა.

ამ წიგნის გამოცემის დროს ჩვენ ხელთა გვქონდა ექვსი ხელ-
ნაწერი, რომელთა შორის ხუთი ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავისა არის.

I.

პირველი მათგანი M, № 300 (სიგძით 27, გა-
ნით 18 სანტიმეტრი), ეკუთვნის სამეგრელოს თავა-
დის ბიბლიოთეკას და დაწერილია მშვენიერს გასან-
თლულ ქალაქდზე წვრილის და ლამაზის ნუსხა მხედ-
რულის ხელით. სათაურები ნაწერია რგვალის მხედ-
რულის ხელით და წითელის მელნით. ტექსტში ხში-
რათ ურევია ხუცური ასო-მთავრულები, ზოგჯერ წი-
თელის მელნით ნაწერი. სათვალავი ფურცლებისა
მიუძღვის თვითოეულის რვა ფურცლის შემდეგ მხედ-
რულის ასოებით. წიგნი შეიცავს სულ 364 ფურ-
ცელს. ყტა მაგარი აქვს ხისა შავ ტყავ გადაკრული.
შინაარსით ხელნაწერი წარმოგვიდგენს კრებულს წმ.
მამათა ცხოვრებისას და სხვათა საკითხავთა და განი-
ყოფება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოქცეულია:

1) ცხოვრება წმ.ნიკოლოზისა (ფურც. 3—15).¹⁾ ამის ბოლოს სწერია: მეც მეოხ მეყავ ქებისა შენისა მნუსხველს თომას განკითხვასა მას საშინელსა და გამომაჩინე მარჯვენით მდგომარედ, ჭი წმინდაო მამაო, რათა ვადიდებდე მამასა და ძესა და სულსა წმიდასა უკუნისამდე, ამინ. ქვს უნგ (1765). მთ (?). ამას შემდეგ ერთი ფურცელი დაუწერელია.

2) საკითხავი ღვთის-მშობლის მიცვალებისა (17—27). ამის ბოლოს სწერია: და მეცა მნუსხველსა ურწმუნო ქმნილს თომას მეოხ მეყავ და გამომიხსენ საუკუნეთა სატანჯველთაგან.

3) საკითხავი ფერის-ცვალებისა ეფრემ ასურისა (27—30).

4) წამება წმ. რაქდენისა (ქართველთა მამისა 31—37).

5) წამება წმ. არჩილისა (38—43).

6) წამება მეფისა ლუარსაბისა (43—50).

7) წამება წმ. ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი (50—56).

8) მიცვალება ისე წილკნელისა (56—62).

9) საკითხავი თომა მოციქულისა (63—66).

10) ცხოვრება ტასიასი (66—67).

11) ცხოვრება ნისიმესი (67—68).

12) ცხოვრება ონოფრესი (68—71).

¹⁾ პირველი ორი ფურცელი შეიცავს ნაწყვეტებს წმ. გიორგის წამებისას.

- 13) ცხოვრება ალექსისი (72—74).
- 14) წამება დიმიტრისი (75—78).
- 15) სასწაული გიორგისა (79—85).
- 16) წამება ბარბარასი (85—90).
- 17) შობა იოვანე ნათლის-მცემლისა (90—92).
- 18) სასწაულნი თევდორესნი (92—96).
- 19) წამება ქრისტინასი (97—103). ამის ბოლოს სწერია: წმიდაო ქალწულო მოწამეო ქრისტინა, შენ შემწე და მეოხ ექმენ აქაცა და მას საუკუნოსაცა ფრიად ცოდვილსა მღვდელსა თომას.
- 20) წამება თევდორე სტრატილატისა (103—106).
- 21) ცხოვრება შიშველ-მართალთა და ზოსიმე განშორებულისა (106—110).
- 22) ცხოვრება მელანიასი (110).
- 23) წამება წმ. გიორგისა (111—119). ამის ბოლოს სწერია: წმიდაო დიდებული მთავარ მოწამეო გიორგი, შემწე და მეოხ მეყავ ორსავე შინა ცხოვრებასა ფრიად ცოდვილსა, სახელით თომას მღვდელსა, პატრონს ამისას.
- 24) განკურნება განრღვეულისა, რომელსა განიცდიდა უფალი ჩუენი იესო ქრისტე (119—120).
- 25) წამება იაკობ მოციქულისა (120—121).
- 26) წამება პავლე მოციქულისა (121—122).
- 27) წამება ალათანგიელისი (122—127).
- 28) წამება ეკატერინასი (127—133). ამის ბოლოს სწერია: მეცა მეოხ მექმენ ღვაწლ მრავალო

ეკატერინა, მონასა თქვენსა მნუსხველს და პატრონს
ამისას თომას. ამინ.

29) წამება ფებრონიასი (133—139).

30) წამება მარინასი (139—144).

31) წამება ირინასი (144—154).

32) წამება სტეფანესი (155—160).

33) სიტყუა ჩვილთათვის ბასილი ისავროელ
ეპისკოპოსისა (161—163).

34) სიტყუა თევდორე აღმსარებელისა პოვნი-
სათვის თავისა წინამორბედისა (163—166).

35) საკითხავი იოვანე დამასკელისა შობისათს
წმიდისა ღვთის-მშობლისა (167—171).

36) სიტყუა იოვანე ოქროპირისა შობისათს
ნათლის-მცემლისა (171—177).

37) მიგებებისათს უფლისა (177—185).

38) შობისათს უფლისა (185—192).

39) სტიხონი ბასილისა თქმული გრიგოლი-
ღვთის-მეტყველისა (192—193).

40) საკითხავი იოვანე კოსტანტინეპოლელ მთა-
ვარ ეპისკოპოსისა ნათლის-ღებისათს უფლისა (193
—197).

41) შესხმა პეტრესი და პავლესი იოვანე ოქრო-
პირისა (198—200).

42) წამება ეესტატისა (200—206).

ამას შემდეგ (ფურც. 207) მოყვანილია ზან-
დუკი ზემოხსენებულთა საკითხავთა, რომლის ბო-
ლოს სწერია:

რ(ომე)ლთა ცა წამებანი და ღვაწლნი და მოთხრო-
ბანი არიან წიგნსა ამას შინა, თქვენ მცველ და მფარ-
ველ ექმნენით სრულ-მყოფელსა წერილსა ამის კა-
ლაუბნის მღუდელს ყოველთა უმცირესა იოანეს. გე-
ვედრები, მკითხველნო, შეცთომილისა რასამე ნუ
მწყევთ, არამედ შენდობა ყავთ. სრულ იქმნა თთვე-
სა მაისსა იე, ქრისტეს აქეთ წელსა. **ჩდოთ**, ქვს უჯზ
(1779). ამას შემდეგ ორი ფურცელი დაუწერელია.

მეორე ნაწილი წიგნისა შეიცავს შემდეგ საკი-
თხავებს:

- 1) ცხოვრება წმ. თეოდორასი (210—214).
- 2) ცხოვრება აბრაჰმ მონაზონისა (214—217).
- 3) ცხოვრება პაფნოტისა და ევფროსინესი (217—220).
- 4) ცხოვრება კანონიკესი (220—222).
- 5) ცხოვრება ევგენიოსისი (222—223).
- 6) ცხოვრება ამბა დანიელისა (224—225).
- 7) ცხოვრება სილიბისტროსი (225—235).
- 8) ცხოვრება მაკარისა (235—239). ამას შემ-
დეგ ორი ფურცელი დაუწერელია.
- 9) ცხოვრება იოანე ღვთის-მეტყუელისა (242—
261). ამის ბოლოს სწერია: ესე წიგნი ივანესი არს,
ვინც მოიპაროს გაუწყრეს წმიდათა მოწამეთა, რო-
მელიც აღწერილ არს წიგნსა ამას შინა. ამინ და
კირიელესონ.
- 10) სიბრძნე ბალავარისი (262—282). ამას შემ-
დეგ ერთი ფურცელი დაუწერელია.

11) თხრობა სულიერი, რომელსა ეწოდების დიოლოლონი, თავი მეხუთე (284—307).

12) თხრობანი წ-თა მამათანი (308—332). შემდეგ ერთი ფურცელი დაუწერელია.

13) ცხოვრება დიდისა ვასილისა (334—363).

ამის ბოლოს სწერია: ღმერთო, შემიწყალე მონა ღეთისა გოგია. ამინ,

შემდეგ მოყვანილია ზანდუკი უკანასკნელ ცამეტთა საკითხავთა, რომლის ბოლოს ვკითხულობთ:

წმინდანო, რომელნიცა მეორესა წიგნსა წერილ არიან, სიმხენი და მოღვაწებანი თქვენნი, მცველ და მფარველ მექმნენით და აჰარის მცველთაგან იხსენით სული ჩემი, სრულ მყოფელსა ამისა კალაუბნის მღუდელს, ყოველთა უმცირესსა, იოანეს. აღიწერა თთვესა მაისსა კ, დასაბამითგან წელთა კსზზ ქრისტეს აქეთ ჩღათ, ქკს უჯზ (1779), დღესა ეხუთშაბათსა.

როგორც სჩანს მინაწერებიდგან ჩვენი წიგნის საკითხავები სხვა და სხვა დროს არის გადაწერილი, უძველესი მათგანი ეკუთვნის 1765 წ. და უახლესი 1779. გადამწერნი არიან თომა, გოგია და იოანე. სამი სხვა და სხვა ხელი მართლა განირჩევა ჩვენი ხელნაწერში.

სიბრძნე ბალავარისა, როგორც ზემო დავინახეთ, მეორე ნაწილშია ამ წიგნისა და გადაწერილია 1779 წ., მაისის 15—20 რიცხვებში. სხვა აქამომდე ცნობილი ვარიანტები ბალავარისა ეკუთვნიან მე-

ცხრამეტე საუკუნეს და ამიტომაც ეს ვარიანტი ჯერ-
ჯერობით უძველესად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ხსენ-
ებული ვარიანტი მარტო თარიღით არ არის ძვე-
ლი, არამედ შედარებით სხვებთან სიძველე ემჩნევა
ენაში, აზრის მოკლეთ გამოხატვაში და საზოგადოთ
შინაარსის სიმოკლეშიც, ზოგიერთ შემდეგ დროის
ვარიანტებში აღგილ აღგილ ფრაზები მიუმატებიათ,
ძველი სიტყვები და ფორმები შეუცვლიათ ახლებით
და ერთი ორი სიტყვით გამოხატული შინაარსი წე-
რილისა გადაუკეთებიათ ვრცელს წერილებათ. ის
მცირეოდენი შენიშვნები სხვა ვარიანტებიდგან შე-
მოტანილნი, რომელთაც მკითხველი იპოვის ჩვენს
გამოცემაში (იხ. დამატება II), საკმაო საბუთია ჩვენის
აზრის სიმართლისა, და ამიტომაც აქ აღარ გავიმეორებთ
იქ ნაჩვენებს განსხვავებებს. ზოგჯერ ჩვენს ვარიანტ-
საც ეტყობა შეცვლა ძველი ფორმებისა და სიტყვე-
ბისა ახალის ფორმებით და სიტყვებით, და ჩვენ
შორსა ვართ იმ აზრიდგან, რომ სხვა ახალს ვარიან-
ტებს არ შეეძლოს ზოგიერთი აღგილების აღდგენა
თვით ჩვენს დედანშიაც. რაც შეეხება მართლ წერას
სიტყვებისას, უნდა შევნიშნოთ, რომ უ სრულებით
არ იხმარება ჩვენს დედანში, როგორც ვერ იპოვით
ამას სხვა ძველს ხელნაწერებშიაც. ჭ — ს მაგიერ
უმეტეს შემთხვევაში ნახმარია ე. სიტყვა ჩვენა, სა-
დაც შემოკლებით (პატივით) არ არის დაწერილი,
ყოველთვის იწერება ჩვენა. სიტყვა უაჰა ორგვარათ
იწერება უაჰა და უაჰჷ, აგრეთვე სიტყვა თვისად

იწერება **ოჯსად** და **ოვისად**; ვ — მაგიერ ხშირათ ნახმარია **უ**. საყურადღებოა ისიც, რომ **ა** ერთხელ არ არის ნახმარი ჩვენს დედანში. **ა** ან სულ გამოშვებულია, ან მის მაგიერ ნახმარია **ა**. მაგალითათ, რაჟსა-ს მაგიერ სწერია რაისა, რაჟ-ს მაგიერ რა; ვანაჟთვანი-ს მაგიერ ვინათვან და სხვა, ნიშნებათ ნახმარია უმეტეს შემთხვევაში ორი წერტილი (რომელიც ამ ხელნაწერში უდრის მძიმეს, წერტილს და ორ წერტილს) და იშვიათათ წერტილი. ხშირია აგრეთვე ვარსკლავის მსგავსი წერტილებიც. აქა იქ მოიპოვება ცოტაოდენი შეცდომებიც ჩვენს ხელნაწერში, მაგალითათ ერთ ადგილას ზანდანის მაგიერ სწერია ზანდან, თვრამეტის მაგიერ თორმეტი, შეემტერნეს მაგიერ შეემტვერნეს. და სხვა. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ეს ვარიანტი ¹ბალავარის სიბრძნისა ერთი უძველესი და უკეთესთაგანი ვარიანტია აქამომდე ცნობილთ ვარიანტებთა შორის, და ამიტომაც ჩვენ ჩვენი გამოცემა ამ ვარიანტზე დავამყარეთ.

II.

მეორე ხელნაწერი A, № 2394, შემოსწირა ¹წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს ბ-მა ამირიძემ. ხელნაწერი (22 × 17,5 სანტიმეტრი) შესდგება რამოდენიმე ერთ ყდაში შეკრულის რვეულებისაგან, ფურცლების სათვალავი აღნიშნული არ

არის. ხელი გაკრული ნუსხა მხედრულია. მელანი შავია. ხელნაწერში მოთავსებულია:

1) ცხოვრება და მოქალაქაობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვს. ეს ცხოვრება შეიცავს 97 ფურცელს. ბოლოს მინაწერ ვრცელის წერილიდგან ვსცნობთ, რომ ხსენებული ცხოვრება ანდრიასი გადაუწერია 1877 წელს დეკემბრის 29-ს დავით ივანეს ძეს ამირიძეს, ორბელიანის მოურავს, რომელიც გადაწერის დროს ყოფილა 59 წლის კაცი. მეორე ვრცელს მინაწერში ამირიძე ლოცავს ივანე დავითის ძეს ორბელიანს ასი საყენი მიწის ჩუქებისათვის.

2) სიბრძნე ბალავარისა, თუმცა ასეთი სათაური არ არის ჩვენს ხელნაწერში, არამედ ტექსტი უსათაუროთ პირდაპირ იწყება ამ სიტყვებით: „გვითხრობდა ჩუენ მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალავარისა, რომელი იმყოფებოდა უდაბნოსა მძოვართა თანა“. ქალღმერთი ამ რვეულისა უფრო შავია პირველ რვეულის ქალღმერთზე, ხელიც სხვაა და მელანიც; ტექსტში ხშირათ ურევია ხუცური ასომთავრული. რვეული შეიცავს 33 ფურცელს, ნუსხა მხედრულის ხელით და მქრალის მელნით ნაწერს. არა სჩანს როდის არის გადაწერილი ეს სიბრძნე ბალავარისა, მაგრამ ყველაფერი (ქალღმერთი, მელანი, ხელი წერისა) უჩვენებს, რომ ხელნაწერი ამ საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. თუმცა ეს ვარიანტი ახალს დრო-

შია გადაწერილი, მაგრამ ეტყობა დედანი კარგი ჰქონია მის გადამწერს, ამიტომოც ის ვრცელი წერილები, რომელნიც არ მოიპოვებიან პირველს ჩვენს ვარიანტში, არც ამაში არიან მოყვანილნი. საზოგადოთ ტექსტი ამ ხელნაწერისა ძრიელ წააგავს პირველს ვარიანტს. მეტნაკლებობა სიტყვებში და ფრაზებში ამ ორ ხელნაწერთა შორის თვალ-საჩინო არ არის. მხოლოდ ძველი ფორმები და სტრიქონები აქაც ხშირათ შეცვლილია შედარებით პერველს ვარიანტთან. მართლ-წერაც აქ სხვა არის: უ ჩვეულებრივათ იხმარება, ხშირათ ვპოულობთ **ა-ს**, იხმარება აგრეთვე ასო **ჟ**. ნიშნებათ იხმარება წერტილი და მძიმე. ზოგიერთი სიტყვები აქაც შემოკლებით იწერება, მაგრამ ისე ხშირათ არა, როგორც პირველს ვარიანტში. საზოგადოთ ეს ვარიანტი პირველის შემდეგ საუკეთესოა სხვებთა შორის, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს, და მისი ტექსტი უფრო ახლოა პირველზე ვიდრე სხვებისა. ეს ვარიანტი ჩვენ შემომწირველის სახელით აღვნიშნეთ და ზოგიერთი მისი განსხვავება სხოლიებში უჩვენეთ (იხილე დამატება II).

3) ცხოვრება და მოქალაქობა აღექსი კაცისა ღვთისა, ახლად შაირად გარდათარგმნილი, მარგებელი მსმენელთა და მკითხველთათვისცა, თქმული სააკაძის იოსებ ტფილელისაგან. შეიცავს 12 ფურცელს და ნაწერია იმავე დავით ამირიძის ხელით, რომელსაც გადმოუწერია ანდრია სალოსის ცხოვრება. ბო-

ლოს ვკითხულობთ: დასასრული ალექსიანისა გად-
მოწერილი დავით ამირაძის მოურავის მიერ ჟამსა
მეორმოცდა-ათეს წელს მყოფობისასა, წელსა ჩყათ
(1869), ივნისის კე-სა.

4) ხილვა მარტო-მყოფლისა (იკითხე მყოფელი-
სა) დანიელისა.

ეს რვეული შეიცავს 14 ფურცელს და ყველა
რვეულზე ადრინდელი უნდა იყოს. ტექსტი ნაწე-
რია ლურჯ ქალაღზე, ახალი სტრიქონები იწყება
დიდრჩინი ხუცური ასომთავრულებით და წითელის
მელნით, დანარჩენი ნაწერია მორგვალო მხედრუ-
ლის ხელით და შავის მელნით. რვეული უნდა ეკუ-
თვნოდეს ამ საუკუნის* დასაწყისს. ბოლოს სწერია:
ხოლო ღირსისა დანიელ მარტო-მყოფელისა ძილსა
შორის ესე გამოცხადება ბერძულისაგან ქართულსა
ენასა ზედა ითარგმანა წმინდის ქრისტეს საფლავს ქა-
ლაქსა შინა თქილისა(?) აღიწერა წიგნი ესე. (უკანა-
სკნელი ფურცელი ამას შემდეგ წაჭრილია).

III.

მესამე ხელნაწერი E, № 1606, წარმოგვი-
დგენს ნაწყვეტებს ბალავარის სიბრძნისას და ამ ხუ-
თი წლის წინეთ ვიპოვე ს. ოქროყანაში. სულ და-
ცულია ხუთი ნახევარ-თაბახიანი ფურცელი (მე-9,
10, 12, 13, 14). სათაურები ნაწერია რვეალის ხე-
ლით და წითელის მელნით, დანარჩენი ტექსტი ნუ-



სხა მხედრულის ხელით და შავის მელნით. ახალი სტრიქონები, რომელიც ამ ვარიანტში ყველა ხელნაწერებზე უფრო ხშირია, იწყებიან ხუცურის ასომთავრულებით. უ აქაც იხმარება მაგრამ ჟ არ შეგვხდებათ. ნიშნებათ იხმარება მძიმე, ორი წერტილი და წერტილი. ზოგიერთი სიტყვები შემოკლებით არის ნაწერი. ტექსტი ჩვენს ვარიანტში იწყება შემდგომი სიტყვებით: „იგი მეგობარი უყუარდავე, ხოლო მესამე იგი მეგობარი შეურაცხ იყო მის წინაშე“. თავდება: ესე ჯერ არს, რათა დაიჭიროთ თავი შენი საზომსა და გეშინოდენ ღვთისა, ესე შეიკრძაღე და შეისწავე და ჯუართა შეიჭურე“. ტექსტი ამ ნაწყვეტებისა სრულიად ეთანხმება დაფქვიაშვილის ვარიანტს და № 2527, რომლებზედაც ამას ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

IV.

მეოთხე ხელნაწერი დაფქვიაშვილისა II, № 1106, წარმოგვიდგენს რვეულის მსგავს წიგნს, აკინძულია, მაგრამ ყდა არა აქვს, სულ შეიცავს 86 ფურცელს. ამათში 76 უჭერია ბალავარის ტექსტს, სხვები კი სხვა და სხვა ლექსებს და მამაო ჩვენოს განმარტებას. წიგნის ბოლოში ათი ფურცელი ქალაღლი ცარიელია. დაწერილია რვეალის ხელით და წითელის მელნით. წითელისავე მელნით იწერება ხოლმე ერთი თუ ორი სიტყვა ახალის სტრიქონებისა, რომელნიც მუდამ

იწყებიან ხუცური ასომთავრულებით. წიგნი გადაწერილია 1860 წ. გუბერნსკის სეკრეტარის ანტონი ზაქარაის ძის დაფქვიევის მიერ. შემოაწირულია წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკისადმი ნ. დაფქვიაშვილის მიერ, და ამიტომაც მას დაფქვიაშვილის ვარიანტად უწოდებ. ვინაიდან თავ-და-პირველათ მარტო ეს ვარიანტი იყო ცნობილი, ამისათვის მას დიდი ყურადღება მიაქცევს. ამ ვარიანტზე დაამყარა პროფესორმა ნ. მარმა თავის სტატია ბალავარის შესახებ და მოიყვანა აწერილობა ხელნაწერისა. ამის გარდა, როგორც ვიცით, ცაგარელი ამზადებს მეცნიერულს გამოცემას ბალავარისას რუსული თარგმანითურთ და ტექსტი დამყარებული აქვს ამ ხელნაწერზე და ორს კიდევ სხვაზე, რომელნიც ჩვენ მივაწოდეთ, ამისათვის ხსენებულის ვარიანტის განსხვავებების დაწვრილებით აღნიშვნა ჩვენ საქიროთ აღარ მიგვაჩთა, აღვნიშნეთ მხოლოდ ის ადგილები, სადაც დიდი განსხვავება იყო შედარებით ჩვენს დედანთან და აგრეთვე ის სიტყვები, რომელნიც ასე თუ ისე ავსებენ და ხსნიან ზოგიერთ ადგილებს ჩვენი დედნისას.

შედარება დაფქვიაშვილის ვარიანტისა შემოხსენებულ ვარიანტებთან აშკარათ აჩენს, რომ ეს ვარიანტი მათზე უფრო ვრცელია, მაგრამ ეს სივრცელე ჩვენ სიძველეთ არ მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, ხსენებული ვარიანტი მერმეა განვრცობილი და ის ნამდვილი პირი არ არის ძველი დედნისა. ის

რაც თავდაპირველს დედანში ერთი-ორი სიტყვით ყოფილა გამოხატული, აქ ვრცელს წერილათ გადაუკეთებიათ. მაგალითათ სიტყვებს: „ხოლო ღამესა ერთსა დაწერა წიგნი ესრეთ კელით წერილი ერისთავთა მიმართ და ერისა, ვითარმედ ბარაქიასი ჯერ არს მეფობა“ — მიუცია მიზეფი შეეთხზათ ის ვრცელი წერილი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ მე-156 შენიშვნათ (იხილე დამატება II), აგრეთვე სიტყვებს: „ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან განიზრახეს, რათა შეუდგენ სჯულსა იოდასაფისსა და შეიწყნარონ წესი მისი, და მისწერეს წიგნი ამის პირისათჳს“ — მიუცია მიზეფი, რომ შეეთხზათ მეორე ვრცელი წერილი, რომელიც მოყვანილია მე-149 შენიშვნათ (იხილე დამატება II). თვით უაზრო შინაარსი ამ წერილებისა, უბრალო სიტყვების დეჴვა და უღაზათობა მათი, არ ეთანხმება საზოგადო ხასიათს და მოკლეთ მოჴრილს და დამთავრებულს აზრს ჩვენი წიგნის მოთხრობისას. მერმეა, ჩვენის აზრით, შეთხზული ის ადგილებიც დაფჴვიაშვილის ვარიანტისა, რომელნიც ჩვენ მოგვყავს მე-140, 142, 143 შენიშვნებში მეორე დამატებისა, თუმცა ეს ადგილები უფრო აზრიანი არიან და ფსიხოლოგიურათ უფრო მართალნი ზემო ნაჩვენებ წერილებთან შედარებით. მაგრამ აჴაც ეტყობა, რომ თავდაპირველათ ეს აზრები ისე მოკლეთ ყოფილა გამოხატული, როგორც სამეგრელოს თავადის ვარიანტშია, და მერმე განუვრციათ.

V.

მეხუთე ხელნაწერი B, № 2527 (22 × 18 სანტიმეტრი), წარმოგვიდგენს რვეულებათ შეკრულს უყდო წიგნს გაკრული მხედრლის ხელით და შავის მელნით დაწერილს, ხოლო სათაურები და ახალის სტრიქონის დასაწყისი ასოები ასომთავრულია, სულ ხელნაწერში ხუთი რვეულია, ანუ 54 ფურცელი, რომელთა შორის რვა ფურცელი ბალავარის ბოლოს უჭირავს ხარების საგალობელს შემდგვის სათაურით: საგალობელი ხარებისა იამბიკოდ წყობილი უღირსისა და ყდ კნინის იერომონახის ნიკოლაოზის მიერ ქმნილი. მე-9 გალობას ასეთი კიდურ-წერლობა აქვს:

უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა, ნიკოლაოზ.

საგალობელის ბოლოს სწერია: გარდაწერილ არს წიგნი ესე ბალავარიანი მშვენიერის ნაწერისაგან, რომელიც იყო დაწერილი უღირსის ბერის ნიკოლაოზისა და მას თვისი სახელი იამბიკო ლექსში გამოეყვანა და მეცა მიბაძვითა მისითა თუმცაღა უძლე, გარნა მასთანა არ ჯერ არს გამოჩენა მისი, გარნა რაცა ჰსაკსა ჩემსა ეკუთვნოდა, ასე არს კმასაყოფელი, რომელსაცა ამასა ქვემოთე წარიკითხავთ. მოყვანილია იამბიკო, რომლითაც ანდრია ლექს უძღვნის ნიკოლოზს განდგომილსა. კიდურ-წერლობა

იკითხება ასე: უჩენიკის ანდრია მესხიევისაგან. ბო-
ლოს სწერია:

ვეკუთვნი ვისა! დავით დეკანოზის შვილსა,
სახელად ანდრია პირველ წოდებულსა,
აზნაურთაგან გვარად მესხის შვილსა,
ღმერთო, შენ მოანიჭე სწავლა ბრძნისა,
და გარდაწერილ ვარ თვთ კელთაგან მისსა.

უკანასკნელი ორი ფურცელი დაუწერელია. ეს
ხელნაწერიც გადაწერილია XIX საუკუნის მეორე
ნახევარში.

ტექსტის მიხედვით ეს ხელნაწერი თითქმის ყვე-
ლაფერში ეთანხმება დაფქვიაშვილის ვარიანტს და
ის რაც დაფქვიაშვილის ვარიანტის ტექსტის შესახებ
ვთქვით, მართალია ამ ვარიანტის ტექსტის შესახებ
ბაღ.

VI.

მეექვსე ხელნაწერი C ($22 \times 17,5$ სანტიმეტრი),
ნათხოვები გიორგი წერეთლის მიერ, მხედრული
ნუსხური ხელნაწერი, ყდაში, შეიცავს კრებულს,
რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი თხზულებანი:

1. ხვა სიტყვაობითი მოთხრობა. წიგნი, რომელ-
სა ეწოდების ზნეობითი, ანუ ყოფაქცევითი ფილასო-
ფია, ესე იგი რომან მოლარე მოღებული ვარ-
დისა და ბუღბუღლისა მიერ, და შეემაგალითების
ვარდ-ბუღბუღლიანსა, სახელსა ზედან მისსა ღრაფო-

ბის ბრწყინვალეების ნიკოლაი პეტროვიჩის რომანოვის, დიდის კანცლერის, იმისის დიდებულების მწიროთ კოლლეგიისა და სხვათა და სხვათა კავალეროთ მქონებელისა, დათხზული სომხურად ერევნული სომხის, ნადვორნის სოვეტნიკის მარგარ ხაზარის ძის ხოჯაევისაგან, ხოლო სომხურიდამ რუსულად თარგმნილი არხილიაკონის იოსებ იოანესიანის მიერ აშტრახნელისა, ნებართვითა ცენზორისათა, წმიდას პეტერბურღსა შინა, მისივე იოანესიანის ტიპოღრაფიასა შინა (გვერდი 1—42). ბოლოს მინაწერიდგან ვტყობილობთ, რომ ეს თხზულება გადუწერია ხუცესს პეტრეს.

2. წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა ლექსად თქმული თავადი დიმიტრი ბაგრატიონის მიერ. გადმოწერილია პეტერბურღს 1819 წ. დაბეჭდილის ტექსტისაგან (გვ. 45—66). ბოლოს ხელ-ჩართულად სწერია: აღწერილ არს მღვდლის პეტრეს მიერ უღირსის. ესევე სწერია ხუცურათაც.

3. სიბრძნე ბალავარისა (გვ. 69—137).

4. მოკლე ძველი მითოლოგიური და გეოგრაფიული ლექსიკონი (139—154).

5. კალანდრა და ლურზნამა, რომელსაც სათაურათ აქვს: ესე კალანდრა და ლურზნამა არაბულისა და თათრულისაგან არის გადმოთარგმნილი (გვ. 155—212). ხოლო-სიტყვაობაში პეტრე მღვდელი ამბობს, რომ ცნობები კალანდრისა არ არის მარ-

თალიო, რადგან საღმთო წერილს არ ეთანხმებაო.
ხელნაწერი ეკუთვნის მე-XIX საუკუნეს.

ტექსტი ამ ვარიანტისა საზოგადოთ ეთანხმება მეგრელიის ვარიანტის და ამირიძის ხელნაწერების ტექსტებს, მაგრამ ბევრ ფრაზებში და სიტყვებში წარმოგვიდგენს განსხვავებას. ამას გარდა ხშირათ არის ამ ვარიანტში გამოტოვებული ზოგიერთი ფრაზები, რომელნიც ჩვენ არ აღგვინიშნავს.

გარდა ზემოხსენებულთ ხელნაწერებისა ამ ხუთი წლის წინეთ ჩვენ ჩავვივარდა ხელში კიდევ ერთი სხვა ხელნაწერი ბალავარისა, რომელიც პროფესორს ცაგარელს გაუგზავნეთ. დაბრუნების შემდეგ პატრონმა არ ინება მისი შემოწირვა წერაკითხვის საზოგადოებისათვის და ჩვენ ამ გამოცემის დროს ის წიგნი ველარ ვიშოვეთ. ხელნაწერი ამ საუკუნეს ეკუთვნოდა და, როგორც გვანახოვს, ოთხის წლით ადრე იყო გადაწერილი დაფქვიაშვილის ვარიანტზე. იქაც ტექსტი ბალავარისა მამათა ცხოვრებაში იყო მოქცეული, ხოლო მამათა ცხოვრება სურათებით იყო შემკობილი. ცნობებს მის შესახებ, იმედია, პროფესორი ცაგარლის გამოცემაში ვიპოვით.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნულნი ხელნაწერები ბალავარისა განიყოფებიან ორ ჯგუფათ. პირველ ჯგუფს შეადგენენ ვარიანტები მეგრელიის ბიბლიოთეკისა, ამირიძისა და გ. წერეთლისა. ამათში ყველაზე უძველესია დროს და ენის მიხედვით მეგრელიის ბიბლიოთეკის ვარიანტი, უფ-

რო ახლო მეგრელიის ვარიანტთან ამირიძის ვარიანტი და უფრო დაშორებულია გ. წერეთლის ვარიანტი.

მეორე ჯგუფს წარმოგვიდგენენ დაფქვიაშვილის ვარიანტი, № 2527 და № 1606. ესენი უფრო ვრცელნი არიან პირველ ჯგუფის ხელნაწერებზე, ანუ უკეთ ვსთქვათ უფრო განვრცობილნი არიან, და ენითაც თვალსაჩინოთ განირჩევიან პირველი ჯგუფისაგან.

ამას ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი განსხვავებანი ზემო აღნიშნულთ ხელნაწერებიდან.

დამატება II.

გარდასტვება სხვა და სხვა ხელნაწერებისა

(ლათინური ასოები უჩვენებენ შემდეგ ხელნაწერებს: A=ამირიძისას № 2394; B=2527; C=გიორგი წერეთლის ნათხოვებს; D=დაფქვიასვილისას № 1106; E=№ 1606 (ნაწყვეტებს); M=მეგრელიის ბიბლიოთეკისას № 300, რომელზედაც დამყარებულია ტექსტი ჩვენი გამოცემისა).

- 1) D და B-ში ამ სათაურის მაგიერ სწერია: სიბრძნე ბალავარისა თქმული მამისა ისააკის (B: ისააკისა), ძისა სოფრონ პალისტინელის (B: პალისტინელისა) მიერ. A და C-ში ისეთივე სათაურია, როგორც M-ში, ესე იგი ჩვენს დედანში, ხოლო სიტყვის მაგიერ „უდაბნოთა“ სწერია: უდაბნოსა.
- 2) A და C: აბენეს.
- 3) C-ში ეს ცხრა სიტყვა გამოშვებულია, ხოლო D და B-ში ამათ მაგიერ სწერია: იყო სარწმუნოებით წარმართი და კერბთ მსახური, გარნა გონება კეთილი.
- 4) C: მემრავლეთა, B და D: მემაგრეთა.
- 5) B და D აქ უმატებენ: ანუ ვითარისა ბედისა არს იგი.
- 6) B და D-ში ეს სიტყვა გამოშვებულია.
- 7) B და D: არამედ რათა არა მიზეზ გექმნეთ კაცის მკვლელობისა და უღლოებისა.


- 8) B და D-ში არ არის: და ასოთაგან ფერკთა და კელისა დაკლებული იყო.
- 9) A აქ უმატებს: ვნებულება თვისი.
- 10) D და B: მე ვარ კაცი სიტყვა კელოვანი.
- 11) B და D: სახლად თვსად. C: სახლად მისდა.
- 12) A აქ უმატებს: მოიყვანეს რა.
- 13) სხვა ყველა ვარიანტებში სწერია: შეემტერნეს.
- 14) D: ბოროტი არს თქვენდა და გიყო თქვენ მაგიერი. B ამას უმატებს: და ჰრქვა მათ შეფემან: მე გამოვციდი მას და იწყო გამოცდად მისა.
- 15) C: მელმის.
- 16) B და D: დიდება,
- 17) B და D: კელოვანი.
- 18) B და D: მისი ჩემდამო.
- 19) B და D აქ უმატებენ: გუშინ.
- 20) B: გინა.
- 21) B: გული.
- 22) B: უკეთუმცა დამარქუ (D: დამარქვა). A: უკეთუ დამარქვა.
- 23) B და D: ხოლო ბალავარ დაუტევა.
- 24) B და D: და ბძანა. A: უბრძანა.
- 25) სხვა ყველა ვარიანტებში და სხვა შემთხვევაში ჩვენს დედანშიაც სწერია: ზანდან.
- 26) A: და არავის უტევებდა შეჰსვლად და განსვლად ქალაქისაგან. ამის შემდეგი სიტყვები „და იწყო ურვად“-მდის არ არის A-ში.
- 27) B უმატებს: და შემწყნარებელ სწავლულებისა.
- 28) A: ამოთა.
- 29) სიტყვიდგან „იქმნების“ აქამდე არ არის B და D-ში.
- 30) B და D: აღხედ. C: აღსდგ.
- 31) B და D: სიმრავლესა.

- 32) **Д:** მიუღის. **В:** მიუღიქს. **С:** მიუთხრას.
- 33) **А** და **С** უმატებენ: მიუგო ზანდან. **Д** და **В:** და ჰრქვა ზანდან.
- 34) **Д:** მდინარენიო.
- 35) **А** უმატებს: ელვანი.
- 36) **В** და **Д**-ში სიტყვიდგან „მზე“ ასეა მოთხრობილი: მზე-ცა და მოთვარეცა მისგან დაბადებულ არიანო, ვარსკლავნი (**В:** ვითარ ვარსკლავნი) ბრძანებითა იქმნენო, ძვრანი, ჰაერნი, ქუხილნი და ქარნი ნებითა მისითა იქმნებიანო და კაცი გელითა მისითა შეუქმნია მიწისაგან და სული თვისი (**Д:** და სულისათვის) შთაუბერავს უკვდავიო.
- 37) **В** და **Д:** აქვს. **А:** უთქუამს. **С:** უდგსო.
- 38) **А**-ში გამომწვებულია ეს სიტყვა
- 39) **В:** მოთხი. **Д:** მოთხი.
- 40) **В** და **Д:** წურწუმასა. **С** და **А:** წუმწუმასა.
- 41) **А:** ნათელსა.
- 42) **Д:** ერთა. **А:** ყურთა.
- 43) **А** და **С:** იტყვებს. **В:** ატყვებს. **Д:** ატყვევებს.
- 44) **А** და **В** უმატებენ: ომსა შინა.
- 45) **В** და **Д:** აღუსრულებს. **С** და **А:** მოატყვებს.
- 46) აქ ვარიანტები უმატებენ: წინაშე.
- 47) **В** და **Д:** სიფთხილე (**В:** სიფთხილე) თვალთა, რომელ არა (**Д:** არს) მიხედოს ვისდამე თვალითა ბოროტითა და სიწმიდე (**Д:** სიწმინდე) ხორცთა (**Д:** კორცთა), რომელ არა შეგინებულ იყოს ჯერეთ, ხოლო უკეთუ იხილოს იგი ვინმე სხვამან ცოდვილმან, ნათელი თვალთა მოაკლდეს და სასმენელი და ცნობა მიეხადოს.
- 48) **В** და **Д:** მძიმედ ცდვასა შენსა თვალთა შინა შენთა.
- 49) **В** და **Д** უმატებენ: ჯერეთ.

- ⁵⁰⁾ B და D: ხილვა მის კაცისა უცხოისა (D: კაცისა უცხოისა) და უთხრობდა.
- ⁵¹⁾ ეს ორი სიტყვა ჩვენ დაურთეთ A-დგან. სხვებში არ არის.
- ⁵²⁾ B და D: და განვიდა მზრდელი, მაშინ უბრძანა.
- ⁵³⁾ B და D: რათა უღებოდ შეგამხვიო (B შეგამხვო) და უეცრად.
- ⁵⁴⁾ A, B და D: და დაბეჭკულითა.
- ⁵⁵⁾ A და D: ცხენისაგან. C: უნისაგან.
- ⁵⁶⁾ D: კელთა. B: ხელთა.
- ⁵⁷⁾ A: საძაგელი ძვალები. D და B: საძაგელი ბაყლები.
- ⁵⁸⁾ B და D: კიდობანნი შეშისანი.
- ⁵⁹⁾ B და D: მეგობართა.
- ⁶⁰⁾ A: ასი. B და D: ესე. C: ის.
- ⁶¹⁾ B: აღხდაჲ. D: ახდაი.
- ⁶²⁾ სხვა ყველა ვარიანტებში: სპილო.
- ⁶³⁾ B, E და D: სადა არს სიყვარული შენი ჩემდა მომართ.
A: აწ სიყვარული ჩემი შენდა მომართ. C: მოიხსენე სიყვარული ჩემი, რომელი მაქუნდა შენდა მიმართ.
- ⁶⁴⁾ B, E და D: ამიერთგან ნურღარა ხარ მეგობარ ჩემდა.
- ⁶⁵⁾ B, E და D: და მერმე მოვიქცევი სახლად ჩემდა და არღარა ვიქმნები მეგობარი შენი.
- ⁶⁶⁾ B, E და D უმატებენ: ფრიაღ.
- ⁶⁷⁾ B: მხურვალეებით.
- ⁶⁸⁾ B, E და D: ცნობაცა.
- ⁶⁹⁾ A: ხოლო ორნი იგი სამოსელნი სუღარი და გრაგნელნი არიან. C: ხოლო ორნი იგის სამოსელნი სუღარი და საგრაგნელი არიან.
- ⁷⁰⁾ ვარიანტები უმატებენ: არიან.
- ⁷¹⁾ A, C და E-ში სათაური თხრობა მეხუთე ამას შემდეგ არის მოყვანილი.

- 72) B და D: რომლითა ღონითა შეუძლო.
- 73) B: ქალაქსა.
- 74) B, E, D: გონებითა.
- 75) B, E, D უმატებენ: ამინ.
- 76) B: აუწყეს.
- 77) ეს სამი სიტყვა ყველა ვარიანტებშია, გარდა ჩვენი დედანისა.
- 78) B, A და E აქ უმატებენ: მისთანა. თქუა იოდსაჲ: ვერ ეგების ესე ყოფად, რამეთუ ვერ ჰპოეს ადგილი შეწყნარებისა.
- 79) A უმატებს: მეფე და თანა-მზრახველი მისი.
- 80) B და D: ზრახვიდეს და ხედვიდეს.
- 81) B და D: შეუდგსა.
- 82) A: რომელსა არა შეუდგს მწუხარება და სიმდიდრე, არცა სიგლახაკე, არცა სიხარული, არცა ურვა, არცა სიმრთელე, არცა საღმობა, არცა მეფობა, არცა აღსასრული, არცა მშვიდობა, არცა შიში და არცა ცხოვრება. B და D: რომელსა არა შეუდგს მწუხარება, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე, რომელსა არა შეუდგს საღმობა, რომელსა არა შეუდგს აღსასრული.
- 83) B და D იქმოდა რასმე გელთ-საქმარსა უნდოსა და მადლობდა პირისა ღთისა (B: პირთა ღმერთსა).
- 84) C: შვილი.
- 85) C: ოდიტვან. A: როდღევან.
- 86) C უმატებს: უმეტეს.
- 87) C: ოდიტვან. B: ვითარ. A: როდესაც.
- 88) ჩვენს დედანში სწერია: თორმეტი, ხოლო სხვა ყველა ვარიანტებში: ათვრამეტი.
- 89) C: გეწუხებისა.
- 90) D და C: ნათესავსა ამას, რომ (B: ჩოხ) ესოდენი (B: ესეოდენი) სიმაგრე სიყვარულისათვის კერპათასა.

- 91) **Д:** ჰრქვა ბალავარ. **С:** ჰრქვა მას ბალავარს. **Е:** ხალხი მან მიუგო ესრეთ. **В-**ში ეს ფრაზა არ არის.
- 92) **Д:** უკეთუ დაიმარხნე (**В:** დაიმარხო), დიდ სარგებელ გეყუენ. **С:** დიდი სარგებელი გეყოს.
- 93) ვარიანტები უმატებენ: ზედა.
- 94) **С** და **А:** ცნობილ-იყავ.
- 95) **С:** დაივიწყე.
- 96) **С:** აუწლომელ არს შენგან და შენ კუალად ეწვდები (**А:** ეწუდები. **Д** და **Е:** ცთილობ).
- 97) **С:** რამეთუ მან მიხსნან. **Е:** რამეთუ მით მიხსნა ჩუენ ღმერთმან.
- 98) ჩვენ დედანში და სხვა ყველა ვარიანტებში გარდა **С-**სა სწერია: ღუთისანი.
- 99) სხვა ვარიანტები: ყანობირსა.
- 100) დატყვებული მოყვარეთაგან განსწირონ. **Е:** დატყვებული მოგულეთაგან და განწირონ.
- 101) **С:** შეარვა.
- 102) **А** და **С:** სახიერებასა ასწავებენ და თვით ზაკვითა სავსე არიან.
- 103) **А** და **С:** გნებავს.
- 104) **С** და **В** უკუნისამდე.
- 105) **А:** დაფარე. **С:** დავჭარე. **Д:** დავფარო.
- 106) **А:** არა რაჲ არიან, ვინაჲდგან. **С:** არა რა არიან, არამედ.
- 107) **А** და **С** აქ უმატებენ: იოდასაფისა. **Д:** ენება წარსვლა, და წარვიდა გზისაგან მეფისა.
- 108) **Д** და **В:** ბალახთაგან.
- 109) **А:** მდელითა მათგან. **С:** მდელითაგან.
- 110) **С:** ჭეშმარიტება ქრისტიანეთა მავათ.
- 111) **С:** სახე. ამას ზემოთ, იხილე გვ. 53 სიტყვიდან „და





იწყონ შფოთებად“ სიტყვებამდის „რად უკმს მას და სამოსელი“ **Д** და **В** ასეთ განსხვავებას წარმოგიდგინენ:

„რქვა იოდსაფ: მიიღე სამოსელი მოყვასთა შენტათვის“. რქვა ბალავარ: „არა სანმარ არს სამოსელი თქუენი. სამოსელი ჩუენი ძველი, დაბებკვილი, ნაგევთა შინა შეკრებული, უმჯობეს არს ლართა ძვირთა, ოქრო ქსოვილთა, რამეთუ ძვალნი (**B**: ძველნი) იგი ჩუენნი განახლებასა მოელიან, რომელნი არღა დაძუელდენ საუკუნოდ, არამედ იყვნენ სამოსელ ნათლისა, ხოლო თქუენი ეგე განილევიან და მტვერ არიან“. რქვა იოდსაფ: „რაოდენნი სამოსელნი მოსიესთ?“ ჰრქვა: „ერთი, დასაფარული კორცთა უძღურებისა; და რომელნი მოელოდენ მწუხრიდგან ვიდრე ცისკრადმდე სიკვდილსა, რად უხმსთ მათ ორი სამოსელი ეგე ვითარი?“

- 112) **C**. ნახევი.
- 113) **B** და **Д**: დაბებკული. **A** და **C**: დანაკერები.
- 114) **C**: სენაკსა მას.
- 115) **C**: გულთა თქვენთა.
- 116) **C** უმატებს: საშვებელი.
- 117) სხვა ყველა ვარიანტებში: ასოეულად.
- 118) **B** და **Д**: წინასწარ მეტყველნი და მოციქულნი. **C**: და მოციქულნი დაამტკიცებდეს.
- 119) **C**: ბრძენი მთავარი იგი მისი რაქის ყრმისა მიერ. **Д** და **B**: ბრძენთ მთავარი მათ მიერ ესე რაქის. **A**: ბრძენთა მთავარი ესე რაქის.
- 120) **C**: მამანი ჩვენნი ლმერთსა ესვიდენ და ღმრთის მსახურნი იყვნენ.
- 121) **C**: შენი.
- 122) **C** აქ უმატებს ფრჩხილებში: არღარა კვალად იქცის მუნ-ვე და.

- 123) C: ილე.
- 124) B დი D: რომელმან.
- 125) A და C: იცვალბოდა, იცილებდა (A: აცილობდა).
- 126) C: გვრგვნი მეფობისა ჩემისა.
- 127) ჩვენს დედანში და სხვა ვარიანტებში, გარდა C, სწერია: შური ვიძიო ენისაგან შენისა და გულისა კელითა ჩემითა აღმოგწოდნე (C: ამოგვწვადნე, B: აღმოგიწოდნე, A: ჩამოგწოდნე, D: აღმოგიწოდნე) იგინი.
- 128) C: პირველად ჯერ არს კერპთა შეწირვად მსხვერპლისა. D: პირველად ჯერ არს აღსრულება დღესასწაულისა კერონისა.
- 129) C უმატებს: ჭაბუკსა.
- 130) C: ბუნებასა.
- 131) A და C: გარდმოუტევებდე.
- 132) C: წყობად-
- 133) ეს სიტყვა ჩვენს დედანში არ არის, ხოლო სხვებში ყველაშია.
- 134) A და B-ში უკანასკნელ სამი სიტყვის მაგიერ სწერია: და პირველ მას მივე პასუხი და აწ აქ მოველ.
- 135) C: თედამის. A: თედამს. (ასეთივე ფორმა გამეორებულია სხვა შემთხვევაშიც).
- 136) A, C: კერპთასა.
- 137) C: გზითა. A: ძალითა შესაძლებელ არს.
- 138) C: გამოჰკვეთა.
- 139) A და C: ჰსცნახ.
- 140) აქ B და D უმატებენ: და, ოდესმე მიჰყვიან კელი ლაციცად, და ესეცა თვინიერ ნებისა მისისა აღატყინიან გულის თქმად, და თვითცა იქმოდინ (B: იქმოდენ) მრავალფერთა უშვერთა (D უშვერსა), რათა იხილოს და ისწაოს მან-

ცა, და ჰყოს ეკრეთ. გარნა იგი გონებითა საესე ბუნე-
ბით სცნობდა სირცხვილსა და ხედვიდა, რამეთუ არა
კეთილ არს საქმე იგი და ამისთვის იტანჯებოდა გუ-
ლის-თქმითა და ვერა რომელიმე დაამტკიცა. შემდგომ
(B: შემდეგ) მოიპოვა ღონე ესე, და ოდეს (შემდეგ ისე,
როგორც სხვა ვარიანტებშია).

¹⁴¹⁾ C: უბადრუკო.

¹⁴²⁾ აქ B და D უმატებენ: და სიტყვასა ამას ზედა მიეხზლა
და ჰრქვა: „ჰი, ძეო მეფისაო, არა რაიმე ძნელ არს და
ესრეთ უმჯობეს არს, და მეცა ქრისტიანე ვიქნები“. რქვა
იოდასაფ: „საყვარელო, შენ იცი, რომელ ფრიად
მიყვარს და მსურს ნება შენი, გარნა უკეთეს არს, რათა
ჯერეთ აღიარო იესო ქრისტე და გრწმენს, და შემდეგ
ნება შენი იყავნ“. მიუგო ქალმან: „მე ვიშთობი გულის
თქმითა და ვიწვები ცეცხლითა სურვილისათა, და არა
მცალსლა, არამედ ოდენ აღასრულე ნება ჩემი, თანა მე-
ყავ, და დამიშრიტე ცეცხლი, და ოდეს დამყუდროვდეს
გონება, მაშინ აღვიარო“.

¹⁴³⁾ მთელი ეს პარაგრაფი B და D-ში მოთხრობილია ამგვა-
რათ: ხოლო იოდასაფ მიდრკა კნინდა ნებასა ქალისასა
მიზეზითა, რათა (B: რათამცა) აცხოვნოს იგი, და შეა-
შთობდეს გულის სიტყვანიცა და ვითარცა მწუხარებასა
ამას შინა მიეძინა და იხილა ძილსა შინა ჩვენება სა-
შინელი (B: საშინელნი) შევნიერნი სახლნი ოქრო ღე-
სულნი და ტაძარნი ზრწყინვალენი, რომლის მსგავსი კაც-
თა თვალისაგან (D: კაცთაგანის თვალის) ხილვა (D: ხილ-
ვისა) შეუძლებელ იყო, და ეტყოდეს ანგელოსნი იგი, რომელი
თანა ჰყვებოდეს, ესე არსო განსასვენებელი წმი-
დათა და კვალად წარიყვანეს სხვასა საძაგელსა ადგილსა
საესესა ცეცხლითა და წუნწუბითა და ყოვლითა სი-

მყალითა, და იხილა თავი თვისი, რომელ შეკვირდენ ქალნი იგი და მიათრევდენ მუნ, და ანგელოსნი იგი შეეწოდდეს მას და არა უტევებდენ, და ვითარ ამას ხილვასა შინა იყო, განიფრთხო და მოეგო გონებასა და აღიდა მოწყალება ღვთისა, რომელმან არა მისცა შთაგდებად მოხრებლსა ცოდვისასა და უპყრა კელი ქალსა მას და განიყვანა გარედ (B: გარე) და რქჳ მას (B: და რქჳ) არა განვითრევი შენგან, არამედ პირველად მე განგათრევ (D: გაგათრევ შენ) სახლით ჩემით და განაძო გარეთ და განასხნა ყოველნი იგი დედანი პალატით თვისით.

¹⁴⁴⁾ C: შემოთხვიე თავსა შენსა აუგი.

¹⁴⁵⁾ C: მომაგოს სიკჳდილი მწუხარებამან.

¹⁴⁶⁾ A: და ნუ უკჳტ გვარმამცა მიიტაცა.

¹⁴⁷⁾ C: აღმატება.

¹⁴⁸⁾ C: განითქვა.

¹⁴⁹⁾ აქ B და D-ში მოყვანილია ვრცელი წერილი აბენეს მეფისათვისა ძისადმი; ამ წერილს გვერდში უწერია აშიაზე D-ში: „აბენეს სწერს თვისსა ძესა“. არც ერთ სხვა ვარიანტებში, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს, ეს წერილი არ მოიპოება. მოგვყავს აქ ხსენებული წერილი დაფქვია-შვილის ვარიანტიდან:

და მისწერეს წიგნი ამის პირისათვის ესრეთ: „აბენეს მეფე შენ საყვარელს შვილსა ჩემსა და მეფესა თანაძმადასა გიხაროდენ იოდასაფს.

„მოიწიენეს კაცი იგი, რომელნი წარმოვეზავენ ცნობად ამბისა შენისა, უკეთუ ვითარ სცხონდები, გარნა სმენამან კეთილ ზრდილობისამან, რომელ მიიღენ იგინი ნიჭითა დიდითა, მხიარულ მყო, და რამეთუ იღვწი სჯულისათვის ქრისტიანობისა, და ყოველი შრომა შენი და-

გიდვიეს ამას ზედა. ესე რა ყოველი ვიხილეთ, ღიდებ-
ბაო ჩუნო, ჩუნ და ღიდებულთა ჩუნთა (ეს ორი
სიტყვა B-ში არ არის) და ჩემთა თანა გულს დავიდეთ შე-
მდგომად შენდა, უკეთუ დავგაზაენე შენ ესოდენთა შეუ-
რაცხის მყოფელნი სჯულისანი, რამეთუ სიყვარული
შვილობისა შენისა არა მიტევებს მე, არამედ უღელსა
ნებისა შენისასა მარადის მიმზიდავს მე. აწე მოგიწერ
ამის ჯერისათვის, რათა მაუწყო ჭეშმარიტი, ვითართა
ღონითა ვჰყოთ ჩუნ თანა-ზარები და არა განწყდეს სი-
სიყვარული ერთობისა ჩუნისა, გვირგვინო მამისა შენი-
საო, რამეთუ კერპთა მიმართ, ვითარ ვაზრობთ, არა ვე-
როვან არს თაყვანის-ცემა, ვითარცა ღმერთისა, რამეთუ
ვერას შემძლებელ-არაიან შეწევნად კაცთა თვით იგინი,
კელითა კაცთა გამოხატულნი, და აღვილ განმიზრახავს
დაწვა მათი, ოდეს კვალად წიგნი შენი მოიწიოს ჩემდა.
მოწერილ არს ესე პირველს მთვარესა, რათა მალე მა-
უწყო მე ამის ჯერისათვის.

**იოდსაფსა მეფესა (B: იოდსაფ მეფეს)
დიდსა გვირგვინოსანსა და ღვთის მსახურსა
მშვიდობა შენდა გიხატოდენ.**“

- ¹⁵⁰⁾ B და D: შეიწყნარნა მოციქულნი და აღავენა ნიჭითა,
ვითარმცა თითოეულსა (B: თვითეულსა) მათსა მისცა
ასი სასწორი ვეცხლისა და ოქრო სინარულისა გამო,
რომელიცა მიეცა მას.
- ¹⁵¹⁾ C: პირველად.
- ¹⁵²⁾ C: კეთილი.
- ¹⁵³⁾ C: დატევებისათვის სოფლისა ამის და თვისთა.
- ¹⁵⁴⁾ დედანში სწერია: მეატერთმეტისა.
- ¹⁵⁵⁾ C უმატებს: შემოსად.
- ¹⁵⁶⁾ B და D-ში უკანასკნელი ოთხი სტრიქონის მაგიერ მო-
ყვანილია შემდეგი ვრცელა წერილი:

ხოლო ღამესა ერთსა დაწერა წიგნი ესრეთ:

„ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა, აზნაურთა და ერთა, მეფე და ძმა უპრწმესი თქუენი, გლახაკი იოდასაფ, უფლისა მიერ გიხაროდენ!

„უწყით ყოველთა, რამეთუ არა რაჲ სხვა (ეს სიტყვა არ არის B-ში) გულსა შემიცნობიეს, გარნა ოდენ ესე, რათა წარუდგინო თავი ჩემი უფალსა, და ესე რა მიღწევის თქუენტვსცა, ვითარცა ჯერ იყო, და მადლითა ღუთისათა ხართ გამოხსნილ უღლისაგან ეშმაკისა და ძე მღთისა, მოგიწერ, რათა მომიხსენებდეთ მე უღირსსა და რათა კეთილათ იღვაწოთ თავთა თქუენთათვს და ეკკლესიათა, მღჭდელთა პატივ-სცემდით, მონაზონთა ჰყვარობდით, უცხონი და გლახაკნი შეიწყალენით, და ეკკლესიათა მისცემდით (ეს ცხრა სიტყვა B-ში არ არის) სარგებელსა, და მე, ესე რა წარვალ, და ვერღარა იხილოთ პირი ჩემი კორციელად, ხოლო სულიერად, ვითხოვ მეუფისაგან ცათასა, რათა ყოველნი ღირს ვიქმნეთ ხილვად ურთიერთას სასუფეველსა შინა, და აწ მაგიერსა ჩემსა დაგიტევებთ ბარაქიას, რამეთუ ამისი ჯერ-არს მეფობაჲ, რამეთუ კაცი მხნე და გონიერ არს და გამოცდილ სამეფოთა საქმეთა, ღთის-მსახურ და ჯეროვან, და ყოველთა პატივის-მცემელ. უსმენდეთ ჯეროვანად და იყუენით მშვიდობით!“ და დაუტევა ესე წიგნი იოდასაფ საგებელსა ზედა თვსსა.

157) C: რამეთუ.

158) D: ჭიქმან.

159) C: და განიხარა.

160) B და D აქ უმატებენ: იძლია მძლავრი და დაითრგუნა გუელი ესე ბოროტი მადლითა ერთ-არსისათა.

ამათ გაზდა საჭიჯოთ გრაცხო აღენიშნოთ ვადეგ
შემდეგი განსხვავებანი:

ჩენი დედანი	ვარიანტები
უგამლონი (გვერდი 46, სტრიქონი მე-8 ზემოლამ)	ფერგ-შიშველნი (II)
სახარებასა (გვ. 47, სტრ. 1 ზემოდ.)	სახიერებასა (A)
სახესა (გვ. 50, სტრ. 13 ქვემ.)	სხვასა
წარმოიყუანეს (გვ. 50, სტრ. 3 ქვემოლამ)	წარმოიყუანეს და დაიჭირეს უმაგრესად (A და II)
ლოცვიდა (გვ. 54, სტრ. 12 ქვემ.)	ევედრებოდა (II)
თევად (გვ. 56, სტრ. 6 ქვემ.)	ტეხად (II)
შეუპყრივარ სნეულებასა (გვ. 57, სტრ. 11 ქვემ.)	შეუპყრივარ ურვასა დიდსა და სნეულებასა (A)
მაშფოთებს (გვ. 57, სტრ. 13 ქვემ.)	მაშთობს (A)
უნახავს (გვ. 58, სტრ. 1 ქვემ.)	უნმს (A)
ჰრქუა მან კაცმან (გვ. 60, სტრ. 4 ქვემოლამ)	მიუგეს მათ კაცთა ღვთისმსახურთა (A)
იზიარებ (გვ. 60, სტრ. 2 ქვემ.)	იხარებ (II)
ბალაკარისა (გვ. 70, სტრ. 11 ზემოლამ)	იოდლასაფისა (II)
მოვით (გვ. 72, სტრ. 12 ზემოდ.)	ვით (II), ვითა (A)
სირცხვილითა (გვ. 72, სტრ. 8 ქვემ.)	თავაზითა (II).

დამატება III.

განმარტებისა ზოგიერთი სიტყვათა.

ამრიზებული	გაბრაზებული, შემომწყრალი.
არგანი	დასაყრდნობელი ჯოხი.
აუგი	სირცხვილი, სარცხვინელი.
აღნადგინები	სარგებელი.
აშკმა, აშკმობა	პირის დაღება, დაღრენა.
აცილობდა	არ ემორჩილებოდა, ურჩობდა.
ახმა	თავის ახდა.

ბაყლი	მწიკელი, ჩირქი, ბალლამი.
ბებკი	ძონძის ნაკერები.
ბებკული	ძონძის ნაკერებიანი, დაძონძილი.
ბოროტნი მეფისანი	რისხვანი მეფისანი.

განასხნა	განდევნა.
განაკუთრენს	შეისაკუთრეს, მოიგეს.
განწონება	შიგ გაჩრა, განგმირება.
გვალე, მოგვალე	წადი, იარე, მოდი.
გელმის	ვენბავს.
გული-სიტყვა	სურვილი.

დააგებს	შეარიგებს.
დაადგრა	დარჩა.
დარწყვა, ანუ დარწყმა	მახის დადგმა.
დაუნჯება	მოგროვება, მოგება, შოვნა სიმდი- დრისა.
დახსნა	დარღვევა.

ელმის	ქმნა ნებავეს, სურს.
ექსორიობა	განძევა.
ზაკვა	პირმოთნეობა, მცბიერობა.
ზედას-ზედა	ზედი-ზედ, მუდამ.
ზორვა	მსხვერპლის შეწირვა.
ზრახვა	ლაპარაკი, რჩევა, დარიგება.

ინახი	საჯდომი.
იქცა	დაბრუნდა.
იჯმნა	წარვიდა, განვიდა.
კაცად-კაცადი	თვითთვეული კაცი.
კრეტსამელი	კარის ფარდაგი, ფარდა.

მალნარი	ხშირი და შამბიანი ტყე მთაში.
მემარგე	მოგვი, მერამლე.
მეყსეულად	უცებ, მსწრაფლ.
მთხრებლი	ორმო.
მიუთქს	მიუდის, მისდევს, მიუძღვის.
მოთხე	სკივრის კოლოფი.
მოიმძველნეს	მოიგეს, მოარბილეს, დამორჩილეს.
მოიხვნა	მოიღო.
მოსაცხრომელი	დასამორჩილებელი.

მოტყევა	მოხდენა, შემთხვევა, შესრულება.
მოხადა	მოუწოდა.
მოწოდ	მოწყალებით, საყვარლად.
მლილი	ჭუა, უნჯთ გამყრნელი.
მყოვარ-ჟამ	ხანდაზმით, დრო გამოშვებით.
მყის	მსწრაფლ.
მძოვარი	მეუღაბნოე (განმარტებულია ნ. მარ- რის მიერ).
მჭრინავი, ანუ მჭრუნვი	იაღონი, ბუღბული (განმარტებულია ნ. მარრის მიერ).

ნაკრტენი	ფრთები, ბუმბული.
ნახეთქი	ნაგლეჯი, ნაფრეწი.
ნიში	ნიშანი, სასწაული.

რაბამ	ვითარ.
რაკვა	ცეკვა, თამაში.

საბასრობელი	საზრახავი, საკიცხველი.
საგრაგნელი	წასახვეველი.
სალმოზა	სატკივარი.
სამძოვარო	უღაბნო, მეუღაბნოეთ სამყოფელი.
საცხოვარი	ცხვრის გინა თხის ჯოგი, ფარა.
სახე	მაგალითი, მსგავსება.
სახიდ	სანლად.
საყდარი	მაღალი საჯდომი, ტახტი.
სიმქისე	სიმკაცრე.
სიტყვის-მკერავი	მჭევრ-მეტყველი.
სიუტბე	უცოდინარობა.

სიჩრება
სიჩქურე, ანუ სიჩქური
სიჩქურად
სრბა

სიყრმე, სიჩჩვილე.
ოცნება, მოლანდება, მოჩვენება.
მოჩვენებად.
ცხოვრება, მოვალეობა.

უღები
უვის
უნჯი
უნე
ურვა
უპე
უპოვარება
უშინავანესი

დაუღევარი.
ყავს, აქვს.
საქონელი, ნივთი.
ცხენი.
დიდი მწუხარება.
ჭიბი.
სიგლახაკე, სისაწყლე.
შუაგული.

ფლაფონი

უკბილოს ლაპარაკი, ჩიფჩიფი.

ყანობირი

ყანა, ყანები.

შეაშვს (შეაშვნეს)
შეეყო
შეუდგს
შეუტევებდა
შელასძინე
შეუძნდა
შეშობა

მიერთვის, თუ მაშვენე ექმნების.
შეუერთდა.
მისდევს.
შეუშვებდა.
შეჰმატე, შესძინე.
გაუძნელდა.
გამოღრჩობა, დაჩაგვრა.

წინამონი

ღულამბარი, კავები ქალისა.

წუთხი

სისხლ ნარევი ჩირქი მკვლართ ხადი-
ნები.

წუმწუბა, წუმწუმა

ხე გოგირდის კერასი, ასანთები ჩხირი.

ხამლი

ფეხთ საცმელი.

ხატი

სახე.

ხუებული

დაკლებული.

დამატება IV.

ბაღმსიტვეობა.

ძვირად მოიპოვება წიგნი, რომელიც ისე ცნობილი და გავრცელებული იყოს სხვა და სხვა ხალხში, როგორც სიბრძნე ბალავარისა, ანუ სულის მარგებელი მოთხრობა ვარლამ და იოსაფათზე, როგორც ცნობილია ეს წიგნი სხვა ენებზე. იშვიათია ისეთი ძველი კულტურული ერი, რომელსაც ეს წიგნი არ ჰქონდეს თავის ენაზედ. ჯერ-ჯერობით წიგნი ბალავარისა აღმოჩენილია არაბულს, სპარსულს, ებრაულს, ეთიოპურს, სომხურს და ბერძნულს ენებზე, ზოგიერთ მათგანზე, როგორც მაგალითათ არაბულს და სომხურზე, სიბრძნე ბალავარისა გალექსილიც არის. საბერძნეთში ეს წიგნი გავრცელებულა მეთერთმეტე საუკუნეში და საბერძნეთის საშუალებით გაუცვნიან მთელს ევროპას. ეხლა გადაჭრით დამტკიცებულია, რომ დედა აზრი ბალავარის სიბრძნისა შემოტანილია ინდოეთიდან. ამ დედა აზრზე ყველა ჯურის ხალხს თავ თავის გემოზე აუგია მოთხრობა და თავ თავის სჯულის სინამდვილის გამოსახატავად და დასამტკიცებლად გაუხდია შინაარსი მოთხრობისა.

მხოლოდ ჯერ-ჯერობით გადაჭრით დამტკიცებული არ არის ის ფრიად საინტერესო კითხვა, თუ რა გზით გადმოვიდა ეს მოთხრობა ინდოეთიდან, ან რომელ ენაზე მიიღო ის დამთავრებული ხასიათი მოთხრობამ, რომელიც აქვს მას ბერძნულს ენაზედ. ეს კითხვა მით უფრო საინტერესოა ჩვენ ქართველებსთვის, რომ წმინდა ევთიმის მთაწმინდელის ცხოვრებაში პირდაპირ სწერია, ევთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა ბალავარიო: „რამეთუ ბალავარი და აბუკურა და სხვანი რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან ჰსთარგმნა ბერძნულად“¹⁾. ამ ცნობას ეთანხმება თვით ბერძნულის ბალავარის ხელნაწერების სათაურის წარწერანი, რომელშიაც ვკითხულობთ, რომ ბალავარის ისტორია გადმოთარგმნილია ივერიულის (ესე იგი ქართულის) ენითგან ბერძნულს ენაზედ ევთიმის მიერ, კაცისა ღირსისა და ღვთის მსახურისა, ივერიელად წოდებულისა (...ἀπὸ τῆς ἰβήρων πρὸς τῆν ἑλλάδα γλῶσσαν ὑπὲρ εὐθυμίου ἀνδρὸς τυμίου καὶ εὐσεβιοῦς τοῦ λεγομένου ἰβήριος). ერთი ამ ხელნაწერთაგანი პარიჟის ბიბლიოთეკისა ეკუთვნის მეთუთხმეტე საუკუნეს, მაგრამ მეორე, რომელიც ვენეციაში იპოვება, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს და ერთი უძველესთაგანი ხელნაწერია ბალავარის წიგნისა. როგორც ფრიად საყურადღებო წიგნს მსოფ-

1) იხილეთ საქართველოს სამოთხე, გვ. 403. ბალავარის მაგიერ ამ გამოცემაში შეცდომით სწერია „შალავარი“.



ლიო ხასიათისას ბალავარის მოთხრობას დიდი ლიტერატურა აქვს, ბევრი დაწერილა ამ წიგნის შესახებ, ბევრ მეცნიერებს უმუშავია ამ მოთხრობის მომდინარეობის და ისტორიის შესახებ და, პროფესორი ცაგარლის სიტყვის არ იყოს, არა ნაკლები შრომა მოვლის მეცნიერებს მომავალშიც¹⁾. სხვათა შორის საყურადღებო გამოკვლევა ეკუთვნის ზოტენბერგს, რომლის შრომამ, 1886 წელს გამოსულმა პარიჟში, „Notice sur le livre de Barlam et Ioasaph“, გამოიწვია „რეცენზია“, ანუ განხილვა პროფესორის ვ. რ. ბარონ როზენისა²⁾. ზოტენბერგის შრომამ და განსაკუთრებით ბარონ როზენის რეცენზიამ აღძრა სურვილი და ინტერესი ქართულის ბალავარის წიგნის გამონახვისა და შესწავლისა, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს ცნობილი არ იყო და მეცნიერებმა არც იცოდნენ, მოიპოვება თუ არა ბალავარის ხელნაწერი ქართულს ენაზედ. შემდეგ, როდესაც ნ. დაფქვიაშვილისამ წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს შემოსწირა 1888 წ. სხვათა შორის ხელნაწერი ბალავარის სიბრძნისა და ამ ხელნაწერის მიხედვით პროფესორმა ნ. მარმა უძღვნა „სიბრძნე ბალავარისას“ საყურადღებო სტატია „Мудрость Балавара, грузинская версия душеполезной истории о

¹⁾ Цагарели. Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. II.

²⁾ Записки Вост. Отд. Имп. Русск. Археол. Общ., томъ II, вып. 1, стр. 166—174.

Варлаамъ и Иоасафъ ³⁾), — ქართული ბალავარის წიგნი ცნობილი შეიქმნა. მაგრამ იმ დროს, როგორც მოვიხსენიეთ, ცნობილი იყო მარტო ერთი ხელნაწერი დაფქვიანვილისა და ამ ხელნაწერზე დაამყარა ნ. მარრმა თავის სტატია. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდენ, თუ წერაკითხვის საზოგადოებაში მოიპოვებოდა უძველესი ვარიანტი ბალავარის სიბრძნისა, მეგრელიის ბიბლიოთეკის მამათა ცხოვრებაში მოქცეული, რომელზედაც ჩვენ დავამყარეთ ტექსტი ჩვენი გამოცემისა. შემდეგ წერაკითხვის საზოგადოებამ შეიძინა კიდევ რამდენიმე ხელნაწერი ბალავარისა, ბევრი აღმოჩნდა ბალავარის ხელნაწერები აგრეთვე კერძო პირების ხელში, მაგრამ სიბრძნე ბალავარისა მაინც კიდევ დღემდე ვერ გამოიცა ქართულს ენაზედ. კერძოთ ჩვენ ვიცით, რომ პროფესორი ცაგარელი დიდი ხანია აპირებს ამ წიგნის რუსული თარგმანის გამოცემას ქართულისავე ტექსტით. როდესაც მისი შრომა გამოვა, შესაძლოა ბევრი რამ გამოიჩვენოს ქართული ბალავარის შესახებ. ეხლა კი ჩვენ ზურგს ვერ ავუქცევთ ზოტენბერგის და ბარონ როზენის აზრს ევთიმე მთაწმინდელის როლის შესახებ ბერძნულის ბალავარის თარგმანში. ზოტენბერგს საზოგადოდ მიზნათ ჰქონია გამოეკვლია, თუ რა დროს და რომელ ადგილას შეუდგენიათ ბერძნული მო-

³⁾ Записки Вост. Отд. Импер. Археол. Общ., т. III, стр. 223—260.

თხრობა ბალავარის წიგნისა. ენის და შინაარსის გან-
ხილვამ ბერძნულის მოთხრობისამ ზოტენბერგი იმ
დასკვნაზე მიიყვანა, რომ ბერძნული რედაქცია ამ
წიგნისა მომხდარა სირიაში მეშვიდე საუკუნის პირ-
ველ ნახევარში. რედაქტორი ამ შრომისა ყოფილა
რომელიმე იოანნე ბერი საბას ლავრისა, იერუსალი-
მის მახლობლად, რომელსაც უცხოვრია მეშვიდე სა-
უკუნის პირველ ნახევარში, ანუ დაახლოვებით
620—634 წლებში. ამ იოანნე ბერს ზოტენბერგის
აზრით მიუცია ინდოეთიდან შემოტანილის მოთხრო-
ბისათვის ის დამთავრებული და ხელოვნურიჟგორმა,
რომლითაც ეს მოთხრობა შემდეგ ასე სახელგან-
თქმული შეიქმნა და საზოგადო ყურადღება მიიქცია.
იოანნე ბერი საბას ლავრისა მართლა იხსენიება უმე-
ტეს ნაწილ ბერძნულს ხელნაწერებში და ზოტენ-
ბერგის აზრით არ შეგვიძლია არ დავიჯეროთ, რომ
მას ეკუთვნის რედაქცია ბერძნულის რომანისა. წი-
ნეთ ამ რომანის ავტორად მაქს მიულლერი და სხვა-
ნი მრავალნი ხადოდენ იოანნე დამასკელს. ზოტენ-
ბერგმა კი ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ
იოანნე დამასკელი არ არის ავტორი ამ მოთხრობი-
სა. რაც შეეხება აღმოსავლეთის ენებზე ცნობილს
ბალავარის წიგნებს, ზოტენბერგის აზრით ისინი
ყველა გადაუღიათ და გადაუკეთებიათ ბერძნულის
ენითგან. რაკი ზოგიერთი ხელნაწერები ევთიმე ივე-
რიელს იხსენიებენ მოთხრობის მთარგმნელად, ზო-
ტენბერგმაც გვერდი ვერ აუარა ამ მოხსენებას და



შეეხო თავის წიგნში ამ საგანსაც, მაგრამ იმდენად წინდაუხედავად გადასწყვიტა ეს კითხვა, რომ მისცა საბუთი თავის რეცენზენტს, ეს მხარე მისი გამოკლევისა სულ დაერღვია. ზოტენბერგის აზრით ქართული ლიტერატურა იწყება მხოლოდ მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდგან და ამისათვის შეუძლებელია, რომ შრომა ფორმით ასეთი უნაკლებო და მასთან ასეთი ღრმა აზროვნანი და მჭევრ-მეტყველური, როგორც არის წიგნი ბალავარისა, შედგენილი ყოფილიყოს ჯერ კიდევ განუვითარებელს ენაზედ. ამას გარდა, ჩვენი ავტორის აზრით, სხვა უფრო პირდაპირი საბუთიც არის იმისი, რომ ეს შრომა ბერძნულს ენაზედ გადათარგმნილი არ არის: აურაცხელი ადგილები დაბადებისა და წმ. მამათა თხზულებათა განაგრძობს ავტორი, მოყვანილია რომანში სიტყვასიტყვით ბერძნულის ტექსტიდგან ხსენებულის წიგნებისა. განა შესაძლებელიაო, კითხულობს ზოტენბერგი, რომ მთარგმნელს ეძებნოს დედნებში ყველა ფრაზები, სიტყვები და გადაკვრით-თქმანი (ბევრი ადგილები რომანისა წარმოგვიდგენენ ხოლმე ქსოვილს, ანუ მოზაიკას ახალის და ძველის აღთქმის სიტყვებიდგან შედგენილს), იმის მაგიერ რომ უბრალოდ გადაეთარგმნა ისინი, როგორც დანარჩენი ნაწილი ტექსტისა. ეს მოსაზრება, ზოტენბერგის აზრით, უკიდურეს შემთხვევაში კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ისეთ ადგილებზე იყოს ლაპარაკი, რომელიც სრულიად განცალკევებულნი არიან ტექ-

სტიდგან, მაგრამ ყოველი ეჭვი ჰქრება, როდესაც ამ ადგილებთან ერთად ბერძნული ეტიმოლოგიაც შეგხვდებათო. (მოყვანილია მაგალითები ბერძნულის სიტყვების ეტიმოლოგიურათ ახსნისა). ამ მიზეზების მიხედვით ზოტენბერგი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს წმ. ევთიმის მოხსენებას ორ ხელნაწერის სათაურში და ამ მინაწერებს ხადის გულ-უბრყვილო ცულღუტობად (*une supercherie naïve*) რომელიმე ივერიის ლავრის ქართველის ბერისა. თვით წმინდა ევთიმის შესახებ ზოტენბერგს მოჰყავს რამოდენიმე ცნობები ბროსესს შრომიდან.

რამდენად საფუძვლიანი არის ზოტენბერგის აზრი სხვა კითხვების შესახებ ბალავარის წიგნისა, იმდენად სუსტია მისი გამოკვლევა და აზრი ქართულ ლიტერატურის შესახებ და შესახებ ევთიმე მთაწმინდელის როლისა ბალავარის თარგმანში. უადგილობა ამ აზრებისა და შეცთომილება ზოტენბერგისა ქართულის ლიტერატურის შესახებ გადაჭრით დაამტკიცა ბარონ როზენმა თავის მშვენიერს რეცენზიაში. როზენმა თავდაპირველად შენიშნა, რომ ზოტენბერგი გაუტაცია რომანის ღვთის მეტყველებების სისტემის ანალიზზე დამყარებულს საბუთებს და არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ორის გარემოებისათვის. პირველად იმისათვის, რომ ზოტენბერგს არ უცდია აეხსნა ის ახირებული ფაქტი, მის მიერვე ნაჩვენები, რომ ევროპაში ეს სულიერი ისტორია გავრცელდა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში, რომელ დროსაც ეკუთვ-

ნიან უძველესნი ჩვენამდე მოღწეულნი ხელნაწერები და კიდევ ისა, რომ ვარლამ და იოსაფატ ძველს სვინაქსარებში და თთვენში არ იხსენებიან¹⁾. მეორე გარემოება, რომელიც ზოტენბერგს ძლიერ წინდაუხედავად განუძევია, მდგომარეობს იმაში, რომ რომანის სათაურის წარწერა (რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ), უჩვენებს რომანის მთარგმნელად ევთიმე ივერიელს და ეს წარწერა მოიპოვება უძველეს ვენეციის ხელნაწერში. რაც შეეხება ქართულს ლიტერატურას, ბარონ როზენი უჩვენებს პროფესორის ა. ა. ცაგარლის წიგნს „Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. I, СПБ. 1886“ და ამბობს, რომ ეს წიგნი შეიცავს ცნობებს, რომელიც რამოდენიმედ სცვლიან ჩვენს ჩვეულებრივს წარმოდგენას ქართულ ლიტერატურის ბედის შესახებ და სხვათა შორის გვაძლევს საინტერესო დავერილებით ცნობებს წმინდა ევთიმის შესახებო.

მეთე საუკუნის გასულს და მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, ამბობს ბარონ როზენი ცაგარლის წიგნის მიხედვით, ქართულს ენას დაბადების თარგმანის გარდა ჰქონდა საკმაოდ დიდი ლიტერატურა. საკმარისია ვუჩვენოთ ქართული თარგმანი ზოგიერთ წმიდა მამათა თხზულებისა, სახელდობ სიტყვანი და

¹⁾ როდესაც რომანი გავრცელდა ვარლამ და იოსაფატის სახელები შეტანილ იქმნენ სვინაქსარებში. რაკი ეს სახელები უძველეს დროის სვინაქსარებში არ მოიპოვება, ეს იმის საბუთია, რომ რომანი მაშინ ცნობილი არ ყოფილა.

თქმულებანი წმ. ოქრობირისა, გრიგოლ ნოსელისა, ბასილი დიდისა და კირილე ალექსანდრიელისა დაცულია თარიღიან ხელნაწერებში 864 წლისა. მეორე კრებული წმ. მამათა სწავლათა შენახულან თარიღიან ხელნაწერში 925 წ. ორივე ეს ხელნაწერი დაწერილია საბას ლავრაში. დასაწყისს ქართულის მწერლობისას ბ. ცაგარელი მიაწერს მეხუთე საუკუნეს და ძველ ისტორიას ქართულის ლიტერატურისა მე-V საუკუნიდგან მე-XII საუკუნემდის ჰყოფს ორ ხანად, მოსამზადებლად (V—XI საუკ.) და კლასიკურად (X—XII). მწიგნობრობის შუა ადგილად მოსამზადებელს ხანაში ბ. ცაგარელი უჩვენებს საქართველოში: უმთავრესად მონასტრებს, დაარსებულებს ცამეტთა სირიელთა მამათა მიერ, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში მე-VI საუკუნეში, სამცხის სავანეებს VIII—IX საუკუნისას, და აგრეთვე მეფეთა და კათალიკოსთა სამყოფელებს. საქართველოს გარეთ ასეთ შუა ადგილად იყვნენ პალესტინაში მონასტრები (ყოვლად წმინდისა და წმ. იოანე ნათლის მცემლისა და სხვ.) და მოგზაურთა მისაღები სახლები მე-V საუკუნეში ქართველ ბატონიშვილის მურვანოსის მიერ დაარსებულნი, რომელიც ბერობაში ცნობილია პეტრედ და ნამყოფია მიაშუნის (ანუ გაზის) ეპისკოპოსად; საბას ლავრა მე-VII—IX საუკუნეებში, სინას მთა მე-VII საუკუნიდგან; წინეთ ამისა ბერძნული ოლიმპი და კოსტანტინეპოლი, და მასთანვე მონასტრები სირიაში და ტრაპიზონში“. თუმც მოი-

პოვეზიან, განაგრძობს ბარონ როზენი, თარიღიანი ხელნაწერები 864 და 925 წლებისა, რომელნიც შეიცავენ თარგმანს წმიდა ეკლესიის მამათა თხზულებებისას, ცხადია, მეათე საუკუნეში ქართული ენა აღარ ყოფილა იმდენად განუვითარებელი (inculte), რომ იმაზე არ ყოფილიყოს შესაძლებელი გამოთქმა იმ აზრებისა, რომელნიც იპოვეზიან ჩვენს რომანში, და მაშასადამე ყოფილან მთარგმნელები ბევრად აღრე წმ. ევთიმისა. აი ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ მნიშვნელობა საინტერესო ცნობებს ერთი ქართველის მწერლისას მე-XVIII საუკუნისა, ზაქარიისას, რომელიც იყო კარის მღვდელი მეფე ირაკლი მეორისა და რომელიც ამბობს ქართული მთარგმნელობის და თარგმანის შესახებ შემდეგს: „ძუღლსა წიგნსა შინა მიხილაენ მე, ზაქარია მოძღუარსა, და მუნითგან გარდამომიწერიეს: მრავალი ჟამითგან უწინარეს ევთიმისა და გიორგისა, წმიდათა მამათა მთარგმნელთასა, დავით და სტეფანე ქართულოთა გუარისანი იერუსალიმს მიიწინნეს და მუნ შეემეცნნეს ელინთა ენა-მხეობასა და პირუტელად მათ გარდმოსთარგმნნეს რაოდენიმე საეკლესიონი წიგნნი ბერძულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმთონი წიგნნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა; და შემდგომად მრავლისა ჟამისა აღეშენა საყდარი პორტიკისა ღვთის მშობლისა და მუნ შეჰკრბნეს მრავალნი ქართულონი მონაზონნი, და მათ შორის გამოსჩნდეს ევთიმი და გიორგი სანატრელნი მამანი

და რაოდენნიცა დავით და სტეფანეს მიერ თარგმნილნი წიგნი მწერალთა განერყუნეს ამათ განაწრფელნეს და განმართნეს, და უმრავლესი ახლად გარდამოსთარგმნეს. ამათსა შემდგომად გამოსჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი: საბა თუხარელი და ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა. ესე ეფრემ ფრიად აძულა საბა თუხარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელნი არა თარგმნილ იყუნეს ენასა ჩუქნსა, — და გარდამოსთარგმნა [ეფრემმან]: 1) წიგნი დიონისოს არეოპაგელისა, 2) გრიგორი ღუთის-მეტყუტლისა „ლავსაიკონი“; 3) დავითნის თარგმანი, ორ წიგნად; 4) სჯულის-კანონი დიდი; 5) და რომელნიმე ცხოვრებანი და წამებანი წმიდათანი; 6) თეოფილონ ისტორია (?); 7) და თქმულებანი კასიანე მონაზონისანი; ხოლო ეფრემ იყო შავ-მთასა და ოდესმე იერუსალიმსაცა“.

რაკი ჩვენ მივიღებთ, ამბობს როზენი, რომ ბევრად აღრე წმ. ევთიმისა ყოფილან თარგმანნი როგორც საღმთო წერილისა, ისე ბევრთა წმიდა მამათა შრომათა, ჩვენ ნება აღარა გვაქვს ხოლმე უარვყოთ, რომ შესაძლებელია ჩვენი რომანი ყოფილიყოს ქართულს ენაზედ აგრეთვე ბევრად აღრე წმ. ევთიმისა. ზოტენბერგის აზრის დასარღვევად, რომ რომანში მოიპოვება ბევრი ადგილები პირდაპირ ბერძნული საღმთო წერილის ტექსტიდგან ამოღებული, რომლის მონახვა მთარგმნელს გაუჭირდებოდაო, ბარონ როზენს მოჰყავს ცაგარელის წიგნიდგან ცნობები,

რომლიდგანაც სჩანს, რომ წმიდა ევთიმის 57 სხვა და სხვა საეკლესიო შრომა გადმოუთარგმნია ბერძნულის ენითგან ქართულს ენაზედ და მათ შორის ნაჩვენებია სწავლანი მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი; წიგნი წმიდისა [იოანე] კლემაქსი(სი); მაქსიმეს სწავლანი; წიგნი მაქსიმესი, „რვა გულის-სიტყუთათჳს“; თქმული წმიდისა იოანე დამასკელისა „ორისა ბუნებისათჳს ქრისტესა“; სხვა და სხვა შრომანი გრიგოლ ნოსელისა; ბასილის თქმული „კენის შვიდთა შურისგებათათჳს“; სწავლანი წმიდისა კასიანესანი და სხვა. ეს ნუსხა, განაგრძობს ბარონ როზენი, ძლიერ შესამეცნებელია. ჩვენ მათში ვპოულობთ რამოდენიმე შრომას, როგორც მაგალითად კლემაქს „იოანე კლემაქსისა, თხზულებებს მაქსიმე აღმსარებელისას“, იოანე დამასკელისას, რომელთა გავლენას უეჭველად ვგრძნობთ რომანში. ეს ნუსხა კიდევ ჩვენ გვიჩვენებს, რომ წმ. ევთიმისათვის, თუ მან მართლა სთარგმნა ჩვენი რომანი, არავითარ სიძნელეს არ შეადგენდა პირდაპირ მოეყვანა ნამდვილი ტექსტი საღმთო წერილიდგან და წმ. მამათაგან ამოღებული: ის მათ თვითონ სთარგმნიდა, მას გარეშემო ეწყო ეს წიგნები, ის ასე რომ ვსთქვათ, ცხოვრობდა და სუნთქვიდა ამ წიგნებით. მერმე კიდევ ყოველ ექვს გარეშეა, რომ. წმ. ევთიმემ ზედ მიწევნით იცოდა ბერძნული ენა. ის აღზდით და ენით უფრო ბერძენი იყო, ვიდრე ქართველი. ეს ცხადად სჩანს თვით ზოტენბერგის მიერ მოყვანილის თქმულებიდან. ეს

თქმულება მოგვითხრობს, რომ წმ. ევთიმი ბოვშობას წაყვანილი იყო კოსტანტინეპოლში ამანათად, და მას თითქმის სრულიად დაავიწყდა ქართული ენა და მხოლოდ სასწაულის გამო, ყოველად წმიდის ბრძანებით, ხელახლად დაიწყო ლაპარაკი ამ ენაზე და დაიწყო თარგმნა ბერძნულის წიგნებისა. და ბოლოს, ამბობს როზენი, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობა, სრულიად დამოუკიდებელი იმ ბერის გულუბრყვილო ცუდლუტობისა, რომელსაც გადაუწერია ვენეციის ხელნაწერი. ეს უმთავრესი ცნობა მდგომარეობს იმაში, რომ წმიდა ევთიმის მართლა გადაუთარგმნია რამოდენიმე წიგნი ქართულის ენიდგან ბერძნულს ენაზედ. აქ როზენს მოჰყავს ის ადგილი ევთიმეს ცხოვრებიდგან, სადაც სწერია: „რამეთუ ბალავარი და აბუკურა და სხუანი რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან ჰსთარგმნა ბერძნულად“. პროფესორის ცაგარლის წიგნში, საიდგანაც როზენმა ეს ცნობა ამოიღო, ბალავარი გადათარგმნილია „საძირკვლად“ (ФУНДАМЕНТЪ), ხოლო როზენმა ექვი გამოაცხადა, რომ იყოს რომელიმე ღვთისმეტყველური თხზულება „საძირკველი“ და იცნო მასში სახელი ჩვენი რომანის გმირისა. ყველა ამებების მიხედვით ბარონ როზენი ასე აბოლოგებს თავის აზრს: ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა აღვიაროთ, 1) რომ შესაძლებელია ჩვენი რომანი ყოფილიყოს ქართულს ენაზედ უფრო ადრე ვიდრე ბერძნულს ენაზედ და 2) რომ წმ. ევთიმის შეეძლო გადაეთარგმნა ის ბერ-

ძნულს ენაზედ. — ჩვენ გვგონია, განაგრძობს როზენი, რომ ყველა ბნელი ადგილები ჩვენი რომანის ისტორიის გავრცელებისა ახსნილი იქნება, თუ მივიღებთ მოსაზრებას, რომ თვით დედა აზრი რომანისა ქრისტიანურის სახით დაწერილი იყო იოანე ბერის მიერ (რომელს ენაზედ ჯერ არ შეიძლება გადასწყდეს, თუმცა ყველაზე უფრო საფიქრებელია სირიულზედ) მეშვიდე საუკუნის დასაწყისში წმ. საბას ლავრაში მართალთა და ღვთის მოყვარე კაცთა მოთხრობის მიხედვით (როგორც მოხსენებულია ბერძნულ რომანის სათაურში), რომლებმაც შემოიტანეს იგი ინდოეთიდან. შემდეგ ქართველ ბერებს იმავე ლავრისას გადაუთარგმნიათ ის ქართულს ენაზედ როგორც სულის მარგებელი წიგნი ახალ მოქცეულებისათვის და შეუტანიათ საქართველოში, და ის ხელოვნური და დამთავრებული ფორმა, რომელსაც წარმოგვიდგენს ბერძნული რომანი, მისცა მას წმ. ევთიმე ივერიელმა მე-XI საუკუნის დამდეგს, როდესაც სთარგმნა ქართულის ენისაგან. ამ მოსაზრებასთან ის შედეგნი, რომელნიც ზოტენბერგმა დასკვნა რომანის ღვთის მეტყველების სისტემის გამო, სრულებით არ იქნებიან წინააღმდეგნი. სასტიკი მართლ-მადიდებელური შეხედულება ორთა ენებათა შესახებ, ენერგიული პოლემიკა მონოთელისტების წინააღმდეგ — ეს ისეთი საბუთია, რომელთაც იმდენი ადგილი აქვს და გასაგებია მართლმადიდებელ მწერლის შესახებ მე-XI საუკუნისა, როგორც მე-VII საუკუ-

ნისა, მით უმეტეს ქართველ მწერლის შესახებ. კინკლაობა და პოლემიკა ქრისტეს ორ ბუნების შესახებ კითხვების გამო იმ დროში და კიდევ გვიან არაოდეს, მართლა რომ ვსთქვათ, არ თავდებოდა, რადგანაც იყო ორი ძლიერი მონოფიზიტთა ეკლესია, სომხებისა და სირიელთ-იაკობიტთა. ჩვენ კიდევ გვგონია, რომ წმ. ევთიმი ივერიელს, რომელიც ასე გაისარჯა შეესწავლა და გადაეთარგმნა წმიდა მამათა თხზულებანი, ძლიერ ადვილად შეეძლო მიეცა მთელი მოთხრობისთვის სასტიკი მართლმადიდებლობითი და დიოთელეტიკური ელფერი სწორეთ სომხების და იაკობიტთა საყდრების წინმადმდებ პოლემიკისათვის, და რომ ასეთი ელფერის რომანისა იყო არა მცირედი მიზეზი იმ ძლიერი ცნობის მოპოებისა, რომელიც რომანმა დაიპყრო ბიზანტიის იმპერიაში მეთერთმეტე საუკუნიდგან. რომანთან ერთად და მისი მეოხებით ვრცელდებოდა შემდეგ სახელები თვით წმინდანებისა ვარლამ (ქართული ბალავარ) და იოსაფატისა. რაც შეეხება სხვებს არა დოგმატიურ ნიშნებს, რომლითაც რომანს მიაწერენ მე-VII საუკუნეს, როგორც მაგალითათ იმ მოვლენას, რომ რომანში არ იხსენიება მახმადიანთა სარწმუნოება, რომ წარმართთა წარმომადგენელად გამოყვანილნი არიან ქალდეველების სახელით მორწმუნენი სპარსთა „დუალისტიკური“ სარწმუნოებისა, ამათ შესახებ ეს უნდა ითქვას, რომ წმ. ევთიმის არა ჰქონია არავითარი მიზეზი შეეცვალა ისინი, მიუხედავად იმისა,

რომ ეს ნიშნები იმდენად გამორკვეულნი არ არიან, რომ მათ ჰქონდეს გადაჭრით დამამტკიცებელი ძალა და არ შეიძლებოდეს მათი სხვა რიგად ახსნა“.

ესეთია აზრი განათლებულის პროფესორისა ქართულის ლიტერატურის და ბალავარის თარგმნის შესახებ. ნიჭი კვლევისა და გამჭრიახობა გონებისა ავტორს ზემო მოყვანილ რეცენზიისას მით უფრო ეტყობა, რომ ბალავარი ქართულს ენაზედ ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, როდესაც მან ეს აზრები გამოთქვა.

1888 წელს, როგორც მოვხსენიეთ, პროფესორმა ნ. მარრმა უძღვნა ფრიად საყურადღებო სტატია ბალავარის წიგნს და ქართული ბალავარი საკმაოდ დაწვრილებით შეადარა ბერძნულს და არაბულს წიგნებს იმავე მოთხრობისას, მაგრამ რადგანაც მაშინ მარტო ერთი დაფქვიაშვილის ვარიანტი იყო ცნობილი და არავინ იცოდა, თუ რა ხასიათის იქნებოდა სხვა ვარიანტები, ნ. მარრმა სიფრთხილის გამო არავითარი დასკვნა არ გამოიყვანა თავის შედარებიდან. ის კითხვა, თუ რა ადგილი უჭირავს ქართულს ბალავარს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადატანაში სულის მარგებელის მოთხრობისას ვარლამ და იოსაფატის შესახებ, მარრმა გადადვა იმ დროისათვის, როდესაც მას ექნება შემთხვევა სხვა ვარიანტების გაცნობისა. აქ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ნ. მარრის გამოკვლევებიდან უმთავრესნი ცნობები იმის შესახებ, თუ რაშია განსხვავება ქარ-

თულს და ბერძნულს ბალავარს შორის: ბერძნული ბალავარი განსხვავდება ქართულისაგან მოთხრობის ამბების გადმოცემაში. ის რაც ბერძნულს ბალავარში შეადგენს მოქმედებას რამოდენიმე მეფესთან დაახლოვებულის პირებისას, ქართულში მიწერილი აქვს მარტო ბალავარს, რომელიც მოთხრობის დასაწყისშივე არის გამოყვანილი მოქმედ პირად, ხოლო ბერძნულში ის ბევრად უფრო გვიან გამოდის სცენაზე. ქართულს ბალავარში არ არის შესავალი სიტყვები და აღწერა ინდოეთისა, რომელიც მოიპოვება ბერძნულს ბალავარში. წარმართი მეფე იაბენეს გაცილებით უფრო სიმპატიურის სახით არის გამოყვანილი ქართულს ბალავარში, ვიდრე ბერძნულში. თვალსაჩინო განსხვავება არის აგრეთვე იგავებში, ანუ თხრობებში. ქართულს ბალავარში სულ თერთმეტი იგავია, ხოლო ბერძნულში თექვსმეტი, ამათში ექვსი იგავი ამოღებულია სახარებიდგან. ქართულს ენაში სახარებიდგან ამოღებული იგავი მხოლოდ ერთია. რიგი და შინაარსი იგავებისა ქართულს და ბერძნულში ზოგჯერ განსხვავდებიან. მიზანი იგავებისა ქართულს ბალავარში მარტივია: მას აქვს შემეცნებითი ხასიათი. ამ იგავებით და მათი აზრის ახსნით ბალავარი თანდათან ამზადებს მეფის ძეს ჭეშმარიტის სჯულის მისაღებად, და როდესაც მეექვსე იგავის შემდეგ ბალავარმა დაინახა, რომ მეფის ძე იოდასაფ გამზადებულია და თვით იოდასაფმაც გამოაცხადა სურვილი ჭეშმარიტის სჯულის მიღებისა, ბალავარმა

უქადავა მას ქრისტეს სარწმუნოება. ბერძნულს მო-
თხრობაში იგავები იკარგებიან სხვა და სხვა მსჯე-
ლობებში და შემთხვევითი ადგილი უჭირავსთ მათ
და ის მოსამზადებელი ხასიათი არა აქვსთ, როგორც
ქართულს მოთხრობაში. დოგმატიური და ასკეტიუ-
რი მსჯელობანი ვრცელნი არ არიან ქართულს ბა-
ლავარში, ბერძნულში კი ამგვარ მსჯელობათ ძლიერ
დიდი და ვრცელი ადგილი უჭირავს. შემდეგი ადგი-
ლები ამგვარ მსჯელობათა მხოლოდ ბერძნულის კუ-
თენილებას წარმოგვიდგენენ და არ არიან ქართულ-
ში: ისტორია ახალის და ძველის აღთქმისა ორს ად-
გილას; დამტკიცება ქრისტიანობის ღვთიურის ძალისა
იმით, რომ ის გაძლიერდა და გავრცელდა ცოტა
და გამოუჩენელ კაცების საშვალეებით; შედარება
ახალის აღთქმის სჯულისა მოსეს სჯულთან, რომე-
ლიც ამოღებულია იესო ქრისტეს მთაზედ ქადაგე-
ბიდან და კიდევ რამოდენიმე მუხლები მათეს და
ლუკას სახარებების თავებიდან და სხვა ადგილები
საღმთოსჯულიდან ამოღებულები, რომელნიც ბევრ
ადგილას მართლა რომ ქსოვილს ანუ მოზაიკას შეა-
დგენენ საღმთო სჯულის სიტყვებისას; ჯეროვანი მო-
თხრობა სამების შესახებ სწავლისა და სხვათა დოგ-
მატთა მართლ-მადიდებელის ეკლესიისა და მასთან
სწავლა ხატის თაყვანის ცემის შესახებ რამოდენიმე
ადგილას; მსჯელობა თავისუფალ ვნებელობის შესა-
ხებ და თავისუფალ გამოჩენის შესახებ; განმარტე-
ბა ნათლობის საიდუმლოისა და ზიარებისა; სიტყვა

სინანულის შესახებ და შესახებ მოწყალებისა; მო-
თხრობა მოწამეთა და აღმსარებელთა შესახებ და
უფრო ვრცელი მოთხრობა ღვაწლ-შემოსილთა, მე-
უღაბნოეთა და სავანის ბერთა შესახებ; დამტკიცე-
ბანი ღვაწლთ-შემოსილობის სიძველისა, როგორც
ქრისტიანურის დაწესებულებისა; აღწერა მომავალთა
წყალობათა და ტანჯვათა; ჩამოთვლა სხვა და სხვა
წარმართთა სარწმუნოებათა და განქიქება თითოეულ-
თა მათგანთა; განქიქება საზოგადოდ კერპთ თაყვა-
ნისცემისა; განქიქება წარმართთა ფილოსოფოსთა და
პოეტთა; განქიქება იუდიანთა სარწმუნოებისა და სა-
ზოგადო გალაშქრება მწვალებელთა მიმართ.

იმ შემთხვევაშიაც, როდესაც რომელიმე დოგ-
მატიური, ანუ ასკეტიური საგანი ერთი და იგივეა
ქართულის და ბერძნულის მოთხრობისათვის, ბერ-
ძნული რედაქცია უმეტეს შემთხვევაში განირჩევა
ქართულისაგან: განსხვავება მდგომარეობს საგნის სი-
სრულით შემუშავებაში და ზოგჯერ რიტორიკულს
ხასიათში.

ამ შედარებიდან ცხადად სჩანს, რომ ბერძნუ-
ლი ბალავარი პირდაპირ, ესე იგი სიტყვა სიტყვით
ნათარგმნი არ არის ქართულისაგან. სიტყვა სიტყვით
თარგმანში ასეთი განსხვავება შეუძლებელია. მეორეს
მხრით არა გვაქვს საბუთი უარ ვცოთ უძველესი ბერ-
ძნული ხელნაწერების მინაწერები და მასთან ევთიმე
მთაწმინდელის ბიოგრაფიის ცნობები, რომელნიც
ბალავარის მთარგმნელად ბერძნულს ენაზე წმ. ევ-



თიმი მთაწმინდელს ხადიან. მაშასადამე წმ. ეფთიმის ბალავარი პირდაპირ, სიტყვა სიტყვით კი არ გადაუთარგმნია ბერძნულს ენაზე, არამედ გადაუკეთებია და, ბარონ როზენის სამართლიანის შენიშვნით, მიუცია ის დამთავრებული და ხელოვნური ფორმა, რომლითაც წიგნი ბალავარისა ცნობილია ბერძნულს ენაზედ. როდესაც წიგნი ბალავარისა აღმოჩნდება ქართულს ენაზე წმ. ეფთიმის აღრინდელ დროის ხელნაწერში, მაშინ გადაჭრით დამტკიცდება სიძველე ქართულის ბალავარისა. ამ ჟამად კი ბალავარის სიძველის საბუთად მარტო ენის ხასიათი დაგვრჩენია. ჯერ კიდევ ნ. მარრმა მიაქცია ბალავარის ენას ყურადღება და აღნიშნა, რომ ენა ბალავარისა ისეთია, როგორსაც ჩვენ ვპოულობთ დაბადებაში, სახარებაში და სასულიერო მწერლების თხზულებებში ქართულის ლიტერატურის უკეთესის დროისა. თუ ეს მართალია დაფქვიაშვილის ვარიანტის შესახებ, რომელიც ნ. მარრს ხელში ჰქონდა, ეგრევე ერთი-ორად უფრო მართალია ჩვენი დედნის შესახებ, რომლის ენა, როგორც მკითხველიც დაინახავდა, მართლა სიძველის კვალითაა აღნიშნული, და გაცილებით უფრო სიძველე ეტყობა ვიდრე დაფქვიაშვილის ვარიანტს. ის სიტყვებიც, რომელიც ნ. მარრმა სამართლიანად სცნა ახლად შემოტანილად, ძველის ფორმით არიან ნახმარები ჩვენს დედანში (მაგალითად უნე ცხენის მაგიერ და სხვა). ენა ქართულის ბალავარისა ისეთია, რომ ყოველი აზრი მოკლედ არის გამოხატული, ანუ

უკეთ ვსთქვათ, ყოველი აზრი მოკლედ არის მოჭრილი, ამ აზრის მოკლედ მოჭრაში ეტყობა ბალავარის წიგნს, რომ ის ისეთ დროს არის დაწერილი, როდესაც რიტორიკულს მიმართულებას ქართულს ლიტერატურაში ადგილი არა ჰქონია. ევთიმის დრო კი რიტორიკული მიმართულების დრო იყო და დროს ხასიათი აღნიშნულია ბერძნულს ბალავარში. რომ ბერძნულს ენაზე ბალავარი უფრო ადრე დაწერილ იყო ვიდრე ქართულზე, როგორც ფიქრობს ზოტენბერგი, და ბერძნულისაგან გადმოვლათ ქართულზე, მაშინ ქართული ბალავარი პირდაპირ თარგმნილი იქნებოდა ბერძნულისაგან და ისეთ განსხვავებას არ წარმოგვიდგენდა, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ: ჩვენ არ ვიცით ქართულს ენაზე ისეთი თხზულება ბერძნულისაგან გადმოღებული, რომელიც ასე განსხვავდებოდეს დედნისაგან. ყოველად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მშვენიერს ხელოვნურს რომანს შეამოკლებდენ და შესცვლიდენ ქართულათ თარგმნის დროს და მოაკლებდენ იმ ღირსებას, რომელიც მას აქვს ბერძნულს ენაზე. პირ-იქით ამგვარ შემთხვევაში ჩვეულებისამებრ მას უფრო გაავრცობდენ და გაადიდებდენ. ქართულიდგან ბერძნულად თარგმნის დროს კი წმ. ევთიმის სახეში უნდა მიეღო მოთხოვნილება დროისა, რომ მის შრომას შესაფერი ადგილი დაეჭირა ბერძნულს ლიტერატურაში. შინა-არსი ბალავარისა ისეთი იყო, რომ მის პოეტურს ნიქს და მწერლობის უნარს ფართო ადგილი ეძლეო-

და თავის ძალის გამოჩენისა. ზედმიწევნით ცოდნა ბერძნულ ენისა და საღმთო სჯულისა ბერძნულს ენაზედ კიდევ უფრო უადვილებდა მას საქმეს და ხელს უწყობდა შეექმნა ეს შესანიშნავი შრომა.

თუმცა საღმთო სჯულის და საზოგადოდ საეკლესიო წიგნების თარგმნის დროს ბერძნულის ენიდგან ხოლოვნობა იმაში მდგომარეობდა, რომ სიტყვა სიტყვით და დედანთან დაახლოებით გადმოელო თითოეული ფრაზა ქართულს ენაზე, ეხლა რომანის გადაკეთების დროს ქართულის ენითგან ბერძნულს ენაზე მას სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული მიეცა თავისუფლება თავის ფანტაზიისათვის, გაეფართოებინა მოთხრობის კალაპოტი, შეეცსო და განეგრცო რომანი, მოეყვანა ახალი საბუთები ამა თუ იმა აზრის დასამტკიცებლად, შეეტანა ახალი იგავები, ანუ თხრობანი სახარებიდგან და ხელოვნურად შეეხამებია მოთხრობა საღმთო სჯულის და წმინდათა მამათა თხუზულებებიდგან ამოკრეფილის ფრაზებით. ამ გვარ ფრაზებით ავტორს ისე უსარგებლებია, როგორც ხელოვანი მხატვარი სარგებლობს ხოლმე სხვა-და-სხვა ფერადებით ხელოვნურ მხატვრობის შექმნის დროს. აქ წმ. ევთიმიმ ცხადად დაგვანახვა, თუ რა შეეძლო მის ნიჭს, როდესაც ის მთარგმნელის როლიდგან გამოდიოდა და ასე თუ ისე თავისუფლებას აძლევდა თავის ფანტაზიას. ამ გვარი თავისუფლება მას არ უშლიდა მიეცა რომანისათვის სასტიკი მრთლმადიდებლობითი ხასიათი.


ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ ბარონ როზენის აზრი, რომ მოთხრობა ბალავარისა საქართველოში საბას ლავრიდან უნდა იყოს შემოტანილიო. საბას ლავრას საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ ქართველებისათვის, უძველესი საეკლესიო წიგნები ამ ლავრაში არიან ნათარგმნი, ამ ლავრაში არიან გადაწერილნი უძველესნი თარიღიანი ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდი მოუღწევიათ და რომელთაც პროფესორი ცაგარელი იხსენიებს და ბარონ როზენი აქცევს ჯეროვან ყურადღებას. ვინ იცის, იქნება, თვით ის იოანე ბერი საბას ლავრისა, რომელსაც იხსენიებენ ბერძნული ხელნაწერები და რომელსაც ბარონ როზენის მოსაზრებით პირველად უნდა დაეწეროს მართალთა კაცთა სიტყვების მიხედვით ინდოეთიდან შემოტანილი მოთხრობა ბალავარის და იოსაფატის შესახებ, ქართველი იყო და სიბრძნე ბალავარისა თავდაპირველად დაიწერა ქართულს ენაზე და არა სირიულზე, ან რომელიმე სხვა ენაზე. ვინ იცის, იქნება, როგორც ხელოვნური გადაკეთება ამ რომანისა ბერძნულს ენაზე ყველა მოსაზრების მიხედვით ეკუთვნის ევთიმე მთაწმინდელს, ისე თავდაპირველი დაწერა მისი დაახლოებით იმ სახით, რა სახითაც ეს აღნიშნულია ჩვენს გამოცემაში, ეკუთვნოდეს ქართველ ბერს საბას ლავრისა სახელით იოანეს და მას იხსენიებდენ ბერძნული ხელნაწერები გვარტომობის მოუხსენებლად. იოანე ბერი ქართულს ხელნაწერებში არ იხსენიება, სამაგიერ-



როთ მოხსენებულია მამა ისაკ, ძე სოფრონ ბალო-სტინელისა, მაგრამ სამწუხაროდ მოხსენება ამ პირი-სა არ გვაძლევს ცნობას, ავტორი არის ის ქართუ-ლი ბალავარისა, თუ სხვა რაიმე როლი აქვს მას ბა-ლავარის მოთხრობის ისტორიაში. თუ ჩვენ მივიღებთ მოსაზრებას, რომ თავდაპიველად მოთხრობა დაწე-რილია იოანე ბერის მიერ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ბერს ეს მოთხრობა მამა ისაკის სიტყვე-ბის, ანუ თხრობის მიხედვით დაუწერია. იქნება ამ აზრით იყოს დაწერილი ქართული ბალავარის სა-თაურში: **გვათხრობდა ჩვენ მამა ისაკ, ძე სოფრონ ზაღესტანელისა** და სხვა (იხ. სათაური).

ბოლოს საჭიროდ ვრაცხთ მადლობა გამოაუცხა-დოთ ა. ვ. ქუთათელაძეს, რომელმაც თავისი დახმა-რებით გაგვიადვილა ბალავარის დედნების შედარება ერთიერთმანეთთან ¹⁾ და გ. ე. წერეთელს, რომელმაც გვათხოვა თავის ხელნაწერი წიგნი ბალავარისა.

ე. თაყაიშვილი



¹⁾ განსხვავებანი, როგორც მოვიხსენიეთ, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთები აღვნიშნეთ, რომელთაც ჩვენის აზრით უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ქართულის ბალავარის საზოგადო ხასიათის გამორკვევისათვის. ხოლო რაც შეეხება წვრილანაირ განსხვავე-ბებს ენაში, გრამატიკულ ფორმებში და სიტყვებში ამ კვარი განსხვავებანი ძლიერ ბევრია და ჩვენ მიზნად არა გვქონია მათი დაწვრილებით აღნიშვნა.



ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერ.
I სიბრძნე ბალავარისი.	3—96
1) თბრობა პირველი	20
2) თბრობა მეორე	23
3) თბრობა მესამე	25
4) თბრობა მეოთხე	26
5) თბრობა მეხუთე ;	28
6) თბრობა მეექვსე	29
7) თბრობა მეშვიდე	33
8) თბრობა მერვე	37
II დამატება I. ცნობები შესახებ ხელნაწერთა, რომლებშიაც მოიპოვება სიბრძნე ბალავა- რისა	97
III დამატება II. ვარიანტები სხვა-და-სხვა ხელ- ნაწერებისა	116
IV დამატება III. განმარტებანი ზოგიერთთა სი- ტყვათა	129
V დამატება IV. ბოლოსიტყვაობა	134
VI დამატება V. პალეოგრაფიული ნიმუშები ბა- ლავარის სიბრძნისა მეგრელიის ვარიანტი- დგან.	

გვთხოვდა ჩუქს მამა მსავ ბეჭედი-ს პლოცესტინელისა ღ
ანს წიგნი ესე სიბრძნეუ ძალთაუარისი: რამელი იყუფებ
ოდა უღაბნოთ მბეროთ თნა: ქ. ქსეფ მამათა:

ქიფნე ყელმე იაბერ ღ მუნ ვაჟე წიგნი ესე სიბრძნეუ სწეს მასნე.
ბან სტენი ამის სტელანი ფრ სტელური სურსანი: იყ ვნე მფე ქეყანს
სიბრძნეთისა სტელის რქსა სტელან ბელ ღ სტელი მის იაბერეს იყ იგი სწეს
თ ვქსათ მსხელი: ქ ესე იგი იყ მბერი ღ მბარლი ღ ფრ მხელე ბრძნეთ:
ღ ამ ქსე მს ბერი ღ მხესე იყ იგი უბრძნეთისა რ ფრ მბარლი იყ იგი
ღ სწესდა სწესე ღ სტელე მხურსი მბარეთს ფრ მბარისეა ველებდა რთ
თ მათ მისთ რ მბარის მს ბერიემა:


წმინდანო რამელანესა ბოროტსა წიგნსა წერისა არიან.

სიბრძნეი ღ ბოვანესანი თქვიანი მკველა ღ მკვარელთ
მუქმენითი ღ ანარის მკველათაუნ მსენით სულთი რქმი.

სრულა მკველასა ამისა კლთაუბანს მლთელთს ყველა
თა უმციოქსა - იოანეს - ალიქარ თთქსა მამსა-

ქ, ღ სბამითუნ წელთა უსაზ:- ქეს ამეთ ხლთთ: ქეს:

ყელს: ~ დოქსა. ქ. სუთმამათს



უმთავრესი ცთომილებანი

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს.
23	11 ქვემოლამ	საწადილი	საწადელი
31	9 —	სამოსელთა და	სამოსელთა
36	10 —	თან	თანა
37	11 —	გი	იგი
38	2 —	ქრისტესი	ქრისტე
41	13-12 —	დადგრების	დაადგრების
45	11 —	აღდგომას	აღდგომასა
46	9 ზემოლამ	მიმოვიდოდეს	მიმოვიდოდეს
		თავთა	
„	9-10 —	აჭირვებდეს	აჭირვებდეს თავ- თა თვისთა
„	11 —	იყუნეს	იყუნეს
„	3-2 ქვემოლამ	განმოაცხადნეს	გამოაცხადნეს
47	7 —	მეტვს	მეტყვს
50	2 ქვემოლამ	ჩემოა	ჩემთა
51	11 —	ემთა	ჩემთა
„	10 —	ჩვენსა	შენსა
74	12 —	ყოველა	ყოველსა
80	8 ზემოლამ	ძიკუდილისა	სიკუდილისა
82	12 ქვემოლამ	მამათ	მამათა
83	2 ზემოლამ	სამეფესო	სამეფოსა
94	4 —	უკეთუ	უკეთუ
114	3 —	ეთანხმება	ეთანხმება
115	1 —	ახლო	ახლოა

